დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ დასავალი
2024 წლის 20 - 26 მაისი
N22 1540
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



2 4

# საქართველოში ენა, მამალო და ურწმუნოება ენაზე, მამულსა და სარწმუნოებაზე ვერასოდეს გაიმარჯვებს!

# ენა, მამალო, ურწმუნოება!

კოლექტიური ნაცმოძრაობის მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციების მთელი სულისკვეთება ერთბაშად დაიწრიტა სამსიტყვიან ლოზუნგში — ენა, მამალო, ურწმუნოება!



9

# ევროპიდან გათხოვილი კაცი ჩამოვიდა და ეკლესია შეგვიგინა!



**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი**
უდიდესი მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს ღირსეული შვილი, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, სიკეთის, პროფესიონალიზმისა და მეგობრობის ეტალონი

**ავთანდილ ჯორბენაძე**

და უსამძიმრებს მის ოჯახსა და სრულიად საქართველოს.

**პანაშვიდი:** *ორშაბათს, 20 მაისს, სიონის საკათედრო ტაძარში.*
**გამოსვენება:** *სამშაბათს, 21 მაისს, 14 საათზე, სიონის ტაძრიდან.*




***ცხადია, წინამდებარე წერილის სათაური „ენმ, მამალო, ურწმუნოება“ ილია ჭავჭავაძის მიერ ნაანდერძევი სამი ღვთაებრივი საუნჯის — მამულის, ენისა და სარწმუნოების ინტერპრეტაციაა.***

საერთოდ, ილიასეული საკრალური ტრიადა, როგორც ლოზუნგი, რეფრენი თუ სლოგანი, საქართველოში ბოლო დროს ერთობ აქტუალური გახდა და, შეიძლება ითქვას, პოლიტიკური ბრძოლის იარაღად იქცა.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ტრანსპარანტზე დასაწერი თუ მიტინგზე დასაჭექი **„მამული, ენა, სარწმუნოება“** ერთგვარ საჭილდაო ქვას დაემსგავსა, რომელსაც პოლიტიკურ ბატალიებში ჩართული დაპირისპირებული მხარეები სხვადასხვა მხრიდან ეჯაჯგურებიან, რათა ხელში აიტაცონ და დაითავისონ.

**„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“** კანონის მოწინააღმდეგეთა ერთმა ჯგუფმა, ძირითადად, ახალგაზრდობამ, იმდენიც კი იკისრა, რომ ილიასეული სამებიდან **„სარწმუნოება“** ამოშალა, იმის მაგივრად **„ერთობა“** ჩაწერა და ასეთი ლოზუნგი გამოაცხო — **„მამული, ენა, ერთობა“**, აქაოდა, „რუსული კანონის“ წინააღმდეგ ბრძოლაში და საქართველოს ევროპული მომავლის დასაცავად სარწმუნოებაზე მეტად ერთობა გვჭირდებაო.

ლიბერალურად იდეოლოგიზებულმა **ზოგიერთმა ბენტერა ახალგაზრდამ** სოციალურ ქსელებში იმის მტკიცებაც კი დაიწყო — **სწორად მოვიქეცით, როცა „სარწმუნოება“ „ერთობით“ ჩავანაცვლეთ, აბა, სარწმუნოება რუსეთისგან როგორ უნდა დავიცვათ, როცა ჩვენ და რუსეთს ერთი სარწმუნოება გვაქვსო!**

ჰოდა, აიჯაგრა საზოგადოების უმეტესი ნაწილი:

**რას ჰქვია, სარწმუნოებას შეეხნენო!**

**ვის აქვს უფლება, დიდი ილიას მიერ ჩამოდუღაბებული ტრიადა ისე ჭრას და კეროს, როგორც მოეპრიანებაო!**

**ესენი პროგრესული ახალგაზრდები კი არა, რეინკარნირებული ბოლშევიკები და მებრძოლი ურმერთოები არიანო!**

კიდევ ბევრი ამისთანა ითქმის და იწერება სოციალურ ქსელებში და 29 აპრილს თბილისში „ქართული ოცნების“ ორგანიზებით გამართულ მრავალათასიან სახალხო შეკრებაზეც მრავლად ჰქონდათ გამოტანილი ტრანსპარანტები — **„მამული, ენა, სარწმუნოება“**; სცენაზე ყველა გამომსვლელიც თავის სიტყვას ამთავრებდა შეძახილით — **„მამული, ენა, სარწმუნოება“** და ხალხიც მაშინვე აძლევდა ბანს — „მამული, ენა, სარწმუნოება“.

მოკლედ, ილიასეული **„მამული, ენა, სარწმუნოება“** ქართულ პოლიტიკურ სივრცეში სხვადასხვა მიზეზით, სხვადასხვა მიზნითა და სხვადასხვა ინტერპრეტაციით დაბრუნდა, თუმცა, ეს მაინც არ არის ცუდი, რადგან

# დროა, ყველაფერი თავის ადგილზე

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**ამ ქვეყნის ვერავითარი „მაიდანი“ და უკრაინიზაცია ვერ შედგება** — ეს არ არის **იანუკოვიჩის** უკრაინა, ეს არის წელში გამართული სუვერენული სახელმწიფო.

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



მიუღებელია, როდესაც **ჩამოდიან საგარეო საქმეთა მინისტრები და ჭკუას გვასწავლიან ოპოზიციის ტრიბუნიდან. პრეზიდენტად წოდებულ ქალბატონს** რომ საერთოდ არ აინტერესებს არც ჩვენი კონსტიტუცია, არც ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ქვეყნის ინტერესები, ეს ცხადზე ცხადია. **ეს ქალბატონი გაიზარდა საფრანგეთში, თავს არ თვლის ის ქართველად და მე რაც ვიცი, ის აპირებს, რომ წავიდეს საფრანგეთში.**

„ინტერპრესნიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



ჩვენი კურსი და მომავალი არის ევროპა, ევროპული მომავალი. სხვა შეუძლებელია. **როგორ შეიძლება მე, ჩვენს თანაგუნდელებს გვინდოდეს რუსეთი ან რუსული მომავალი? წარსულში გვინდა დაბრუნება? წარსულში მინდა დავაბრუნო ჩემი შვილები, ჩვენი მომავალი?** გავა დრო, მერწმუნეთ, ძალიან მალე, ყველა ის ადამიანი, **ვინც დღეს ამ კანონს აპროტესტებს, დარწმუნდება, რომ ცდებოდნენ.**

„ახალი თაობა“

**მიხეილ ყაველაშვილი**
*პარტია „ხალხის ძალის“ პოლიტიკური მდივანი*



ქართველებმა **სახადი, სახელად — ნაციონალური მოძრაობა,** უკვე მოვიხადეთ და არავითარ შემთხვევაში **არ დავუშვებთ ამ უსამშობლოების უკან, მმართველ ძალად დაბრუნებას.**

„იმედინიუსი“

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



**კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას** არჩევნებში შედეგის მიღების იმედი არა აქვს, ამიტომ **ცდილობს ხელისუფლებაში დაბრუნებას არჩევნების გვერდის ავლით** და პოლიტიკური სისტემისთვის ძირის გამოთხრით — ეს არ გაგივათ!

„ინტერპრესნიუსი“

არცთუ შორეულ წარსულში **მამულის, ენისა და სარწმუნოების** ცნება ქართული პოლიტელიტის დღის წესრიგიდან საერთოდ გამქრალი იყო და პოპულისტური დანიშნულებითაც კი აღარავინ იყენებდა.

რაც შეეხება **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონის“** წინააღმდეგ ამხედრებული ნაცლიბერალური სექტის უშნო და უდიერ შეთამაშებას ილიასეულ საკრალურ ტრიადასთან, ეს ამბავი ზუსტად ისე დასრულდა, როგორც უნდა დასრულებულიყო — **კოლექტიური ნაცმოძრაობის მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციების მთელი სულისკვეთება ერთბაშად დაიწრიტა სამსიტყვიან ლოზუნგში — ენმ, მამალო, ურწმუნოება!**

**მოგეხსენებათ, ენმ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აბრევიატურაა, მამალო შაქრის, წყლისა და ლიმონმჟავისაგან დამზადებული და ხის ჩხირზე წამოცმული მამლის ფორმის საწუწნი კანფეტია, ხოლო ურწმუნოება და უღმერთობა ნაცებისა და ლიბერალების მთავარი სამარკო ნიშანი გახლავთ.**

საერთოდ, სარწმუნოება და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია **ენმ**-ის, უცხოური გრანტების **მამალო** კანფეტივით მწუწნავი ენჯეობისა და მათი ევროამერიკელი პატრონების მთავარ სამიზნეს რომ წარმოადგენს, ეს კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოჩნდა გასულ კვირას, როცა თბილისში ჩამოსულმა **გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ,** თავის სეხნია მამაკაცზე გათხოვილმა **მიხაელ როთმა** ქართველებს გვითხრა — **თქვენ რა, მართლმადიდებელი ეკლესიის იმედად აპირებთ ნათელი მომავლის აშენებასო?!**

ე.ი. გათხოვილმა კაცმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია „პროგრესისა“ და „ნათელი მომავლის“ მთავარ წინაღობად გამოგვიცხადა, რაშიც, პრინციპში, არ შემცდარა, რადგან **საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ნამდვილად არის მთავარი შემაკავებელი ბასტიონი ყველა იმ ნეოლიბერალური სიბილწისა და უღმერთობისა, რასაც მიხაელ კლოპნერზე დაქორწინებული მიხაელ როთი და მისთანანი „პროგრესსა“ და „ნათელ მომავალში“ გულისხმობენ.**

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის შეურაცხმყოფელ გათხოვილ კაცს პარლამენტის წინ მიტინგზე სიტყვით გამოსვლისას ტაშს არამხოლოდ **ენმ და მამულის მამალოზე, ანუ უცხოურ გრანტებზე გამცვლელი არასამთავრობოელები**, არამედ ე.წ. გულწრფელი ახალგაზრდებიც უკრავდნენ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ **ენმ**-ის რეჟიმის მიერ 2004-2012 წლებში ქართულ განათლების სისტემაში განხორციელებულმა კვაზილიბერალურმა ინტერვენციამ მიზანს მიაღწია და შეძლო, გამოეყვანა „ახალი ჯიშის ქართველი“, რომელიც სამშობლოს განცდისა და ეროვნული ღირსების შეგრძნებისაგან ისეა დაცლილი, რომ პროტესტიც კი არ უჩნდება, როცა უცხოეთიდან ჩამოსული ნეოკოლონიალისტები სარწმუნოებასა და დედაეკლესიას უგინებენ. პროტესტი კი არა, ხომ გითხარით, ამის გამკეთებლებს აპლოდისმენტით აჯილდოებენ და თვალებში შესციცინებენ.

**ყველაზე მთავარი, რაც „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში ყოფნის 12 წლის განმავლობაში და-**

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# დადგეს!!!

## კვირგვინოსნები



**გიგლა ბარამიძე**
*აღმოსავლეთმცოდნე, პოლიტიკოსი*

**2024 წელი, 17 მაისი — ქართული გენის მორიგი ამღერება!** მამული, ენა, სარწმუნოება! ოჯახი, სამშობლო, წმინდა სამება!

**ნაც-ჭინკა სექტანტებო, ვერ თანაგიგრძნობთ, კეზერას 30 ვერცხლს ებარებოდეთ!**



**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*

კუბილიუსები, ფოტიგები, ჟიგიმანტასები და გიჟიმანტასები მწვალებელთა პარტიის მეგობრები არიან, **ისინი არასდროს ყოფილან საქართველოს ინტერესების დამცველები.** „პირველი არხი“

# ავთანდილ ჯორბენაძე - სიკეთის, პროფესიონალიზმისა და კაცობის გვირგვინი



არიან ადამიანები, რომლებზეც წარსულში ვერ ილაპარაკებ! **ავთანდილ ჯორბენაძე** მომავლის ადამიანი იყო, მან გაუსწრო დროს თავისი სიკეთით, სიმაღლით, კაცობით, ერთგულებით, პატიოსნებით... **იგი გასცდა ყოველდღიური პირქუში და კარჩაკეტილი ეპოქის საზღვრებს, ბოლმიანი ათწლეულების მყინვარებას და თავისი ცხელი გულით გაათბო მრავალთა და მრავალთა წუთისოფელი.**

სადაც არ უნდა ყოფილიყო, იგი გახლდათ თავდადებული მეციხოვნე და გუშაგი ერისა... საქართველოს ჯანდაცვის თავკაცის პოსტი თუ სახელმწიფო მინისტრობა **ავთანდილ ჯორბენაძისათვის** მხოლოდ ის რეგალიები იყო, რომლებიც ვერასოდეს შესწვდებოდა მის უმთავრეს ტიტულს — **ადამიანობას.**

არც ის ყოფილა შემთხვევითი, რომ ქარტეხილებით აღსავსე ცხოვრების შუბისტარზე შემდგარმა, თავისი შემოქმედებითი წვა გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში განაგრძო, **რათა კვლავ ყოფილიყო ადამიანთა გულების უზადო მკურნალი და სიცოცხლის მიმნიჭებელი.**

წინა დღეს ველაპარაკე. მის ახალ წიგნზე ვსაუბრობდით, რომლის საგაზეთო ვერსიაც, ტრადიციულად, „ასავალ-დასავალში“ უნდა დაბეჭდილიყო. ბედნიერი ჩანდა, სულმოუთქმელად ელოდა პირველ შეფასებას. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სულ რამდენიმე საათში მისი გულიც დააგუგუნებდა განშორების რეკვიემს.

**არ ვემშვიდობებით კაცს, რომლის გარდაცვალებაზე ლაპარაკიც კი წარმოუდგენელია,** ხოლო მის უსათნოეს მეუღლეს — **ქალბატონ ნინოს** და უბრწყინვალეს ვაჟკაცებს — **რეზოსა და ბუტას** ნუგეშის სიტყვებთან ერთად უდიდესი სიყვარულით უნდა ვუთხრათ: **ავთანდილ ჯორბენაძე, რომელმაც უკვდავებაში შეაბიჯა,** ძალიან დიდი ადამიანი იყო, ასეთი ადამიანები კი არ კვდებიან!

**ლაშა ნადარეიშვილი**

**საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია**
თანაუგრძნობს ოჯახს, სრულიად საქართველოს და აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის პერსონალს კლინიკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, ჟურნალისტთა ფედერაციის უერთგულესი მეგობრისა და პარტნიორის, ჩვენი კოლეგებისათვის უანგაროდ გვერდში მდგომი პიროვნების

**ავთანდილ ჯორბენაძის**

გარდაცვალების გამო.

ანზორ ბურჯანაძე, გრიგოლ ონიანი, დავით სალარიძე, დემურ ბაღდავაძე, ვალერი ასათიანი, ჯუმბერ ბერაძე, ლაშა ნადარეიშვილი, სპარტაკ ქობულია, აკაკი სიხარულიძე, გიორგი მამაცაშვილი, ნუგზარ ფოფხაძე ოჯახებით **ღრმა მწუხარებით იუწყებიან მეგობრის — გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, სიკეთის უანგაროდ მთესველი რაინდი კაცის**

**ავთანდილ ჯორბენაძის**

გარდაცვალებას და უსამძიმრებენ მის ოჯახს, სამედიცინო საზოგადოებას, სრულიად საქართველოს.

***პანაშვიდი:*** *ორშაბათს, 20 მაისს, სიონის საკათედრო ტაძარში.*
***გამოსვენება:*** *სამშაბათს, 21 მაისს, 14 საათზე, სიონის ტაძრიდან.*

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართველ ჟურნალისტთა ერთგული მეგობარი, თანამდგომი და უანგარო მკურნალი

**ავთანდილ ჯორბენაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და მეგობრებს.




*დასაწყისი მე-2 გვერდზე*

**აშავა, ეს არის განათლების სისტემისა და, უპირველესად, უმაღლესი სასწავლებლების არგაწმენდა ენმ-ისა და „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ ხელდასხმული ვაილექტორებისგან, რომლებიც დღემდე განაგრძნობენ ერთგვარი ფრანკენშტეინული მისიის აღსრულებას და სასწავლო აუდიტორიებში უსამშობლო კოსმოპოლიტი კიბორგების გამოზრდას.**

იქნებ ხელისუფლება ახლა მაინც მიხვდეს, რომ განათლების სისტემას მანამდე სჭირდება შველა, სანამ საქართველოში ჯერ კიდევ არ წარმოადგენენ უმრავლესობას ის ახალგაზრდები, რომელთა ცხოვრების კრედო **ენა, მამული, სარწმუნოება** კი არა, **ენმ, მამალო, ურწმუნოებაა!**

სხვათაშორის, ამ მხრივ პოზიტიური ძვრები უკვე შეინიშნება, რადგან ერთ-ერთი ცნობილი და პრესტიჟულად მიჩნეული უმაღლესი სასწავლებლიდან — **კავკასიის უნივერსიტეტიდან პროტესტის ნიშნად წავიდა გამჭვირვალობის კანონის მოწინააღმდეგე რამდენიმე ლიბერალი ლექტორი, რომელთა შორის ძმები ლევან და დავით ბერძენიშვილებიც არიან.**

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ უცხოეთის გავლენის აგენტურისა და ლიბერალური ფაშიზმის ერთ-ერთი სახე **ნატა ფერაძე** რამდენიმე დღის წინათ საქართველოდან გაიქცა, აქაოდა, **სუს**-ი დაპატიმრებას მიპირებდაო, თამამად შეიძლება ითქვას — **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონი ჯერ არ ამოქმედებულა, მაგრამ საქართველოსთვის სასიკეთო შედეგები უკვე მოაქვს!**

და, საერთოდ, დროა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგეს:

**ენმ საბოლოოდ გაქრეს ქართული პოლიტიკიდან! მამულის მამალოზე გამცვლელ არასამთავრობო ორგანიზაციებს უცხოური შავი ფულის არხები საბოლოოდ გადაეკეტოთ! ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ბოლშევიკური სულისკვეთებით ამხედრებული ურწმუნოები საბოლოოდ აილაგმონ!**

ისე კი, საქართველოში **ენმ, მამალო და ურწმუნოება ენაზე, მამულსა და სარწმუნოებაზე** რომ ვერასოდეს გაიმარჯვებს, ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა 2024 წლის 17 მაისს — საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დაწესებული ოჯახის სიწმინდის დღეს, როცა მთელი საქართველოს მასშტაბით მილიონამდე ადამიანი გამოვიდა ქუჩაში სწორედ **მამულის, ენისა და სარწმუნოების** დასაცავად!

ეს იყო მკაფიო და მკაცრი პასუხი კოლექტიური **ენმ**-ის, **მამულის მამალოზე დამხურდავებელი კოლექტიური ნინოლომჯარიებისა** და ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას მისეულ **ურწმუნოთა** ლეგიონისადმი, რომ საქართველოს ნათელ მომავალს უცხოეთიდან ჩამოსული გათხოვილი კაცები კი არა, ენის, მამულისა და სარწმუნოების ერთგული ქართველი ერი განსაზღვრავს!

***ჯაბა ხუბუა***



**ძმები ბერძენიშვილები კავკასიის უნივერსიტეტიდან წავიდნენ, ნატა ფერაძე კი საქართველოდან გაიქცა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამჭვირვალობის კანონს საქართველოსთვის სასიკეთო შედეგები უკვე მოაქვს!**



## კვირგვინოსნები

**ეკატერინე ხვედელიძე-ივანიშვილი**

*ბიძინა ივანიშვილის მეუღლე*



მე, პირველ რიგში, ვარ მეუღლე, დედა და ბებია და ჩემთვის ისევე, როგორც ნებისმიერი მოქალაქისათვის, **სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, იყოს მშვიდობა ქვეყანაში და ისეთ საქართველოში ვიცხოვროთ, სადაც ქალი ქალობს, კაცი კაცობს, დედას დედა ჰქვია და მამას — მამა!** ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ისეთ საქართველოში, სადაც **ჯვარი იქნება არა უბრალოდ მოდის აქსესუარი, არამედ ჩვენი რწმენის უწმინდესი სიმბოლო,** ისე, როგორც აქამდე იყო საუკუნეების მანძილზე!

დღეს ისევე, როგორც 2011 წელს, **მე გვერდში ვუდგავარ ჩემს მეუღლეს და აბსოლუტურად ვიზიარებ მის შეხედულებებს, ვინაიდან ჩემი მეუღლის ინტერესი ყოველთვის სამშობლოს სიყვარულია!** ის ყოველთვის იყო და იქნება ჩვენი ქვეყნის ინტერესების, იდენტობის და თვითმყოფადობის დამცველი, ვინაიდან **მამული, ენა და სარწმუნოება მისი არა მარტო გენეტიკური კოდი, არამედ სიცოცხლის არსიც არის!**

ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ საქართველო იყოს მდგრადი, ერთიანი და ძლიერი, ძლიერი ეკონომიკით და თავისუფალი ხალხით. **ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ჩვენი ქვეყანა იყოს ევროკავშირის წევრი, თავისი თვითმყოფადობითა და ტრადიციული, ქრისტიანული ღირებულებებით.** არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ვიყოთ ისეთი ევროკავშირის წევრი ქვეყანა, სადაც დაცული იქნება ადამიანის უფლებები, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, **გარანტირებული იქნება ჩვენი რწმენის თავისუფლება ყოველგვარი თავსმოხვეული ფსევდოიდეოლოგიებისგან.**

**მეუფე შიო**

*საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის მოსაყდრე*



ოჯახი ყოველთვის სიწმინდედ ითვლებოდა ჩვენს ეკლესიაში საუკუნეების განმავლობაში, მაგრამ დღეს, როდესაც **მთელ მსოფლიოში ჩვენ ვხედავთ დიდ შეტევას ოჯახურ ღირებულებებზე, აუცილებელი გახდა უფრო აქტიური მხარდაჭერა ოჯახური ღირებულებებისა და მათი წარმოჩენა, როგორც დიდი სიწმინდის.** ადამიანი ღმერთმა დასაბამიდანვე შექმნა, როგორც ოჯახი. ამდენად **ოჯახი არის ყოფიერების ის ფორმა, რომელიც თავად ღვთისგან მოგვეცა ჩვენ.** სწორედ ამიტომ ვუწოდებთ ჩვენ ოჯახს სიწმინდეს.

„რუსთავი-2“

*ქართულ ისტორიოგრაფიაში ბახტრიონის აჯანყების თარიღი გაორებულია. ადრე მიიჩნევდნენ, რომ ქართველთა შეიარაღებული გამოსვლა ყიზილბაშების წინააღმდეგ 1659 წელს მოხდა, ხოლო ამ ბოლო დროს ამ გმირულ ისტორიაში უფრო ხშირად მეორე თარიღი ფიგურირებს — 1660 წელი.*

# არის ბახტრიონი!



**ყველაზე უფრო პესიმისტური გათვლით, მთელი საქართველოს მასშტაბით, ქუჩაში დაახლოებით მილიონი ქართველი გამოვიდა!**

რაც ნამდვილია, ის არის, რომ **ბახტრიონის აჯანყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შუამთის ტყეში ყიზილბაშების მიერ ქართველი მღვდლის გაუპატიურება გახდა,** როცა მამათმავალი დამპყრობლების მიერ გაუბედურებული ქართველი ხუცესი დუშეთში **ზაალ არაგვის-ერისთავთან** ავიდა და შეზარხოშებულ ქართველ თავადებს განუცხადა — **ყიზილბაშებმა ასე და ასე მიქნეს და თუ ამ შეურაცხყოფას მოითმენთ, ურჯულოები თქვენც სათითაოდ აგხდიან ნამუსსო!**

წყაროები ერთხმად მიუთითებენ, რომ ზაალ არაგვის-ერისთავისა და სასახლეში მყოფი სხვა ქართველი თავად-აზნაურების შესაგულიანებლად დიდი როლი ითამაშა **ზაალ არაგვის-ერისთავის ცოლმა,** რომელიც დარბაზში შემოვიდა და იქ მყოფებს მოუწოდა, სასწრაფოდ იარაღი აეღოთ ხელში და ყიზილბაშები გაეწყვიტათ!

**ქართველები აჯანყდნენ...**

მთელი კახეთი და თუშ-ფშავ-ხევსურეთი **ნადირა ხოშარაულის, გოგოლაურის, ზეზვა გაფრინდაულისა** და სხვა სახალხო გმირების მეთაურობით, რომლებსაც **ბიძინა ჩოლოყაშვილი** და **შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები** ხელმძღვანელობდნენ, ბახტრიონსა და ალავერდში შეიჭრნენ და **გაწყვეტილასთან** დაახლოებით 30 ათასამდე ყიზილბაში **ამოწყვიტეს!**

ამ ამბიდან **365 წლის შემდეგ, 2024 წლის 17 მაისს,** ოჯახის სიწმინდის დაცვის დღეს, საქართველოში კიდევ მოხდა **ბახტრიონის აჯანყება,** მაგრამ უსისხლოდ... თუმცა, დარწმუნებული ვართ, რომ ამ უსისხლო ბახტრიონს ქვეყნისთვის იმაზე არანაკლები პოლიტიკური შედეგი ექნება, ვიდრე ყიზილბაშების სისხლში ნაბან ბახტრიონს ჰქონდა. **დღევანდელი ბახტრიონის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ათეული წლების განმავლობაში დაგროვებულ შეურაცხყოფასთან და ევროამერიკულ ცრუქაქუნობასთან ერთად ისიც იყო, რომ გერმანიიდან ჩამოთრეულმა ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, გათხოვილმა კაცმა მიხაელ როთმა უკადრებელი იკადრა და მართლმადიდებლობა შეგვიგინა, ხოლო ამ საშინელი შეურაცხყოფის შემდეგ ეს მართლაცდა „მახროვი" პედერასტი დანარჩენ ამფსონებთან ერთად ოპოზიციის სცენაზე ხვლიკივით აძვრა და მამუკა ხაზარაძეს, სათენიკა სამადაშვილს, კონჩიტა ნიკუტა გვარამიასა** და შარვალჩახდილ **ზურაბ-გირჩს** კოცნა დაუწყო... როგორც მოსალოდნელი იყო, არცერთმა სოდომისტმა ოპოზიციონერმა მომხდარის გამო **როთს** შენიშვნა არ მისცა და ხმადაბლაც კი ვერ ამოიწკმუტუნა, რომ სტუმარი და, მითუმეტეს, დიპლომატი, სხვის ქვეყანაში ასეთ რამეს არ უნდა ბედავდეს!

მოკლედ, თბილისში, შუა რუსთაველზე, ქართველი მამათმავლების, ლესბოსელებისა და უცხოეთიდან მათ მხარდასაჭერად ჩამოთესლებული გათხოვილი კაცებისა თუ ცოლიანი ქალების დოლმა ის შედეგი გამოიღო, რომ **ქართველი ერი გაბრაზდა და დაიქუხა...**

მართლაც, 2024 წლის 17 მაისს მთელი საქართველო ფეხზე დადგა. ყველაზე უფრო პესიმისტური გათვლით, მთელი საქართველოს მასშტაბით, ქუჩაში დაახლოებით მილიონი ქართველი გამოვიდა! მიჩნეულია, რომ მთელი ეროვნული მოძრაობის ისტორიაში თბილისში ყველაზე მეტი ხალხი 1992 წლის 2 თებერვალს შეიკრიბა. ეს დემონსტრაცია საქართველოს დამაქცევრებმა დახვრიტეს.

დიახ, 1992 წლის 2 თებერვლის მიტინგი დღემდე ითვლებოდა კულმინაციად და დაუძლეველ რეკორდად, რადგან იმდენი ხალხის ერთად შეკრება ვერავინ შეძლო, მაგრამ **2024 წლის 17 მაისს ქუჩაში უფრო მეტი ქართველი გამოვიდა და დადასტურდა, რომ ლესბოსელები, მესაჯდომეები, გერმანიიდან ჩამოსული გათხოვილი კაცები და ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრის — კოლბრუნის მსგავსი ცოლიანი ქალები საქართველოში ტახტს ვერასოდეს დაიდგამენ!**

პარალელურად, ხალხმრავალი აქციები გაიმართა ზუგდიდში, ბათუმში, რუსთავში, მესტიაში, თელავში, ახალციხეში და თითქმის ყველა რაიონში, მაგრამ პროცენტულად ყველაზე მეტი ქართველი, ალბათ, მაინც ქუთაისში გამოვიდა!

როგორც მოსალოდნელი იყო, 2024 წლის 17 მაისის ბახტრიონს არ თანაუგრძნობდნენ და განზე გადგნენ ის საყურიანი ბიჭები თუ ჭიპხახუნა გოგოშკები, რომლებსაც თავზე **კეზერაშვილის, ეკა ბიგაურის, სამადაშვილის, ხაზარაძის,** ანდა სულაც **მიხაელ როთის** საწმერთული აქვთ ჩამოცმული და ქვეყანას გამიზნულად მტრობენ. მოკლედ, 17 მაისს მთელი ქართველი ერი გამოვიდა საომრად, რათა ჩვენი მართლმადიდებლობა და ეროვნულობა დაეცვა, ხოლო კეზერაშვილის ცოლისძმის — **დიმა ჩიქოვანის** კარადაში გაიმასქნილები, კლავიატურას მიუსხდნენ და მედიასა და სოციალურ ქსელებში სიბინძურე აფრქვიეს.

ერთმა აქცია გააქილიკა და ღლიცინი დაიწყო — დემონსტრაციაზე ცხენოსნების გამოყვანა რაღა იყოო?! ამის დამწერი იქვე მოაყუჩეს — **„ყ...ზე** (ცენზურა ჩვენია. რედ.) **გადამჯდარი კაცები ცხენზე გადამჯდარ კაცებს ნუ დასცინითო!**

ბოკერიას ისტერიჩკა ცოლმა, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ცხენებისა და ცხენოსნების აბუჩად ასაგდებად სახლში სათამაშო ზებრას გადააჯდა და ამ ქაჯიზმის ამსახველი ფოტო ფეისბუქზე ისე გამოფინა, როგორც ნეტარმა **სოფო ჯაფარიძემ** — სააკაშვილის ნიფხვები და ბოტასები „მომაკვდავი" სააკაშვილის მავზოლეუმში!

ვინმე **დავით სამხარაძემ** ისიც კი ინატრა — **ღმერთო, თუ მართლა არსებობ, 17 მაისს ისეთი წვიმა დაუშვი, მღვდლის ანაფორას ცხენი მიათრევდესო!**

**სამხარაძეს** იქვე უპასუხეს — მამაზეციერს შევთხოვთ, სამი მხრიდან დაგეძგეროს ის, რაც **მიხაელ როთს** მისმა იმავე სქესის ქმარმა საქორწინო ღამეს დაატაკაო.

მამუკა ხაზარაძის ლგბტ „უბორნიის" ცნობილი ბინადარი, უწმინდური **ლაშა ბუღაძე** უფრო შორს წავიდა და დაწერა — **17 მაისი ოჯახის სიწმინდის კი არა, ფარისევლობის დღეაო!**

მაგრამ, რაც „ალ კუპონე" გოცირიძემ ქნა, ისეთი ჯერ არავის უქნია! ცხრა ღობეზე გადამხტარმა და კაგებეშნიკმა არაკაცმა ჯერ ვიდეომიმართვა ჩაწერა და ხალხს მოუწოდა, 17 მაისს აქციაზე ნუ გახვალთო, მერე ეკლესია ლანძღა, ხოლო სულ ბოლოს განგვიმარტა — **17 მაისი ჰომოფობიასთან ბრძოლის დღეა, რომელიც პატრიარქმა მოიპარაო!** თუმცა, ცოტა ხანში **გოცირიძემ** ეს ყველაფერი წაშალა და შეშინებული თახვივით, რომელიც საფრთხის მოახლოების შემთხვევაში საკუთარ ასოს იკვნეტს ხოლმე, დაიმალა...

**მოიკვნიტა თუ არა რომანმა საკუთარი ასო, არ ვიცით, მაგრამ ერთი რამ გასარკვევია** — 1991 წლის შემოდგომაზე, როცა იგი თბილისის ზღვაზე აჯანყებულ **თენგიზ კიტოვანთან** დაეთრეოდა, ერთ-ერთი ვიზიტის დროს ალ-კუპონმა რაღაც წამოაყრანტალა, რის გამოც დასაჯეს და ვიღაც ბანჯგვლიან კაცთან ერთად სადღაც ჩაკეტეს... დაახლოებით ერთი საათის შემდეგ რომან გოცირიძე იმ ოთახიდან თმაგაჩეჩილი, ულვაშებდაპუტული, აზლუქუნებული და ხმაგაწვრილებული გამოვიდა... ხოლო ის ბანჯგვლიანი კაცი, რომელიც ძალიან ჰგავდა **დევი ჭანკოტაძეს,** „შახმატის" ცხენივით იკრიჭებოდა და კიტოვანს თვალს უპაჭუნებდა!

ქვეყანამ იცის, რომ **ლაშა ბუღაძეს** არ ახსოვს სინამდვილეში გააუპატიურეს თუ არა „ტყავისქურთუკიანმა" და „გაბრაზებულმა" კაცებმა, რომლებიც მას ვალსის ცეკვის დროს საეჭვოდ კოცნიდნენ, მაგრამ **იქნებ რომანმა მაინც გაიხსენოს, რა უქნეს პუტჩისტებმა თბილისის ზღვაზე?!**

1659 წელს ბახტრიონთან მთელი საქართველო გაერთიანდა და გაიმარჯვა!

გვჯერა, არც 2024 წლის 17 მაისის ბახტრიონი ჩაივლის უკვალოდ და საქართველო აუცილებლად გაიმარჯვებს!

**დიტო ჩუბინიძე**

## 2024 წლის 17 მაისს დადასტურდა, რომ ლესბოსელები, მესაჯდომეები, გერმანიიდან ჩამოსული გათხოვილი კაცები და ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრის მსგავსი ცოლიანი ქალები საქართველოში ტახტს ვერასოდეს დაიდგამენ!

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ გომელაური**
*შინაგან საქმეთა მინისტრი*



სამწუხაროა, რომ **სალომე ზურაბიშვილი,** რომელმაც გაათავისუფლა **ბრიგორიადისი,** რომელიც პოლიციელებს ცოცხლად წვავდა, ჭკუას გვარიგებს — **ერთ ფაქტს ვერ მოიყვანენ, რომ მომიტინგეების გაწევა ან შეზღუდვა პირველებმა დავიწყეთ.**

„ინტერპრესნიუსი"

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



**ბიძინა ივანიშვილი** არ არის ის პიროვნება, რომელიც ამა თუ იმ მუქარის თუ სანქციების შიშის გამო, უარს იტყვის **საქართველოს ინტერესების და სუვერენიტეტის დაცვაზე,** ასე რომ, მასთან სანქციებით საუბარი არასდროს არის ეფექტური.

„ინტერპრესნიუსი"

**გიგი უგულავა**
*ოპოზიციონერი პოლიტიკოსი*



ეს არის ზამბარა, რომელიც მოხვდებათ ამათ ცხვირში. ჩვენი იარაღი არის **სიმშვიდე, სიმტკიცე, გრძელვადიანი პროტესტი** და ვნახავთ, ვინ უფრო დიდილება.

„ახალი თაობა"

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



მაიდანი გაცილებით ადრე გავიარეთ, **ეს აქციები არის მშვიდობიანი,** ჩვენ გვაქვს არჩევნები და **მე გავუძღვები პროევროპულ ფრონტს ამ არჩევნებში.**

„პირველი არხი"



## ᲕᲐᲤᲝ ᲨᲐᲥᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ Ე.Წ. ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲛᲐᲘᲓᲜᲘᲡ“ ᲙᲠᲐᲮᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲣᲕᲐᲚᲘᲐ!

***გასულ კვირას დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენის მომსწრენი გავხდით — ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაღალი თანამდებობის პირები კოლექტიური ნაცმოძრაობის მიერ ორგანიზებულ მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ და ანტისახელისუფლო განცხადებები გააკეთეს. განსაკუთრებული რადიკალიზმით გამოირჩა გერმანიის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, ერთნაირსქესიან ქორწინებაში მყოფი ᲛᲘᲮᲐᲔᲚ ᲠᲝᲗᲘ, რომელმაც ქართველ ხალხს მიმართა — მართლმადიდებელი ეკლესიის იმედად ნათელ მომავალს ვერ ააშენებთო, ხოლო ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘᲣᲡ ᲚᲐᲜᲓᲡᲑᲔᲠᲒᲘᲡᲛᲐ განაცხადა — ქართველებს ევროკავშირში გაწევრიანება თუ გინდათ, თქვენი სუვერენიტეტის ნაწილი უნდა დათმოთ და ბრიუსელს ჩააბაროთო! სწორედ ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე ვესაუბრებით საზოგადოებრივი მოძრაობის „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“ ერთ-ერთ დამფუძნებელსა და ლიდერს ᲕᲐᲤᲝ ᲨᲐᲥᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲡ:***

— რასაც ახლა საქართველოში ვუყურებთ, ერთი ერთში „კიევის მაიდნის“ სცენარია, მაგრამ დღევანდელი საქართველო იანუკოვიჩის უკრაინა არ არის და არც ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი არიან იმ მდგომარეობაში, რომ თბილისში იმავეს გამეორება შეძლონ, რაც 10 წლის წინათ კიევში გააკეთეს და რამაც უკრაინა სრულ კატასტროფამდე მიიყვანა.

მართალია, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის ემოციურად ძალიან მძიმე იყო იმის ყურება, როგორ გამოდიოდნენ უცხო ქვეყნების პოლიტიკოსები კოლექტიური ნაცმოძრაობის მიტინგზე, მაგრამ პრაგმატული თვალსაზრისით, ძალიან კარგია, რომ ჩვენმა მთავრობამ ეს დაუშვა, რადგან **ᲛᲗᲔᲚᲛᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲛ ᲘᲮᲘᲚᲐ, ᲠᲐ ᲡᲐᲕᲐᲚᲐᲚᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲡ ᲔᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲐ.**

**— და მაინც, რა მიზანი ამოძრავებთ საქართველოსთან მიმართებაში აშშ-ის დღევანდელ ადმინისტრაციასა და გლობალურ ომის პარტიას, რომელშიც ამერიკულ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსსა და უმსხვილეს ტრანსნაციონალურ კომპანიებს მოიაზრებენ?**

— ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და გლობალური ომის პარტიის მთავარი მიზანია, დაამხონ საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლება და მის ადგილას მოიყვანონ მარიონეტული ძალა, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტს გახსნის. მათი ეს სურვილი დღეს გაცილებით უფრო მძაფრია, ვიდრე თუნდაც უკრაინაში ომის დაწყების პირველ ეტაპზე იყო, რადგან

**ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲝᲛᲨᲘ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲣᲚ ᲛᲐᲠᲪᲮᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲔᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ!**

არც ის არის შემთხვევითი, რომ რევოლუციური სცენარის ავანგარდში ბალტიისპირელი პოლიტიკოსები გვევლინებიან.

**— დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ?**

— ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი ცდილობენ, მათკენ მიმავალი ომის ცეცხლი აირიდონ და როგორმე საქართველოში გადმოიტანონ. გარდა ამისა, ბალტიის ქვეყნების დღევანდელი ხელისუფლებები პირდაპირ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შტაბბინიდან იმართებიან და საქართველოშიც სწორედ იქიდან მოავლინეს.

**— თუმცა, კოლექტიური ნაცმოძრაობის მიტინგზე ბალტიისპირელთა გარდა სხვა ევროპული ქვეყნების წარმომადგენლებიც გამოვიდნენ... ასეთია, მაგალითად, გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე მიხაელ როთი, რომელმაც „ქართულ ოცნებას“ „ქართული კოშმარი“ უწოდა!**

— **ᲛᲘᲮᲐᲔᲚ ᲠᲝᲗᲡ,** რომელიც ბიოლოგიურ მამაკაცზეა გათხოვილი, არც დაუმალავს, რომ მისი და მისი პატრონების მთავარი სამიზნე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გახლავთ. მან ჩვენი დედაეკლესია საქართველოს ნათელი მომავლის წინაღობად გამოაცხადა და სცადა, წარმოეჩინა, თითქოს მართლმადიდებლობა რეგრესია, ხოლო აღვირახსნილობა, გარყვნილება, ლიბერალობა და ლგბტ იდეოლოგია — პროგრესი.

ჩვენს ისტორიას ამშვენებენ თევდორე მღვდელი და მისნაირი თავგანწირული გმირები, მაგრამ ისტორიამ ასევე შემოგვინახა ანტიგმირები და მოღალატეები, რომლებიც ხან რომელ დამპყრობელს შემოუძღვებოდნენ საქართველოში და ხან — რომელს. სწორედ ამას ვადევნებდით თვალს რამდენიმე დღის წინათაც, როცა ქართული სახელებისა და გვარების მქონე ადამიანები რუსთაველის გამზირზე დიდი აღტყინებითა და ღიმილიანი სახეებით მოუძღოდნენ უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს, რათა მათთვის რევოლუციისა და საქართველოს დაქცევის სადავეები გადაეცათ.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ **ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲛᲐ ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲛ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲑᲛᲐ ᲡᲐ-**

## „ᲚᲘᲔᲢᲣᲕᲐ, ᲚᲐᲢᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲔᲜ, ᲛᲐᲗᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲐᲘᲠᲘᲓᲝᲜ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲛᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲘᲢᲐᲜᲝᲜ!“



***ლიეტუვის, ლატვიის, ესტონეთისა** და **ისლანდიის** საგარეო საქმეთა მინისტრები თბილისში, **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ საწინააღმდეგო აქციის სცენაზე***

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲠᲘᲛᲐ ᲑᲔᲠᲐᲫᲔ**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე*



საქართველო **ღირსებით და ამაყად** გახდება ევროპული ოჯახის წევრი, ეს ყველაფერი კი იქნება **ქართველი ხალხის ნება და გამოხატულება** 2024-ში, რომელსაც **გამარჯვებით 26 ოქტომბერს დავაგვირგვინებთ.**

„ᲐᲘᲞᲠᲔᲡᲘ“

**ᲖᲣᲠᲐᲑ ᲧᲘᲤᲨᲘᲫᲔ**
*მსახიობი*



ვეცადე, გავრკვეულიყავი ამ კანონის ავკარგიანობაში. **ჩემი შეფასებით, ამ კანონის ქვეყნისთვის მიღება არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს.** მე არ ვიცი, ვინ რა უთხრა ბავშვებს, ვინ გააგიჟა ასე. **ნამდვილად არ ვიქნებოდი კანონის მიღების წინააღმდეგი, მაგრამ აღარ მიღირს!** ძალიან მეშინია, სამოქალაქო ომი არ მოხდეს, ამას ქვეყანა ვეღარ გაუძლებს.

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“

**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲔᲠᲒᲝᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*პარტია „ხალხის ძალის“ წევრი*



**ქართულ ოპოზიციას ეშინია** 2024 წლის არჩევნების, ამიტომ **ის ემზადება ფერადი რევოლუციისათვის.**

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲞᲐᲕᲔᲚ ᲰᲔᲠᲩᲘᲜᲡᲙᲘ**
*საქართველოში ევროკავშირის ელჩი*



„ყველა ქვას გადავაბრუნებთ“, რომ **დავეხმაროთ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში** წინსვლაში.

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“

**ᲐᲜᲠᲘ ᲝᲮᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე*



**პრეზიდენტის ვეტო თუ იქნება ფორმალური,** აცდენილი პრინციპს, რა პრინციპსაც ეფუძნება გამჭვირვალობის კანონპროექტი, **ის იქნება დაძლეული.**

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“



# „საქართველოს ხელისუფლების ლიდერები, რომლებმაც გლობალურ ომის პარტიას დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს, სიკვდილზე მიდიან და თავს წირავენ!“

**ბედისწერო შეცდომა დაუშვეს, როცა უცხო ქვეყნების მაღალი თანამდებობის პირები რუსთაველის გამზირზე დადგნენ და თითქოს კოლონიაში იყვნენ ჩამოსულიო, თითი დაგვიქნიეს, ჩვენი რწმენა, ეკლესია და ტრადიციები დაგმეს, ჩვენს ეროვნულ ღირსებასა და თავმოყვარეობას შეეხნენ.** დარწმუნებული ვარ, ვერც ხვდებიან, რომ თავიანთი ქმედებებით ქართველებში სარწმუნოებისა და სამშობლოს თავისუფლების დაცვის გენეტიკური ინსტინქტი გააღვიძეს, რის გამოც გლობალური ომის პარტია და მისი ემისრები საქართველოში ვერავითარ რევოლუციას ვერ მოაწყობენ!

**— ამბობთ — მთელი ამ პროცესის მიზანი საქართველოს ომში ჩათრევა და რუსეთის საზღვართან ახალი ცხელი წერტილის გაჩენა არისო ... ქართული ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ამას ვერ ხვდებიან თუ საქართველოს უკრაინიზაციის მცდელობაში შეგნებულად მონაწილეობენ?**

— კოლექტიური ნაცმოძრაობა და ლიბერალური ენჯეოები საქართველოს უკრაინიზაციის პროცესში სრულიად გამიზნულად არიან ჩართული, რის გამოც ისტორიაში აუცილებლად დაიმკვიდრებენ ადგილს **კახაბერ ყორღანაშვილებისა და სერგო ორჯონიკიძეების** გვერდით. ესენი ძალაუფლების ხელში ჩაგდების სანაცვლოდ მზად არიან, საქართველო თვალის დაუხამხამებლად გაწირონ ისევე, როგორც 2008 წლის აგვისტოში გააკეთეს, როცა წაგებული ომით და ჩვენი გმირი ჯარისკაცების სისხლით მილიარდები იშოვეს.

საგულისხმოა, რომ რამდენიმე დღის წინათ ჩვენს მეზობელ თურქეთში ჩანასახშივე იქნა აღკვეთილი ქვეყნის გარედან ინსპირირებული სახელმწიფო გადატრიალების მორიგი მცდელობა. სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულების ბრალდებით თურქული პოლიციის რამდენიმე ოფიცერიც დააკავეს და სრულიად ლეგიტიმური საფუძველი გვაქვს, რომ ეს ფაქტი და საქართველოში მიმდინარე პროცესები ერთ კონტექსტში განვიხილოთ.

**— რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ერთმანეთთან თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასა და საქართველოში მიმდინარე საპროტესტო აქციებს?**

— საქართველოში გლობალური ომის პარტიის გამარჯვება ფასს დაკარგავს იმ შემთხვევაში, თუ თურქეთშიც მათთვის სასურველი ხელისუფლება არ იქნება, რადგან ომში ჩართული საქართველოს საბრძოლო საშუალებებითა და ცოცხალი ძალით მომარაგების ლოჯისტიკური წყარო სწორედ თურქეთი უნდა გახდეს. კერძოდ, გლობალური ომის პარტიის გეგმით, ომში ჩათრეულ საქართველოსთან მიმართებაში თურქეთმა ისეთივე როლი უნდა შეასრულოს, როგორიც პოლონეთს უკრაინასთან მიმართებაში აქვს, ანუ, როცა საქართველოს საომარი რესურსი ამოეწურება და არცერთი მეომარი აღარ დარჩება, თურქეთის ტერიტორიიდან უნდა მოხდეს ისლამისტი მებრძოლებისა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოშველება, რათა ომი მაქსიმალურად გახანგრძლივდეს.

თუმცა, **დღეის მდგომარეობით, თურქეთს ჰყავს ხელისუფლება, რომელიც საქართველოსა და მთელ რეგიონში მშვიდობის შენარჩუნებით არის დაინტერესებული, რაც კიდევ ერთხელ გაცხადდა რამდენიმე დღის წინათ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძისა და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ერდოღანის შეხვედრაზე,** როცა ჩვენი მთავრობის მეთაური ანკარაში განსაკუთრებული პატივისცემით მიიღეს და უმაღლესი დონის დახვედრა მოუწყვეს.

შესაბამისად,

## თურქეთის ხელისუფლებაც, საქართველოს ხელისუფლების მსგავსად, გლობალური ომის პარტიის სამიზნეს წარმოადგენს.

**— ისევე, როგორც ქართული სახელმწიფოს მეგობარი, სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი რობერტ ფიცო, რომელიც 15 მაისს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მძიმედ დაჭრეს და სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა?**

— დიახ, სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი **ფიცო** და უნგრეთის პრემიერ-მინისტრი **ორბანი** გლობალური ომის პარტიის სამიზნეებს წარმოადგენენ, რადგან თავიანთ ქვეყნებს „საზარბაზნე ხორცად“ არ წირავენ. რაც შეეხება სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრზე შეიარაღებულ თავდასხმას, არაფერია გამორიცხული, რადგან კარგად ვიცით, რომ **გლობალური ომის პარტია და აშშ-ის სპეცსამსახურები თავიანთი მიზნების გამო ყველაფერზე არიან წამსვლელი.** აკი, აშშ-ის 35-ე პრეზიდენტის **ჯონ კენედის** ძმისშვილი **რობერტ კენედი უმცროსი** ხმამაღლა საუბრობს, რომ მისი ბიძა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ორგანიზებით იქნა მოკლული.

ისიც ნიშანდობლივია, რომ სლოვაკეთის კონსერვატორ პრემიერ **ფიცოს** 71 წლის ლიბერალმა მწერალმა ესროლა, ანუ ნახევრად ხუმრობით თუ ვიტყვით, **სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრს ხანდაზმული „ლაშა ბუღაძე“ კლავდა!**

**— სხვათაშორის, სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრზე მომხდარი თავდასხმის შემდეგ ბევრი შიშობს, რომ შესაძლოა, საქართველოს ხელისუფლების პირველი პირების სიცოცხლესაც საფრთხე დაემუქროს!**

— პატარა საქართველოს ლიდერებმა, ბიძინა ივანიშვილის თაოსნობით, ძალიან სერიოზული ზიანი მიაყენეს გლობალური ომის პარტიას, რომელსაც ნიღაბი ჩამოხსნეს და ქართველ ხალხთან ერთად ბრძოლის არაერთი რაუნდი მოუგეს, რის გამოც მათი პოლიტიკური ან, ღმერთმა დაიფაროთ, ფიზიკური განეიტრალება ნამდვილად არის გლობალური ომის პარტიის ამოცანა. განა ცოტა მაგალითი გვაქვს, რაზე არიან წამსვლელი ნაცმოძრაობა და მისი უცხოელი პატრონები? თუნდაც **ზურაბ ჟვანიას** მკვლელობა გავიხსენოთ, **ბადრი პატარკაციშვილის** ამბავი გავიხსენოთ... პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ხელისუფლების ლიდერები, რომლებმაც გლობალურ ომის პარტიას დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს, სიკვდილზე მიდიან და თავს წირავენ!

**— და მაინც, ამბობთ, რომ ყველაფრის მიუხედავად, საქართველოში დაგეგმილი რევოლუცია არ გამოუვათ, მაგრამ რა გაძლევთ ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს მაშინ, როცა ქართული სახელმწიფო დასავლური სამყაროსაგან უპრეცედენტო ზეწოლას განიცდის?**

— შეცვლილი გეოპოლიტიკური ვითარება და მსოფლიოში ძალთა ახლებური გადანაწილება, საქართველოს ხელისუფლების გონიერება და პრაგმატიზმი, ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობის განწყობა და შემართება, ჩვენი ერისა და ბერის ერთობა, რაც 2024 წლის 17 მაისს მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ დავანახვეთ! — ამ ფაქტორთა ერთობლიობის წყალობით, საქართველოში ე.წ. ფერადი რევოლუციისა და „თბილისური მაიდნის“ კრახი გარდაუვალია!

*ესაუბრა*
*გიორგი ძაძამია*



სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი რობერტ ფიცო



*ლიბერალი სლოვაკი მწერალი, 71 წლის იურაი ჩინტულა, რომელმაც სლოვაკეთის პრემიერს ესროლა*



*ლიბერალი ქართველი მწერალი, 47 წლის ლაშა ბუღაძე*

## „სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრს ხანდაზმული „ლაშა ბუღაძე“ კლავდა!“

## კვირგვინოსნები



**ლევან ლორთქიფანიძე**
*პოლიტოლოგი*

ამ ახალგაზრდების ერთ-ერთი გამოწვევაა, რომ **არ აჰყვნენ დესტრუქციულ ძალებს.** ახალგაზრდებს სრული დისტანცია უნდა ჰქონდეთ პოლიტიკურ პარტიებსა და ლიდერებთან. **უარი უნდა თქვან დაძაბვაზე, „მოლოტოვის კოქტეილებზე“, სადღაც შევარდნაზე.**

„კვირის პალიტრა“



**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*

წარმოუდგენელი რამ მოხდა — **პირადად ვიყავი მოწმე იმისა, თუ როგორ ახდენდნენ ზეწოლას ქართულ მხარეზე, რათა უკრაინის კონფლიქტში ჩართულიყო საკუთარ კონფლიქტურ ტერიტორიებზე გააქტიურებით.** დასავლურმა საბანკო სისტემამ კი რთულ ვითარებაში ჩააგდო.

აქ რომ სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყოს, **რუსეთი აუცილებლად გააკეთებს იმის მოდელირებას, რომ ვითომ ოფიციალურმა თბილისმა დახმარება სთხოვა.** არ გაუკეთებია აქამდე ასეთი რამ, თუ რა? ყველაზე ცუდი ის არის, **მოსკოვში უკვე საუბრობენ საქართველოს „დახმარებაზე“.**

„კვირის პალიტრა“



**ბაიბა ბრაჟე**
*ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი*

იმედი გვაქვს, **ვეტო გამოყენებული იქნება კანონის სრულად გადახედვისთვის** და შესაბამისობაში მოვა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის კრიტერიუმებთან.

„იმედინიუსი“



**ეკა სეფაშვილი**
*პარტია „ხალხის ძალის“ წევრი*

**მივმართავ მოსახლეობას, ნუ შეგეშინდებათ** — ასოცირების შეთანხმება, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, ვიზალიბერალიზაცია, კანდიდატის სტატუსი — **ეს ის მიღწევებია, რომლებსაც ბოლომდე დავიცავთ.**

„იმედინიუსი“




„აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ისტორიის სწორ მხარეს ვდგავარ!“



„საქართველოში ვერც 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ განმეორდება და ვერც – 2014 წლის „კიევური მაიდანი!“

## კახა კახიშვილი:

# თუ საქართველოს სუვერენიტეტის დაცვა მონობას ნიშნავს, ნამდვილად ვარ ჩემი ქვეყნის, ჩემი ოჯახისა და ჩემი სარწმუნოების მონა!

***საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ ვესაუბრებით საპარლამენტო უმრავლესობის წევრ კახა კახიშვილს, რომელმაც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს სამივე მოსმენით დაუჭირა მხარი:***

— რამდენიმე კვირაა, ვუყურებთ პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ აქციებს, სადაც ცდილობენ, ახალგაზრდებს ჩაუნერგონ, რომ სამშობლოს, ოჯახის, ეკლესიისა და რელიგიის პატივისცემა **„გოიმობა“** და **„ჩამორჩენილობაა“**, ხოლო უსამშობლობა, ოჯახის უპატივცემულობა და რელიგიის უარყოფა — **„ევროპელობა“** და **„პროგრესი“**. სწორედ ამას გასცა მკაფიო პასუხი ურიცხვმა ადამიანმა, რომელიც 17 მაისს მთელი საქართველოს მასშტაბით გამოვიდა ქუჩაში საკუთარი რწმენის, ღირსების, ოჯახის, ქვეყნისა და ტრადიციების დასაცავად.

**— საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის აღშფოთება იმანაც ხომ არ გამოიწვია, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაღალჩინოსნები რუსთაველის გამზირზე ნაცპოზიციის აქციას შეუერთდნენ და ლამის პირდაპირ მოითხოვეს ხელისუფლების დამხობა, ზოგიერთმა მათგანმა კი ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ნათელი მომავლის ხელშემშლელ ფაქტორად გამოაცხადა?**

— როცა ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები მთელი ამ ხნის განმავლობაში აცხადებდნენ, რომ **გლობალური ომის პარტია** საქართველოს ომში ექაჩება, მავანი მუდმივად სვამდა კითხვას — **აბა, ვინ არის და სად არის გლობალური ომის პარტია?** იმედი მაქვს, ამიერიდან ეს კითხვა აღარ დაისმება, რადგან რამდენიმე დღის წინათ ყველამ ვნახეთ უცხოეთიდან ჩამოსული გლობალური ომის პარტიის კონკრეტული წარმომადგენლები, რომლებიც თბილისში, პარლამენტის შენობის წინ, ზუსტად ისე იდგნენ მიტინგის სცენაზე, როგორც უკრაინაში „კიევური მაიდნის“ დროს, როცა უკრაინელებს ხელისუფლების დამხობისაკენ მოუწოდებდნენ და მიაღწიეს კიდეც ამას.

ბალტიის ქვეყნები, რომელთა საგარეო საქმეთა მინისტრებიც თბილისში ანტისახელისუფლო და ვითომ ანტირუსულ აქციას შეუერთდნენ, დღემდე ძალიან აქტიურად არიან ჩართული რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობებში, მაგრამ ეს მათ მორალზე არ მოქმედებს. სამაგიეროდ, უკრაინას მოუწოდებენ, რუსეთს ბოლო უკრაინელამდე ეომოს და იგივე მცდელობა აქვთ საქართველოსთან მიმართებაშიც, უბრალოდ, ჩვენთან ჯერ ხელისუფლების შეცვლა სჭირდებათ, რათა შემდეგ ქვეყანა ფიზიკურად ჩართონ გლობალური მასშტაბის გეოპოლიტიკურ კონფლიქტებში და ქართველების სისხლის ხარჯზე სცადონ რუსეთისათვის დამატებითი პრობლემების შექმნა.

**— ევროკავშირიდან და აშშ-იდან სულ უფრო აქტიურად ისმის მუქარა, რომ სანქციებს დაუწესებენ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიმღებ 84 დეპუტატს, რომელსაც თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციის ორგანიზატორები და მონაწილეები „რუსეთის მონებს“ ეძახიან. მათ შორის, ალბათ, თქვენც მოიაზრებით, როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრი.**

— დიახ, 83 დეპუტატთან ერთად მეც სამივე მოსმენით დავუჭირე მხარი გამჭვირვალობის კანონს და თუ მონობაზეა საუბარი, **დიახ, ჩვენ ვართ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის, ჩვენი ოჯახებისა და ჩვენი რელიგიის მონები!**

კიდევ ერთხელ ხმამაღლა ვაცხადებ: თუ საქართველოს სუვერენიტეტის დაცვა მონობას ნიშნავს, ნამდვილად ვარ ჩემი ქვეყნის, ჩემი ოჯახის და ჩემი სარწმუნოების მონა!

**— ე.ი. უცხოური სანქციების არ გეშინიათ?**

— მორალურად მართალი რომ არ ვიყო, სანქციების კი არა, ქუჩაში გამოსვლისაც შემეშინდებოდა, მაგრამ არ მეშინია, რადგან აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ისტორიის სწორ მხარეს ვდგავარ!

ისე კი, ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა, რის მცდელობასაც ახლა ვადევნებთ თვალს, მიმდინარე წლის შემოდგომაზე იგეგმებოდა, როცა 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს გაყალბებულად გამოაცხადებდნენ და 27 ოქტომბრიდან დაიწყებდნენ რევოლუციური სცენარის აღსრულებას.

**— გამოდის, რომ გამჭვირვალობის კანონის ხელახლა ინიცირებით „ქართულმა ოცნებამ“ კოლექტიური ნაცმოძრაობასა და მის უცხოელ პატრონებს გეგმები აურია და დალაგებული პოლიტიკური ბანქო აუჭრა?**

— დიახ, ის, რაც ხდება, ჯობდა, ახლა მომხდარიყო, ვიდრე — შემოდგომაზე. თუ დღეს სამფურცლიანი კანონის გამო ცდილობენ ხელისუფლების დამხობას, შემოდგომაზე ამისათვის ბევრად უფრო დამაჯერებელი მიზეზი ექნებოდათ, რადგან იტყოდნენ, რომ მმართველმა ძალამ არჩევნები გააყალბა და ხელისუფლების უზურპაციას ცდილობს. დარწმუნებული ვარ, ამ პროცესში საკუთარი როლი ექნებოდა საქართველოს ე.წ. პრეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილს,** რომელიც არჩევნებს არალეგიტიმურად გამოაცხადებდა და მას მხარს აუბამდნენ არამხოლოდ ის უცხოელი პოლიტიკოსები, რომლებიც რამდენიმე დღის წინათ თბილისში მიტინგის სცენაზე ვიხილეთ, არამედ ევროკავშირის უფრო მაღალი რანგის თანამდებობის პირებიც.

**— კი მაგრამ, რატომ არის გამორიცხული, რომ ისინი შემოდგომაზე მაინც გააკეთებენ იმას, რაც ჩაფიქრებული ჰქონდათ?**

— გამორიცხული არაფერია, მაგრამ ჩვენი საზოგადოების დიდმა ნაწილმა უკვე დაინახა ის სცენარი, რომელიც საპარლამენტო არჩევნების მეორე დღეს უნდა ამოქმედებულიყო, ამ პრევენციას კი შედეგი აუცილებლად ექნება. შემოდგომაზე, როცა უკვე მეორედ მოინდომებენ ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლას, დიდი ალბათობით, ფიზიკური და ფინანსური რესურსი აღარ ეყოფათ, რაც მთავარია, ბოლომდე ლუსტრირებული იქნებიან და საზოგადოების უდიდესი ნაწილის თვალში ნდობა საერთოდ აღარ ექნებათ. მითუმეტეს, **გამჭვირვალობის კანონი უკვე მიღებულია და საზოგადოება მალე იხილავს, თუ რამხელა ფინანსები შემოდიოდა საქართველოში ხელისუფლების ძალადობრივი გზით შესაცვლელად.**

**— თუმცა, კოლექტიური დასავლეთიდან მომდინარე არნახული ზეწოლის შემხედვარე, ქართველი საზოგადოების ნაწილი მაინც შიშობს, რომ შეიძლება, საქმე არჩევნებამდე ვერც მივიდეს და ხელისუფლება მანამდე დაამხონ!**

— მინდა, ყველას ვუთხრა, რომ საქართველოში ვერც 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ გამეორდება და ვერც — 2014 წლის „კიევური მაიდანი“. 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები არალეგიტიმურად რომც გამოაცხადონ და ახალარჩეულ პარლამენტს უფლებამოსილების განხორციელების საშუალება არ მისცენ, მუშაობას გააგრძელებს ძველი პარლამენტი, რომელიც, მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, უფლებამოსილია, დააკომპლექტოს მთავრობა. „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობა, რომელიც ახლა ძალიან მტკიცედ უძლებს უზარმაზარ ზეწოლასა და ბულინგს, მომავალშიც ყველანაირ კატაკლიზმს გაუმკლავდება და გპირდებით, ჩვენს ქვეყანას არავის დავაღუპვინებთ!

**— რას იტყვით იმასთან დაკავშირებით, რომ პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა უკვე გამოაცხადა — საპარლამენტო არჩევნებში პროევროპული ფრონტის ლიდერი ვიქნებიო?**

— ე.წ. პრეზიდენტი ზურაბიშვილი უკვე წლებია, ქვეყანაში პრობლემების შესაქმნელად მუშაობს, რადგან არასოდეს ყოფილა და არც დღეს არის საქართველოს გულშემატკივარი. სხვა თუ არაფერი, **სალომე ზურაბიშვილმა** ისიც კი ვერ შეძლო, საკუთარი შვილები დაერწმუნებინა, დროებით მაინც ეცხოვრათ იმ ქვეყანაში, რომლის პრეზიდენტიც თავად არის. იგი არ გრძნობს საქართველოს წინაშე პასუხისმგებლობას და არ უყვარს ეს ქვეყანა, რომელიც მისთვის მხოლოდ კარიერული ასპარეზია და მეტი არაფერი. თუ რევოლუცია არ მოხდა და ისევ რამე თანამდებობა ვერ მოივაჭრა, დარწმუნებული ვარ, მეორე დღესვე წავა საქართველოდან და დემოკრატიაზე ლექციების კითხვას დაიწყებს იმ ქვეყანაში, რომლის ინსტრუქციებსაც ახლა ასრულებს.

**— და მაინც, რა შედეგს ელოდებით ამა წლის 26 ოქტომბერს გასამართ საპარლამენტო არჩევნებში?**

— ყველა კომპეტენტური და სანდო სოციოლოგიური კვლევა ცალსახად მიუთითებს, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს და ისეთი უმრავლესობით მოვა, რომ მთავრობა ერთპიროვნულად დააკომპლექტოს, შესაბამისად, ვერანაირ კოალიციურ მთავრობაზე საუბარი ვერ იქნება.

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**სოზარ სუბარი**
*პარტია „ხალხის ძალის“ ლიდერი*



წარმოიდგინეთ, საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე **ჩავიდეს გერმანიაში ან ლიეტუვაში, გავიდეს მიტინგზე, სადაც მთავრობის დამხობას ითხოვენ და გააკეთოს მომიტინგეთა მხარდამჭერი განცხადებები.** ასევე, გააკრიტიკოს ლიეტუვის ან გერმანიის, ვთქვათ, ლუთერანული ან კათოლიკური ეკლესია და **თქვას, რომ ეს ეკლესიები არ ასახავენ ლიეტუვის ან გერმანელი ხალხის ინტერესებს, რა მოხდება ასეთ შემთხვევაში?**

„იმედინიუსი“

**ნანა კაკაბაძე**
*არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი*



„რევიზორებს“ საქართველოს ხელისუფლებამ თავისი ადგილი მიუჩინა და პირდაპირ მიანიშნა, რომ **ამ ქვეყანას ქართველი ხალხის მიერ არჩეული მთავრობა მართავს და არა ცკ-ის ინსტრუქტორები,** სულ ერთია, ისინი **მოსკოვიდან** იქნებიან, **ვაშინგტონიდან თუ ბრიუსელიდან.**

„იმედინიუსი“

**ალეკო ელისაშვილი**
*პარლამენტარი*



ჩვენ ხალხს შევპირდით, რომ **ნაციონალური მოძრაობა თავისი სიბოროტით ვერასოდეს ვერ დაბრუნდებოდა ხელისუფლებაში** და დღეს დადიან ტურებივით და ხალხს ეუბნებიან, რომ **„ჩვენ მოვდივართ ხელისუფლებაში“.** სიცოცხლის ფასად რომ დამიჯდეს, **თქვენი ნასახი არ იქნება ხელისუფლებაში.**

„აიპრესი“

ჰიტლერი, გებელსი, ბორმანი და როზენბერგი, რომლებმაც არიული სისხლის გასაწმენდად გერმანიაში „ცისფერები“ და ნარკომანები ერთიანად გაჟუჟეს, როგორც ჩანს, საფლავში ტრიალებენ, რადგან წინა კვირას ევროპიდან, კერძოდ, გერმანიიდან, საქართველოში გათხოვილი კაცი მიხაელ როთი ჩამოვიდა!

# ევროპიდან გათხოვილი კაცი ჩამოვიდა და ეკლესია შეგვიგინა!

როთი მარტო არ ყოფილა, მას გვერდს უმშვენებდნენ ლიეტუვის, ჩეხეთის, ფინეთისა და პოლონეთის პარლამენტების საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების თავმჯდომარეები, რომლებმაც **„ოპოზიციისა“** და საყურიანი ბიჭების გაერთიანებულ მიტინგზე ყელი მოიღერეს და 3 000-მდე ეგზალტირებული პროტესტანტის ჯლავილი ქართველი ერის ხმად შერაცხეს. უფრო მეტიც, **მიხაელ როთმა** ქართველთათვის უწმინდეს მართლმადიდებლობას შეუტია და არაორაზროვანი გესლით იკითხა:

*ძვირფასო ამომრჩევლებო, გსურთ, რომ დაკარგოთ თქვენი შვილები და შვილიშვილები? იმიტომ, რომ სწორედ ახლა ქუჩაში დემონსტრაციას ახალგაზრდა თაობა მართავს და თუ ეს ახალგაზრდა თაობა დაკარგავს ნდობას საკუთარი ქვეყნის მიმართ, ის დატოვებს ამ ქვეყანას. ჩვენ დიდად მივესალმებით მათ, ისინი არიან განათლებული, გამოცდილების მქონე, ნიჭიერი, ერთგული ევროპელები,* ***თუმცა, როგორ შეძლებთ თქვენ, შექმნათ ნათელი მომავალი საქართველოსთვის ახალგაზრდა თაობის გარეშე? მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიით, რომელიც მმართველი პარტიის ერთ-ერთი უახლოესი მოკავშირეა?***

ჩვენ არ შევუდგებით ამ ტუტუცური და იქედნური მონოლოგის პუნქტობრივ განხილვა-გაქიაქებას, მაგრამ ერთს აუცილებლად ვიტყვით — **სტუმარს და მით უფრო გარყვნილ მამათმავალს, არა აქვს მორალური უფლება, მასპინძელ ქვეყანაში ასე თავხედურად მოიქცეს!** აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ როთისნაირ გათხოვილ და ამორალურ ნაკაცარს საერთოდ არა აქვს მართლმადიდებლობასა და რელიგიაზე ლაპარაკის უფლება!

როთმა და მისმა ამფსონებმა მიტინგსა თუ ჟურნალისტებთან სხვა რამეებზეც იყრანტალეს, მაგრამ ჩვენ ამ სისულელეებზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ერთი კია, როგორც ევროპელი და ამერიკელი „რევიზორები“ ამ ბოლო დროს საქართველოში იქცევიან, ასე ბრიტანელი ოკუპანტები და მწვალებლები არ იქცეოდნენ ინდოეთში. უფრო მეტიც, ასე მოქცევას თვით **ბენადი კოლბინი** — კრემლის თვალი-ყური კი ვერ ბედავდა საქართველოში.



**გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე მიხაელ როთი და მისი მეორე ნახევარი მიხაელ კლოპნერი** ქორწინების დროს და ქორწინების შემდეგ





## ვინ არის მიხაელ როთი და როგორ მოხვდა ოპოზიციონერთა მიტინგზე

მიუხედავად იმისა, რომ პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** როთი და მისი ამფსონები წინასწარ გააფრთხილა — ახლა არ არის ყველაზე საუკეთესო დრო საქართველოში ჩამოსასვლელადო, ევროპელები მაინც ჩამოლაგდნენ და მანგუსტებივით ახტნენ სცენაზე. **ეს ფაქტი კიდევ უფრო აძლიერებს და სარწმუნოს ხდის ხმებს იმის შესახებ, რომ ძალლიშვილმა კეზერაშვილმა როთი და მისი მხლებლები მოისყიდა და თბილისში მათი ვიზიტის სანაცვლოდ ფული გადაიხადა!**

აშკარაა, რომ როთები, პავლიონისები თუ ლანდსბერგისები, რომლის მამამაც, სხვათაშორის, ზვიად გამსახურდიას შუა ბრძოლაში უღალატა და თავისი ცრუქაქუნული პოზიციით საქართველოს პირველ პრეზიდენტს ზურგში მახვილი ჩასცა, საქართველოს დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ არ აღიქვამენ. სწორედ ამიტომ გვექცევიან ასე. სწორედ ამ სამარცხვინო ბაქანალიის აღსაკვეთად გვჭირდება კანონი **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“,** რომელიც ყველას თავის ადგილს მიუჩენს.

ახლა კი იმის შესახებ, თუ ვინ არის სინამდვილეში **მიხაელ როთი,** რომელმაც მართლმადიდებლობა შეურაცხყო!

54 წლის პოლიტოლოგი, ევანგელისტი **მიხაელ როთი** გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე და გაქანებული მეკურტუმეა.

2012 წლის 24 აგვისტოს, ავადსახსენებელი „ბართლომეს ღამის“ ზუსტად 440 წლისთავზე, **მიხაელ როთი** გათხოვდა და ცოლად გაჰყვა ვინმე **მიხაელ კლოპნერს.** გარყვნილმა სოდომისტებმა ჰესენის მახლობლად ქალაქ როტენბურგის კოლეგიალურ ეკლესიაში იფსკვნეს ჯვარი და სოდომ-გომორული აღებ-მიცემობა გააჩაღეს.

როგორც **1572 წლის 24 აგვისტოს** არბევდნენ და კლავდნენ კათოლიკეები ანრი ნავარელისა და მარგარიტა ვალუას ქორწილში ჩამოსულ ჰუგენოტებს, ამ პარიზული ბატალიებიდან 440 წლის შემდეგ, **2012 წლის 24 აგვისტოს,** სწორედ ისე „მოკლა“ და „მიაჰიტლერკაპუტა“ კონჩიტა **მიხაელ როთის** უკანალი მისმა ქმარმა **მიხაელ კლოპნერმა!**

პროგრამისტებმა და მობილური ტელეფონის ხელოსნებმა ძალიან კარგად იციან, რას ნიშნავს ტერმინი **„დარუთვა“.** როგორც **მიხაელ როთი** არის ყოველი მხრიდან მოხმარებული, სწორედ ამ დღეში ვარდება დარუთვის შემდეგ ტელეფონიც. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, **დარუთვა** არის ერთგვარი მანიპულაცია, რის შემდეგაც მობილური ტელეფონი, გაჯეტი, ლეპტოპი ან სხვა სახის ციფრული მოწყობილობა ამა თუ იმ პროგრამისა და აპლიკაციის მიმართ ადვილად მოწყვლადი ხდება.

**მოწყვლადისა** რა მოგახსენოთ, მაგრამ, ვინც კონჩიტა **მიხაელ როთის** გზას დაადგება, უკანალს შარაზე გადადებს და სოდომიას აირჩევს, ის **მიხაელ როთის** მსგავსად აუცილებლად **მოტყ....ადი *(ცენზურა ჩვენია. რედ.)*** გახდება!

ისე, საქართველოს შეუძლია **მიხაელ როთს** მიეხმაროს და მისი **სახმარი ღირებულება** გაზარდოს. ვფიქრობთ, საყურიანი ბიჭებისა თუ ლესბოსელთა გაერთიანებულ აქციაზე უკანალმოფახფახებული **მიხაელ როთი** და ისლანდიის საგარეო საქმეთა ლესბოსელი მინისტრი **კოლბრუნი** მუდმივად უნდა იდგნენ და გაუჩერებლად ღნაოდნენ — **„ალა ლუშულ კანონს!“**

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**მიხაელ როთი**
*ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე*

**როგორ უნდა შექმნა ნათელი მომავალი** საქართველოს ახალგაზრდა თაობის გარეშე? **მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიით,** რომელიც მმართველი პარტიის ყველაზე მჭიდრო მოკავშირეა? ეცადეთ, აბა, ამის გაკეთება!

„რეზონანსი“



**სებასტიან ტინქინენი**
*ფინეთის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე*

იმედი გვაქვს, რომ **პრეზიდენტი ვეტოს გამოიყენებს** და ამის შემდეგ იმედი გვაქვს, რომ **მთავრობა შეაჩერებს ამ გიჟურ კანონპროექტს.** არის სხვა პრობლემური კანონპროექტებიც, მაგალითად, **ლგბტქ კანონი, რომელიც ასევე ევროკავშირის ღირებულებებს ეწინააღმდეგება.**

„იმედინიუსი“



**ჯიმ ო'ბრაიენი**
*ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე*

არც პროცესი და არც თავად კანონი **არ არის შესაბამისობაში ევროკავშირის სტანდარტებთან,** თუკი კანონი შეიცვლება ისე, **რაც დააკმაყოფილებს ევროკავშირის სტანდარტებს,** ეს გააძლიერებს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორობას.

„იმედინიუსი“



**ალექსეი გონჩარენკო**
*უკრაინის რადის ოპოზიციონერი დეპუტატი*

პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი** ვეტოს დაადებს ამ კანონპროექტს. ამას მმართველი პარტია **„ქართული ოცნება“, რომელიც, ფაქტობრივად, „კრემლია“,** დაძლევს და უკვე ამ შემოდგომაზე ექნებათ არჩევნები, მაგრამ **ეს არჩევნები მხოლოდ ფორმალობაა** და ამიტომაც არის შესაძლებელი რევოლუცია იქ უკვე შემოდგომაზე და **ან ექნებათ რევოლუცია, ან გახდებიან ბელარუსი-2.**

„რეზონანსი“

# მოგელანდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

# ოკრაინაში მიჭუჭყნეს!



რაო, **სალომე ბაბო, მიგჭუჭყნეს სადღაც ოკრაინაში და საქართველოს გერბის ქვეშაც არ დაგაყენეს?** მითუმეტეს, როცა აცხადებ — მე ვიქნები ევროპული ფრონტის ლიდერი ამ არჩევნებზეო.

**რა ფრონტი, ქალო,** რი შაშა-კოლა და რომელი ელტონ ჭყონია? სადაც შენ უმიზნებ, **მკვლელების, ყაჩაღებისა და დედამოკლულების ფრონტია** და არა — ევროპელებისა!

☺

რაო, დაგპირდნენ, სიაში ჩაგსვამთო?

ეგენი დაგპირდნენ, სადღაც **ოკრაინაში რომ მიგჭუჭყნეს?** მკვლელებთან საქმე ჩაგიწყეს?

რაო, შენმა სირთაოზა ძმამ, კარგიაო? პარლამენტში მოხვდები და 4 წელიწადი კიდე იბაირამებო?

შენ რას გედავები? ჩვენი ბრალია... ყველაფერი ჩვენი ბრალია!

მე პირადად ინაუგურაციამდე დავიკბინე თითები, მაგრამ რაღა დროსი იყო?

იცი, რა მითხრეს, მაშინ? მოვიდა ორბელიანების სასახლეში თავის გორჯესტანებთან ერთად და ატეხა ერთი ამბავი — **შპალერი არ მომწონს, ფერები არ მომწონს, ჯამ-ჭურჭელი არ მომწონს, ლუსტრები არ მომწონს, ნოხები არ მომწონს, სასწრაფოდ შეცვალეთო.**

მერე, რა ქენით-მეთქი?

შევცვალეთ, მა რა უნდა გვექნაო? გორჯესტანები იძახდნენ — განათება არასწორად არი დაყენებული, ასე კი არა, ისე უნდა მოდიოდეს შუქიო, გაგვაგიჟეს, ჭკუიდან გადაგვიყვანესო.

☺

ჰო, კიდე მაშინ დავიკბინე თითები, ინაუგურაციაზე ათასი მათხოვარი და პროვოკატორი რომ დაპატიჟე!

მეო, **ევროპული ფრონტის ლიდერი ვიქნებიო.** კი მაგრამ, სად არი ევროპული ფრონტი?

შენ **მეხრიბაკიანები, ბასიევები, კურკუმალები, ტუტრუცანები და აპრაკუნე ჭიმჭიმელები** ევროპელები გგონია?

**ეგენი კი არა, შენ, ფრანციაში დაბადებული და გაზრდილიც კი, არ ხარ ევროპელი არც შეგნებით, არც გაგებით, არც მენტალიტეტით და არც სინდის-უნამუსობით!**

# ხომ შეიძლება, ეგეც ეკიდოს!



ბოლო ერთი თვის განმავლობაში ბევრი იმათგანი, აქამდე კაცი რომ მეგონა, ჩათლახთა მხარეს დადგა. ერთმა ისიც კი დაწერა — **იმათკენ გადაველ და ძალიანაც ვამაყობო.**

მეორემ მიუწერა — **რას ამბობ, კაცო, ხვალ რას შვრები, ეკლესიის მიერ დაწესებულ დღეზე რასა იქმ, ოჯახზე რას ფიქრობო?**

— ორივე **მკიდიაო**!

— რა **გკიდია,** ეკლესია და ოჯახიო?

— დიახ, ორივე **მკიდიაო,** აემ თავდადებული „რუსული კანონის" გამპროტესტებლების გარდაო...

მე კიდე აქამდე მეგონა, რომ არც ეკლესია **ეკიდა** და არც ოჯახი. არადა, თურმე, **ჰკიდია.**

☺

წარმოგიდგენიათ? ზოგი ისეთი გადახტუნდა თავით ნაცებში, **სააკაშვილმა** ტყავი რომ გააძრო, საკანში ფეხებით **დაკიდა** და ჭრილობებზე მარილი დააყარა.

შეიძლება ამ ხელისუფლებამ გაგაბრაზოს ან ღვაწლი სათანადოდ ვერ დაგიფასოს, მაგრამ შენ, რომელიც ციხიდან დაგიხსნა, სიცოცხლე გაგიხანგრძლივა, თოკიდან ჩამოგხსნა, **ისევ მწამებლებთან რანაირად ხტუნდები?**

☺

არა, მე მაინც იქა ვარ... ეკლესიაც **მკიდია** და ოჯახიცო.

ვააახ, ვიღაცა ანაცუა-ბანაცუაზე კი არ გელაპარაკებით, მეომარი კაცია, ნაღვაწ-ნატანჯი, ნაცებთან ნაომარი.

**მკიდია** და **მკიდიაო...**

ისე, ამასწინებზე თოხი დავკარგე, ველარ ვპოულობ და ხომ შეიძლება, **ეგეც ეკიდოს**?

# აგი უბედური გახსოვთ?!



**რაც პრეზიდენტობა ჩამოართვეს, მთლად წავიდა ხელიდან** — გალოთდა, „კარბიდის" არყის სმა დაიწყო, გაბეჩავდა, ილაჯი გაუწყდა, წვერის გაპარსვის ხალისიც აღარა აქვს, კარტოფილს ჩხუბით ათესინებს ცოლი, მაგრამ ამოღება აღარ უნდა.

იმ დილასაც უთხრეს — **ახალი კარტოფილი ამოგვიღეო...** ჩემი ფეხები, დაადო თავი და აქციაზე ჩამოვიდა დუშეთიდან ამ უამინდობასა და ჟღლინტში.

— სად მიდიხარ, კაცო, ნეტა არ გეზარებაო? — **დაადევნა სიტყვა ცოლმა.**

**ამან** — როგორც ჩემი ოპოზიცია იტანჯება, მეც ეგრე უნდა დავიტანჯო-ვო!

**ცოლმა** — შენ ხო ისედაც დატანჯული ხარო?

**ამან** — ჰო, მაგრამ უფრო მეტად უნდა დავიტანჯო-ვო, თუ გამაიდარა, მერე ძალიან ველარ დავიტანჯებიო!

**ცოლმა** — წადი, მაგრამ რამე იქნებაო?

**ამან** — რავი, რაც იქნება, იქნება, მეტი რაღა დამრჩენიაო?!

☺

**რა იყო, ბიჭო, პრეზიდენტი ვინ არა ყოფილა, მაგრამ ეგრე არ არევია ენა-პირი!**



## კვირგვინოსნები

**თამარ ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



ჩემი კეთილი რჩევა დაიმახსოვრეთ, ძალიან ცუდ დღეში ჩავარდებით, **მერწმუნეთ, მოხდება ფერადი რევოლუცია** იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ქართველ ხალხს ძალაუფლება წაგვართვა.

„ინტერპრესნიუსი"

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის" ლიდერი, პარლამენტარი*



არასამთავრობო ორგანიზაციებს და ოპოზიციურ პარტიებს **ჩვენ „მოტეხილი" ვყავართ ამ პროცესისგან.** ეშინიათ, ამბავი არ გამოვიტანოთ და **ადამიანებს არ ვუთხრათ, თუ რა შეცდომის დაშვებას აპირებენ მათი სახელით.**

„ახალი თაობა"

**გიორგი გობრონიძე**
*ანალიტიკოსი*



საქართველოში ყველა წინასაარჩევნო პერიოდის წინ **პრეაპოკალიფსური სცენარი იქმნება.** ახლაც ამ რეალობაში ვცხოვრობთ. აღარ შეიძლება ასე გაგრძელება, თორემ **ერთ დღესაც ქვეყანას დავკარგავთ.**

„კვირის პალიტრა"

**ანა დოლიძე**
*პარტია „ხალხის" ლიდერი*



„ქართულმა ოცნებამ" **დრაკონი გააღვიძა.** სტუდენტები აუდიტორიებში იყვნენ, მაგრამ იმდენი გააკეთეს, რომ **გააღვიძეს ეს სასწაული ძალა.**

„ინტერპრესნიუსი"

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის" წევრი*



მოვიდა დრო **„არა რუსულ კანონს"** შეიცვალოს მოწოდებით **„არა რუსულ რეჟიმს".**

„ინტერპრესნიუსი"

# სანამ ხელისუფლებაში კაცები არიან, ქათმები ვერაფერს დაგვაკლებენ!




ამ დღეებში ვუსმინე **კახა კალაძეს** და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი — საქართველოს რაღაც უხილავი ძალა იფარავს. რომ არ იფარავდეს, ხომ ვიქნებოდით ახლა მესაჯდომე ქათმების ხელში? **თუ რუსებს მეორე ფრონტს გავუხსნიდით, ხომ გაცვივდებოდნენ ქათმები კრიახით წითელი ხიდისკენ?** აღარაფერს ვამბობ სხვა უსიამოვნო მოვლენებზე, ზემოდან ჩამოყრილ ბომბებზე, დანაღმულ კოლხეთის დაბლობსა და ალაზნის ველზე.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორია, როცა შენი ქვეყნის მთავრობასა თუ საპარლამენტო უმრავლესობაში სულ ქალ-კაცა და კაც-ქალა ტიპები არიან?

**აგერ, ჩამოათესლეს გერმანიის ბუნდესტაგის ერთი პატარა „ნაჩალნიკი“, რომელსაც კაცის ფორმა აქვს, მაგრამ ორი წლის წინ გათხოვილა და ახლა ჭკუას გვარიგებს — მართლმადიდებლობით ნათელ მომავალს ვერ ააშენებთო.**

გაიგონეთ? მართლმადიდებლობით ვერაო, ჩვენ რასაც გეტყვით, ის უნდა იწამოთო... **რა ქნას, არ იცის ამ კრეტინმა, რომ ჩვენ სწორედ მართლმადიდებლობამ გადაგვარჩინა და მოგვიყვანა აქამდე.**

☺

მოკლედ, ვუსმინე **კახა კალაძეს** და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ **დღეს ხელისუფლებაში არიან ის კაცები,** რომლებიც ზუსტად ამ დროს უნდა ყოფილიყვნენ.

# ქალია-ადამიანი?!

**ეს ქალი ბავშვთა ენდოკრინოლოგობას იჩემებს,** მაგრამ განა შეიძლება, ასეთი აზროვნების ადამიანი თუნდაც დიდთა ან თუნდაც პატარათა მკურნალი იყოს? თან ისეთი გონორით წერს, ეტყობა, რიგები უდგას!

არადა, იგი **არც გარეულთათვის არის სანდო და არც შინაურთათვის,** მას გონება არ აძლევს შესაძლებლობას, ცოცხალ არსებას უმკურნალოს, რადგან პაციენტებს ბოლშევიკებად და მენშევიკებად ყოფს. **გასარკვევი მხოლოდ ისაა, ეს ამბავი ოქტომბრის რევოლუციამდე ხდება თუ რევოლუციის შემდეგ?**


Maia Rekhviashvili

ჩემი პაციენტების საყურადღებოდ!- ვინც ამ სამარცხვინო სადამსჯელო გაერთიანებებში მუშაობთ ან მხარს უჭერთ ამ სისაძაგლეს და აგრესიას, ძალიან გთხოვთ, სხვა ექიმი მოძებნეთ თქვენი ან თქვენი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით! -არ დაგინახოთ არცერთი მოსული ჩემთან!



# მაუტკლამთ!

როდესაც **ანიკო წითლიძე** დაბერდება, ცხვირში ბურნუთის შეყრას დაიწყებს და მეზობლის ბალღები ჰკითხავენ — **გამჭვირვალობის კანონს რო იღებდნენ, შენ სად იყავიო,** სინანულით უპასუხებს: **მე მაშინ მამ(ტ)კლეს, ბებო!**

☺

და განა **„იმტყუვნებს“?** შეხედეთ ფოტოს, რა პოზაშია, გეგონება **„როდინა მატ ზავიოტ“!** თუმცა, რა **„როდინა“,** რა **„მატი“** და რა **„ზავიოტ“?** ეგ უკვე პოლიტიკური ორგაზმიც აღარ არის!

# საპანღურე ლოკი



**რომან გოცირიძე** არ ისვენებს — **ოჯახის სიწმინდესთან დაკავშირებით წესიერი ადამიანი გარეთ არ გამოვა, ეს დღე ჰომოფობიისაა და პატრიარქმა გადააკეთაო.**

სუფთა კომბლეა, თავისსავე დამლუპველ აზრებს თლის და ჭერში აწყობს, რათა მერე უხერხულ ადგილას იკრას.

ეს **ულვაშებიანი ლოკი** ეგეთი ურწმუნო და გაქსუებული თუ გამოდგებოდა, ნამდვილად არ მეგონა.

**ლოკი** ქიზიყურად ბოომიან და ქვეშქვეშა ადამიანს ნიშნავს, დაახლოებით ეგეთს, ეგ ჭირიანი როა.

პრინციპში, სუ ეგეთი იყო, მაშინაც კი, შევარდნაძის უკან რო იძუძგებოდა ხოლმე, მაგრამ ახლა რელიგიურადაც გაწუნკლდა და გამოპრუტუნდა. ამასწინებზე დაწერა — **წმინდა ცეცხლის გარდამოსვლას სამთავრობო ტელევიზიები იგონებენო.** ახლა კიდე — **წესიერ ადამიანს ოჯახის სიწმინდესთან რა ესაქმებაო?**

დადექ, **რომანა ძიავ,** დადექ, თორემ ერთხელაც პანჩურს ამოგარტყამენ კუდუსუნის მოფამფალებულ ძვალში და მერე იტყვი — **ის დრო ჯობდა, ხალხს კუპონებს რო ვათვლევინებდიო!**

## კვირგვინოსნები

**სალომე სამადაშვილი**
*„ლელოს“ წევრი*



ძალიან კარგია, რომ პრეზიდენტმა დაადასტურა კიდევ ერთხელ — **მის ვეტოს ვერავინ გამოიყენებს „რუსული კანონის“ შეცვლაზე ვაჭრობისთვის** — დაძლევენ ვეტოს და შედეგებს მიიღებენ. „ინტერპრესნიუსი“

**გიორგი მარგველაშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*



არჩევნებამდე ისეთ მდგომარეობაში მივალთ, **„ოცნებას“ ოჯახი არ მისცემს ხმას.** ოღონდ, არ ავარევინოთ და **არ შევიდეთ მოლაპარაკებებში,** ეს შუა გზა უნდა დავიკავოთ. „ახალი თაობა“

**ანიტა რაჭველიშვილი**
*საოპერო მომღერალი*



ქვეყნის ღალატის და **ქვეყნის გაყიდვის მუხლით უნდა დაიჭირო და გაუშვა სამუდამოზე ეს ამაზრზენი დეპუტატები,** რომლებმაც მიიღეს „რუსული კანონი“. „ახალი თაობა“

**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების“ ლიდერი*



ნაციონალები იმ შემთხვევაში შეიძლება იყვნენ საშიში, **თუ ძალოვან სტრუქტურებს ჩაიგდებენ ხელში,** მზად არიან, დათმონ, უფრო მეტსაც თმობენ, აღარ მინდა, მოვლენებს გავასწრო. „TV პირველი“

**ცნობილი სამოქალაქო აქტივისტი შაკო კუჭაშვილი შინაური თუ გარე მტრების მიერ დაფინანსებული იმ აგრესიული დაჯგუფებების შესახებ საუბრობს, რომლებმაც უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტის შენობის გადაწვა და მთელი ქვეყნის გადაბუგვა უკვე მესამედ სცადეს:**



# შაკო კუჭაშვილი:

# იმ სცენის დაქირავება, რომელიც ოპოზიციამ და აგრესიულმა ჯგუფებმა პარლამენტის წინ მოიწყვეს, ერთი დღით, მინიმუმ, 25 ათასი დოლარი ღირს!



*გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე **მიხაელ როთი** თბილისში, **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ საწინააღმდეგო აქციის სცენაზე***

**„ამ საშიში ძალის მიზანია, თავის პოლიტიკურ ზრახვებს ისე მიაღწიოს, რომ რუსეთის დასასუსტებლად მხოლოდ უკრაინელები, ქართველები და სხვა ხალხები დაიხოცონ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – ამერიკელები და ინგლისელები!“**

— ყველა ორგანიზაცია და აგრესიული ჯგუფი — **„ნაბიჯი“, „წერტილი“, „ტალღა“, „ჯიუტი“, „გაბედე“, „კანვასი“, „ფრანკლინის კლუბი“** ძირითადად ნაცმოძრაობასთან არის დაკავშირებული. ცხადია, აქ იგულისხმება ე.წ. **ახალი, ანუ დავით კეზერაშვილის ფულებით დაფინანსებული ნაცმოძრაობა.** მას შემდეგ, რაც ამ პირმა ნაცმოძრაობაზე კონტროლი დაამყარა, პოლიტიკაში შემოაგზავნა თავისი ცოლისძმა **დიმიტრი ჩიქოვანი,** რომელიც ოპოზიციაში „შავი ხელის“ ფუნქციას ასრულებს. ყველა ეს აგრესიული ორგანიზაცია, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ძირითადად ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც კეზერაშვილმა ლევან ხაბეიშვილს ნიკანორ მელია პარტიიდან გააგდებინა. ამ აგრესიული ჯგუფების დიდი ნაწილის დამფინანსებელი სწორედ **დიმიტრი ჩიქოვანია,** რომელიც ახალგაზრდებს კეზერაშვილის ფულებით ყიდულობს და ზომბებად აქცევს.

**„ნაბიჯსა“ და „ტალღას“** ნამდვილად **კეზერაშვილი** აფინანსებს, რაც შეეხებათ **„კანვასსა“ და „ფრანკლინის კლუბს“,** ეს აგრესიული ორგანიზაციები, ძირითადად, ამერიკელების ფულით იკვებებიან.

**— ეს ე.წ. „არასამთავრობო ორგანიზაციები“ და ოპოზიციის პარტიული სტრუქტურები ერთმანეთთან რა მექანიზმით არიან დაკავშირებული?**

— მაგალითად, ნაცმოძრაობის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი **იგორ ნარმანია** ადრე ძალადობრივ ორგანიზაცია **„ნაბიჯს“** წარმოადგენდა. პარტიაში მისი გადმობარგების შემდეგ „ნაბიჯს“ სათავეში ჩაუდგა სააკაშვილის ავადსახსენებელი „კუდის“ მაღალჩინოსნის შვილი **დაჩი ნატროშვილი,** რომელმაც ეს ორგანიზაცია გააფართოვა. მარტივად თუ ვიტყვით, ნაცმოძრაობასთან, კეზერაშვილთან და დასავლელ დამფინანსებლებთან დაკავშირებული ყველა აგრესიული და ძალადობრივი ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს პარლამენტის შენობის გადაწვას უკვე მერამდენედ ცდილობდა, სინამდვილეში წარმოადგენს სააკაშვილის რეჟიმის ყოფილი მაღალჩინოსნების — მწამებლების, მკვლელების, გამაუპატიურებლებისა და ნარკოტიკებით მოვაჭრეთა შვილების გაერთიანებას, რომელიც ცდილობს, თავიანთი დამნაშავე მამები ხელისუფლებაში დააბრუნოს. აი, მაგალითად, იგორ ნარმანიას მამა ნაცმოძრაობის ყოფილი მაღალჩინოსანია, ხოლო გვარამიამელიას პარტია „ახალის“ ერთ-ერთი აქტივისტი ნიკუშა ფარულავა კრწანისის ყოფილი გამგებლის შვილია. ეს ის **ნიკუშა ფარულავაა,** რომელმაც უბინძურესი სიტყვებით ლანძღა და აგინა ჩვენი საამაყო სპორტსმენი, მსოფლიოო ფეხბურთის ვარსკვლავი ხვიჩა კვარაცხელია. აი, სწორედ ასეთი ადამიანები ცდილობენ, პოლიტიკურ პროცესში დაძაბულობა და რადიკალიზმი შემოიტანონ. ეს ხალხი მიზანმიმართულად ებრძვის იმ ადამიანებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც მთელ საქართველოს აერთიანებენ — ეკლესიას, ხვიჩა კვარაცხელიას, ლაშა ტალახაძეს, რაგბისტებს და ა.შ.

**— „კანვასისა“ და „ფრანკლინის კლუბის“ უკან ვინღა დგას?**

— ესენი დასავლეთის სპეცსამსახურების მიერ კონტროლირებადი ორგანიზაციები არიან და, შეიძლება ითქვას, გამოხატავენ გლობალური ომის პარტიის ინტერესებს. ყველა განვითარებად ქვეყანაში გლობალური ომის პარტია სიტუაციის დაძაბვას ცდილობს. **მიმაჩნია, რომ ოქტომბერში ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართული საპრეზიდენტო არჩევნები გლობალური ომის პარტიას დაასრულებს.** ამ საშიში ძალის მიზანია, თავის პოლიტიკურ ზრახვებს ისე მიაღწიოს, რომ რუსეთის დასასუსტებლად მხოლოდ უკრაინელები, ქართველები და სხვა ხალხები დაიხოცონ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — ამერიკელები და ინგლისელები!

„კანვასი“, ძირითადად, სერბული „ოტპორის“ ბაზაზე შეიქმნა და საქართველოში მისი დირექტორი ცნობილი ნაცი **გიორგი მელაძეა.** სწორედ „კანვასის“ ქართველი აქტივისტების დასატრენინგებლად ჩამოვიდნენ სერბი ინსტრუქტორები — **სლობოდან ჯინოვიჩი, სინიშა შიკმანი და ელენა ტანჩიჩი,** რომლებიც „სუს“-ში გამოკითხვის შემდეგ ქვეყნიდან გაქრნენ.

**— მაინც როგორ ხდება ამ ძალადობრივ და ნახევრად ტერორისტულ ორგანიზაციებში ახალგაზრდების გაწევრიანება?**

— ესენი ძალიან დელიკატურად და ვირეშმაკურად მოქმედებენ. პირველ რიგში, ახალგაზრდების რეკრუტირების მხრივ, მათი მკვებავი წყაროა საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტები — **„ილიაუნი“, „საბაუნი“, ალასანიას უნივერსიტეტი, ბენდუქიძის უნივერსიტეტი.** აი, მაგალითად, სულხან-საბას სახელობის უნივერსიტეტი პირდაპირ და დეკლარირებულად ვატიკანის მფარველობის ქვეშ იმყოფება. აქ მოღვაწეობს თეოლოგი **გოჩა ბარნოვი,** რომელიც ვატიკანში ხშირად ჩადის, ჩაჰყავს სტუდენტები და ახდენს კათოლიციზმის რომანტიზებას. ამ უნივერსიტეტებში ლექტორები სტუდენტებს პირდაპირ მოუწოდებენ — ქვეყნის ბედი ახლა პარლამენტის წინ წყდება. მოდით, რუსთაველის პროსპექტზე გადავიტანოთ აუდიტორია და იქ ჩაგიტარებთ ლექციებსო! ძირითადად, სწორედ ასე ხდება ახალგაზრდების მოზიდვა, თუმცა, არსებობს სხვა მეთოდებიც... დღეს ეს უნივერსიტეტები გაფიცული არიან, რაც საერთო სცენარში კარგად ჯდება.

**— ვინ აფინანსებს ამ საპროტესტო აქციებს, ვინ იხდის ამხელა ფულს ლობიანებში, წვენებში, სიგარეტებში, საწვიმარ ლაბადებსა და აირწინაღებში? გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩინეთიდან ე.წ. „რაგატკები“ და მაგნიტის ბურთულებიც შემოუტანიათ... როგორც მითხრეს, ერთი აირწინაღი, რომელიც აგრესიული ჯგუფების წევრებს აქციაზე უკეთიათ, 250-300 ლარი ღირს.**

— **ნანუკა ჟორჟოლიანი** ვერავის მოატყუებს, რომ ამ ყველაფრისთვის თანხები შემოწირულობებით გროვდება! **სისხლიანი ერეკლე კოდუას ყოფილი ცოლი** რომელ აქციაშიც ჩაერთვება, ის აქცია, ცხადია, კრახისთვისაა განწირული, მაგრამ ამ ქალის პირიდან ამოსულ ტყუილებსა და დემაგოგიას საზღვარი მართლაც არა აქვს. უამრავ აქციაში მიმიღია მონაწილეობა და ძალიან კარგად ვიცი, რა ღირს იმ სცენის დაქირავება, რომელიც რუსთაველზე ამდენი ხანია, დგას!

**— მაინც რა ღირს?**

— იმ სცენის დაქირავება, რომელიც ოპოზიციამ და აგრესიულმა ჯგუფებმა პარლამენტის წინ მოიწყვეს, ერთი დღით, მინიმუმ, 25 ათასი დოლარი ღირს! აქედან გამომდინარე, **ნანუკა ჟორჟოლიანი** ვერავის დააჯერებს, რომ ვიღაც ფანატიკოსი ნაცის მიერ ჩარიცხული 50 ლარით ქირაობს ამ სცენას, არიგებს საჭმელ-სასმელს, საწვიმარ ლაბადებს, აირწინაღებს და ა.შ. ეს ყველაფერი ორგანიზებულია სწორედ **გლობალური ომის პარტიის** მიერ, რომლის მთავარი მიზანიც რუსეთის წინააღმდეგ ომში საქართველოს ჩართვაა. რაც შეეხება დავით **კეზერაშვილს,** მან ფული გადაუხადა ევროპარლამენტარებს, რათა საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ განცხადებები გაეკეთებინათ. დარწმუნებული ვარ, იმ ხუთი ქვეყნის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების თავმჯდომარეთა თბილისში ჩამოსვლა და ოპოზიციის მიტინგზე გამოსვლა სწორედ **კეზერაშვილის** მიერ გადახდილ ევროებსა თუ დოლარებს უკავშირდება. **კეზერაშვილი** რომ ფულებს აქეთ-იქით არიგებს, ეს ცნობილი ფაქტია. აი, მაგალითად, **დავით ჩხობაძე,** რომელიც ორგანიზაცია „ნაბიჯის“ აქტივისტია, **კეზერაშვილის** 1000-ლარიანი ხელისბიჭია. მას ამ ფულს კეზერაშვილის ცოლისძმა **დიმიტრი ჩიქოვანი** ყოველთვიურად ურიცხავს. კეზერაშვილს ჰყავს 500-ლარიანი და 100-ლარიანი ხელისბიჭებიც.

**— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებამ რაღაც მომენტში ხომ არ წაუყრუა ამ აგრესიულ და ნახევრად ტერორისტულ ორგანიზაციებს, რამაც მათი მომძლავრება გამოიწვია?**

— ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა, დასავლეთთან ურთიერთობა არ გაეფუჭებინა და ამ ორგანიზაციებთან მიმართებაში სიფრთხილით მოქმედებდა. მაგრამ ახლა, როცა ქვეყნის სუვერენიტეტი და უსაფრთხოება რეალური საშიშროების წინაშე დადგა, ხელისუფლება გააქტიურდა. კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ რომ მისაღები იყო, ცხადზე ცხადია, მაგრამ ის პროტესტი, რომელიც თბილისის ქუჩებში ვითომდაც ამ კანონის მიღების გამო არ ცხრება, აშკარად ხელოვნურია და სინამდვილეში ხელისუფლების დამხობას ისახავს მიზნად.

**— აგრესიული ჯგუფები აცხადებენ, რომ ისინი არ გაჩერდებიან!**

— ამათ რატომღაც მთელი საქართველო თავიანთ ჭკუაზე ჰგონიათ მოწყობილი და ფიქრობენ, რომ ქვეყანაში მხოლოდ თვითონ ცხოვრობენ. როცა წინა კვირას ამოდენა საერთაშორისო ზეწოლის მიუხედავად, კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ მაინც

# „გვარამია-მელიას პარტია „ახალის“ ერთ-ერთი აქტივისტი ნიკუშა ფარულავა კრწანისის ყოფილი გამგებლის შვილია, რომელმაც უბინძურესი სიტყვებით ლანძღა ჩვენი საამაყო სპორტსმენი, მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი ხვიჩა კვარაცხელია!“



**„ყველა აგრესიული და ძალადობრივი ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს პარლამენტის შენობის გადაწვას უკვე მერამდენედ ცდილობდა, სინამდვილეში წარმოადგენს სააკაშვილის რეჟიმის ყოფილი მაღალჩინოსნების შვილების გაერთიანებას, რომელიც ცდილობს, თავიანთი დამნაშავე მამები ხელისუფლებაში დააბრუნოს!“**

მიიღეს, ყველა ეროვნულად განწყობილ ქართველს გაუჩნდა იმის განცდა, რომ საქართველო, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, უკვე შედგა. **პატარა საქართველო ლავირებს რუსეთს, ამერიკას, ევროკავშირს, თურქეთს, ირანსა და ჩინეთს შორის და იბრუნებს თავის ისტორიულ, სატრანსპორტო ფუნქციას, რასაც არ გვპატიობენ. აი, სწორედ ამიტომაა ეს საპროტესტო აქციებიც.**

**— რა ბედი ელის აგრესიული ჯგუფებისა და ე.წ. ოპოზიციის აქციებს?**

— სახელმწიფო, პოლიცია და უშიშროების სამსახურები იქცევიან ძალიან კორექტულად, თავშეკავებულად და სახელმწიფოებრივად. არავის ეგონოს, რომ უმცირესობის ამ მარგინალურ ჯგუფებს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ქვეყნის არევისა და აყირავების საშუალებას მისცემს. **17 მაისს, ოჯახის სიწმინდის დაცვის დღეს, მთელმა საქართველომ დაამტკიცა, რომ, თუ საქმე საქმეზე მიდგა, გულანთებული და სამშობლოზე შეყვარებული ქართველობა ამ მართლაცდა აგენტებისგან ქვეყანას დაიცავს!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



*— აქციების თავში სისხლისმსმელი ნაციონალები დგანან!*
***— აცხადებს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის, სააკაშვილის რეჟიმის მიერ ნაწამები სულხან მოლაშვილის ძმა თორნიკე მოლაშვილი და ქუჩაში გამოსულ ახალგაზრდებს თხოვნით მიმართავს:***



# თორნიკე მოლაშვილი:
# შევაკლავთ თავს და ჩვენი შვილების, ძმებისა და მამების მკვლელთა ხელისუფლებაში მოსვლას არ დავუშვებთ!

— უპირველესად, მადლობა „ასავალ-დასავალს“, რომ არსებობთ და ქვეყნის მაჯაზე გიჭირავთ ხელი. ნამდვილი ქართველი პატრიოტები და ძალიან ბევრი ადამიანის იმედი ხართ! ბევრს უკვალავთ გზას ამ ბნელ, ბინძურ პოლიტიკურ ლაბირინთებში!

სამწუხაროდ, ნაციონალების მხრიდან სიურპრიზები არ სრულდება. ამჯერად ახალი ტალღა ააგორეს, არადა, „რუსულ კანონს“ რომ გაიძახიან, იმ ე.წ. ოპოზიციონერ ლიდერებს ჯიბეები სწორედ რუსული რუბლებით აქვთ გამოტენილი!

**— მაგრამ აქციაზე არიან გულანთებული ახალგაზრდებიც!**

— დიახ, იქ ანგელოზივით ახალგაზრდებიც დგანან. პირადად ვესაუბრე მათ და ახლა თქვენი გაზეთის საშუალებით ვეკითხები — აბა, ერთი, ჰკითხეთ ნაციონალებს — ისინი არიან თქვენს აქციაზე თუ თქვენ ხართ მათ აქციაზე?! დღეს რომ წავიდეს „ოცნება“ ხელისუფლებიდან, ხვალ თქვენ მოხვალთ ხელისუფლებაში თუ ნაციონალები?! **ხაჭაპურებს, ღვეზელებს და ენერგეტიკულ სასმელებს რომ არიგებს ნანუკა ჟორჟოლიანი, როგორ ფიქრობთ, საკუთარი ჯიბიდან იხდის ფულს თუ ჩემზე მეტად უყვარს ეს ქვეყანა?**

ჩემო შვილებო, დაიკოებო, ძმებო, ახალგაზრდებო, ვიცი რომ ბევრ თქვენგანს შესტკივა გული სამშობლოზე, მაგრამ შეცდომაში ხართ შეყვანილნი. საკუთარი ბინძური პოლიტიკური მიზნებისთვის გიყენებენ! სააკაშვილის ავადსახსენებელი რეჟიმის დროს ძალიან პატარები იქნებოდით და ბევრი რამ არ იცით ამ სისხლისმსმელი ადამიანების შესახებ — რამდენი ბოროტება აქვთ ჩადენილი, როგორ შეუძლიათ ადამიანების მანიპულირება. ჩემთვის ძალიან მტკივნეულია ამ ყველაფრის გახსენება, მაგრამ ვალდებული ვარ, კიდევ ერთხელ შევახსენოთ, რატომ არ უნდა გახვიდეთ ქუჩაში გამჭვირვალობის კანონის გასაპროტესტებლად!

**— და მაინც, რატომ?**

— ეს ის ხალხია, ვინც საკუთარი შვილის საფლავზე ააფეთქა **იური ვაზაგაშვილი,** ლავიწის ძვლები ჩაუმტვრია ჩემს ძმიშვილს, მხოლოდ იმიტომ რომ **სულხან მოლაშვილის** შვილი იყო, ქუჩაში ჩაცხრილა **ბურამ შარაძე!** მოკლა ანგელოზივით **ბუტა რობაქიძე, სანდრო გირგვლიანი, გიორგი გამცემლიძე.** აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ღამის 2 საათზე ხდებოდა ბიზნესების გადაფორმება, ციხეებში აწამებდნენ და აუპატიურებდნენ ადამიანებს.

**ირაკლი ბათიაშვილი,** რომელიც თავისი დღე და მოსწრება ეროვნულ მოძრაობაში იყო და ჯერ კიდევ 90-იან წლებში იბრძოდა სუვერენული საქართველოსთვის, რეჟიმმა სატელეფონო ზარის გამო გამოამწყვდია ციხეში. მხოლოდ იმიტომ დააკავეს, რომ **ემზარ კვიციანს** უთხრა — გამაგრდით, კოდორი არ დაკარგოთ, თქვენს გვერდით მიგულეთო.

ტელეკომპანია „ფორმულას“ დამფინანსებელი კეზერაშვილი დღეს რომ გამჭვირვალობის შესახებ კანონს აპროტესტებს, ვაგინდათ ევროპაში შესვლა და ქვეყნის აშენება?

ისე კი, იცით, რა ბრალდებით დააკავეს და აწამეს ჩემი ძმა სულხან მოლაშვილი?

**— მოდით, ესეც შევახსენოთ მკითხველს.**

— პრემიის სახით 37 200 ლარი რატომ დაურიგე თანამშრომლებსო. ნაწამები სულხანის მონახულების შემდეგ მათიას იორშმაც კი ვერ დამალა გაოცება — ჩვენ ასეთ დღელებით მოვიდა ხელისუფლებაში და საქართველოდან მილიარდერი გაიქცა. რომელი ერთი ფაქტი გავიხსენო. **ჩათვალეთ, დღეს თქვენ ამ ნაძირალების, მკვლელების გვერდით დგახართ და აპროტესტებთ კანონს, რომელიც არათუ უნდა მივიღოთ, არამედ უნდა დავიცვათ კიდეც.** ეს კანონი ერთ-ერთი გარანტიაა ჩვენი სუვერენიტეტის, რომ ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე ოკეანის გაღმიდან თუ გამოღმიდან გადატრიალება არ მოგვიწყონ.

წარმოიდგინეთ, მიხეილ სააკაშვილი, რომელიც საბჭოთა ჯარში მსახურობდა და კაგებეშნიკმა ბიძამ გაზარდა, რომელიც „კაგებეს“ გენერალი უნდა გამხდარიყო და საქართველოს პრეზიდენტი გახდა, სტრატეგიული ობიექტები ჩალის ფასად გადასცა რუსეთს, დღეს ამ კანონს აპროტესტებს. ეს რა არის, თუ არა ქართველი ხალხის დაცინვა და შეურაცხყოფა?! ვის გვერდით დგახართ, ჩემო შვილებო, ამ გამყიდველების? ამათთან ერთად ში პირუტყვიც არ გვყავსო. **ელენე თევდორაძე** ცოცხალია და ჰკითხეთ, როგორ პირობებში იყო სულხან მოლაშვილი. როგორ აწვავდნენ სხეულზე სიგარეტებს. მეტრნახევრიან, ბნელ საკანში, კოჭებამდე წყალში იჯდა, სამი-ოთხი დღის განმავლობაში არ იცოდა, დღე იყო თუ ღამე.

სულხანს ოჯახის წევრების ნახვის საშუალება წელიწადი და სამი თვე არ მისცეს. ბოლოს, როცა ნება დართეს, უთხრეს — ორ ბავშვზე მეტის შემოსვლა არ შეიძლება და სამი შვილიდან ორი ამოირჩიეო. ადამიანის უფლებების დაცვაზე საუბრით რომ წაიღეს ტვინი, ეს ფაქტი მაშინ გავახმაურე და რატომ არავინ გვითხრა — მართალი ხართ, თქვენ გვერდით ვართო? კარგით, ტელევიზიებს სააკაშვილის ეშინოდათ, მაგრამ სად იყვნენ არასამთავრობოები? სად იყვნენ ეს ე.წ. პოეტები, მწერლები, ადამიანის უფლებათა დამცველები, რომლებიც დღეს ამ აქციების თავში დგანან და, როგორც ამბობენ, საქართველოს დემოკრატიისთვის, თავისუფლებისთვის იბრძვიან?!

როგორ ფიქრობთ, ლაშა ბუღაძეს მაშინ რომ ამოეღო ხმა და აქციებს ჩასდგომოდა სათავეში, მამამისი ასეთ პატივში იქნებოდა?! არადა, ეს ხალხი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული თანხებითა და ტყუილებით. დღეს **გია ბუღაძეს** ვინ გაუფორმებს 250-ათასიან ხელშეკრულებას, როგორც მაშინ, სააკაშვილის დროს. ამიტომაც იბრძვიან ხელისუფლების შესაცვლელად!

პირადად მე, **თორნიკე მოლაშვილი,** პირობას გაძლევთ, შევაკლავ თავს და ჩემი ძმის მკვლელებს ხელისუფლებაში დაბრუნების საშუალებას არ მივცემ. ბოლო-ბოლო ამ ქვეყნისთვის ნაომარი ვარ და სისხლი მაქვს დაღვრილი! კიდევ ერთხელ ვამბობ — ნურც იოცნებებენ ნაციონალები — ჩვენი შვილების, ძმებისა და მამების მკვლელთა ხელისუფლებაში მოსვლას არ დავუშვებთ!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



**კოლექტიური ნაცმოძრაობის ლიდერები „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ საწინააღმდეგო აქციის სცენაზე**

# „მოვუწოდებ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძეს, დაცვა გააძლიეროს!“




## ედიშერ გვენეტაძე:

# დატრენინგებულთა და დაკრეტინებულთა გასაგონად!!!

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე ბოლო დროს საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს მიმოიხილავს და გვაფრთხილებს — თუ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოხდება და ქვეყანას საყურიანი ბიჭები და აგენტები დაეპატრონებიან, მაშინ უმოკლეს დროში დააკანონებენ ერთნაირსქესიანთა ქორწინებას:***

— რაც დღეს საქართველოში ხდება, ეს არის ბრძოლა ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც უკანასკნელი ოცდაცამეტი წლის განმავლობაში თავს მოგვახვიეს. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ფორმალობად არის ქცეული, შეზღუდულია ქვეყნის სუვერენიტეტი. მოკლედ რომ ვთქვათ, მეტროპოლია გასაქანს არ გვაძლევს და ყველაფერთან ერთად მართლმადიდებლობასაც ებრძვის, რაც გერმანელი **მიხაელ როთის** ბოლოდროინდელმა სამარცხვინო განცხადებამაც დაადასტურა! უცხო ქვეყნების დიქტატმა მთლიანად გაანადგურა განათლების სისტემა და სასამართლოსაც უტევს, რათა ყველაფერი ბოლომდე გააკონტროლოს!

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ 2024 წლის 29 აპრილს **ბიძინა ივანიშვილმა** წარმოადგინა უაღრესად მნიშვნელოვანი სამოქმედო გეგმა, რომლის მეშვეობითაც საქართველოს სუვერენიტეტი უნდა აღდგეს და ევროპელი თუ ამერიკელი მაზოხისტების ხუნდები დაიმსხვრეს. **თუ ეს ბრძოლა ვერ მოვიგეთ, ყველა დარწმუნებული ბრძანდებოდეს, რომ უბედურება, როგორც აქლემი, თითოეულის კართან დაიჩოქებს!**

**— მაინც რა მოხდება?**

— თუ საქართველოს ეს საყურიანი ბიჭები და აგენტები დაეპატრონნენ, მაშინ უმოკლეს დროში ეს გათახსირებულები დააკანონებენ ერთნაირსქესიანთა ქორწინებას, ხოლო მეორე ნაბიჯი იქნება საქართველოში უცხოელი მიგრანტების შემოშვება და მათი საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა. **გვარამიას, ჭიჭიკო ვაშაძეს, პატიკო მანჯგალაძესა და დანარჩენ აგენტებს, სწორედ ამ მიზნების მისაღწევად ამზადებდნენ და ატრენინგებდნენ.** ხომ ვნახეთ, გვარამიამ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსანთან შეხვედრის დროს რა სპექტაკლიც დადგა? ეს ყველაფერი ამერიკის სპეცსამსახურებთან იყო შეთანხმებული.




აგერ სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრ **რობერტ ფიცოს** 71 წლის ულტრალიბერალმა, ე.წ. მწერალმა ესროლა, ხოლო ირლანდიაში კონსერვატორებს თავს დაესხნენ... ამას ყველგან ერთი და იგივე ძალა სჩადის, რომელიც უკრაინის ომში ფულს აკეთებს. მიმაჩნია, რომ რაც უფრო მოახლოვდება ამერიკის პრეზიდენტის არჩევნები, მსგავსი თავდასხმები უფრო გაძლიერდება. ამიტომ მოვუწოდებ საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ირაკლი კობახიძეს,** დაცვა გააძლიეროს! ვფიქრობ, დიდი საფრთხის ქვეშ არის **დონალდ ტრამპიც** და არჩევნებამდე მის მოშორებასაც შეეცდებიან. **კენედის** მკვლელი ოსვალდი ამერიკის სპეცსამსახურებს დღემდე გიჟად ჰყავთ გამოცხადებული, რათა პრეზიდენტის მკვლელობა კვლავაც ბურუსში იყოს გახვეული. **თუ გამოუვიდათ, ტრამპსაც იმავეს დამართებენ და მერე მკვლელს გიჟად შერაცხავენ!**

**— პროტესტანტები ძალიან უტევენ უმაღლეს სასწავლებლებს, რადგან სწავლის პროცესის პარალიზება სურთ! 16 მაისს ტექნიკურ უნივერსიტეტშიც სცადეს არევა, მაგრამ უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე ვაჟკაცურად დადგა და უნივერსიტეტში არეულობის შეტანის მცდელობა საფუძველშივე გაანეიტრალა...**

— საერთოდ, უნივერსიტეტის ხელმძღვანელებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი **დავით გურგენიძე** ეროვნული, ვაჟკაცი და უშიშარი კაცია. ამ დღეებში, როცა ზოგიერთებმა ერთი ადგილის თამაში დაიწყეს, აკადემიკოსი **დავით გურგენიძე** კაცურად დადგა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ 1917 წელს ჩაეყარა, არეულობის შეტანის უფლება პროვოკატორებს არ მისცა.




**— პოლიციელების ცოცხლად დაწვის მოსურნე ლაზარე გრიგორიადისი, რომელიც სალომე ზურაბიშვილმა შეიწყალა, ისევ დააპატიმრეს და ისევ გაათავისუფლეს... ბოლოს და ბოლოს, რა უნდა ამ წარმონაქმნს?**

— ლაზარე გრიგორიადისი კაცი კი არა, თვალებმოხატული **„ლამზირაა“!** დავითის, თამარის, გიორგი ბრწყინვალეს, ლუარსაბ და სვიმონ მეფის, გიორგი სააკაძის, ერეკლეს, ილიას, ზვიადისა და მერაბის ქვეყანაში მეტროპოლიამ შეგვიქმნა ახალი პერსონაჟები — **კირკიტაძე, ვაჟა ექიმი, ხატია და ლამზირა,** ოდესღაც **ლაზარედ** წოდებული.

**— სხვათაშორის, ძალიან არის ნაცემი დავით ქაცარავა, რომლის შესახებ პრემიერმაც გააკეთა განცხადება...**

— ძალადობა დასაგმობია, მაგრამ ყველამ იცოდეს, რომ ძალადობას შობს ძალადობა! დავით ქაცარავა წლების განმავლობაში უშვერი სიტყვებით, სრულიად დაუმსახურებლად ლანძღავდა და აგინებდა პოლიციას. გარდა ამისა, ქაცარავა ჩადიოდა მოსკოვში და რუსულ ფილმებში „ეფესბეს“ აგენტის როლს თამაშობდა... ამის შემდეგ ვინმე გაპატიებს **„რუსო-რუსოს!“** ძახილს? არ ვამართლებ დავით ქაცარავას ცემას, მაგრამ ადამიანმა უკადრებელი არ უნდა იკადროს!

**— მაინც როგორია თქვენი აზრი დატრენინგებულებისა და დაკრეტინებულების შესახებ?**

**– ამერიკამ საქართველოში თავისი აგენტები ჯერ დაატრენინგა და მერე დააკრეტინა! თუ არა დატრენინგება და მერე მათი დაკრეტინება, „მეხუთე კოლონის“ რიგებში ქართველ კაცს სხვანაირად ვერ შეიყვანდნენ! ეს ადამიანები საცოდავები არიან.**

**— რა პერსპექტივა აქვს ამ მიტინგებს?**

— ესენი რომ ვერაფერს იზამენ, 2024 წლის 17 მაისს, ოჯახის სიწმინდის დაცვის დღეს, საბოლოოდ დადასტურდა, როცა მთელი საქართველო მართლმადიდებლობისა და ოჯახის გვერდით დადგა, ხოლო ესენი ისევ ეშმაკების, მწამებლებისა და სოდომისტების ამალაში დარჩნენ!

*ესაუბრა*
*დიტო ჩუბინიძე*

**„ამ დღეებში, როცა ზოგიერთებმა ერთი ადგილის თამაში დაიწყეს, აკადემიკოსი დავით გურგენიძე კაცურად დადგა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არეულობის შეტანის უფლება არავის მისცა!“**

# გენერალისიმუსი

№26 (262) ★ 2024 წლის 20 მაისი ★ გამოდის 2003 წლიდან

*ეს ფოტოები გადაღებულია თბილისში დიდ სამამულო ომში გამარჯვების მორიგ დღესასწაულზე. თქვენ წინაშეა უზარმაზარი სახარატო დაზგა და ორთქლმავალი, საიდანაც 1900 წლის 23 აპრილს* ***იოსებ ჯუღაშვილმა*** *სიტყვით მიმართა მთავარი სარკინიგზო სახელოსნოების მუშებს. ეს იყო სტალინის პირველი საჯარო გამოსვლა დიდი აუდიტორიის წინაშე და ამის შესახებ ერთეულებმა თუ იციან, რადგან ეს ადგილი ნახალოვკაში დღემდე არ გამხდარა ფართო ინტერესის საგანი.*

მივმართავ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ისტორია და დიდი სტალინის ხსოვნა — **დამიდექით გვერდით, შევაგროვოთ ფული და გამოვისყიდოთ ეს ერთი გოჯი მიწა, შენობასა და ორთქლმავალთან ერთად!** გავხსნათ იქ სტალინის მუზეუმი და სტალინის სახელობის ბიბლიოთეკა! **პირველ შენატანს — 10 ათას აშშ დოლარს** პირადად მე გავიღებ და მუზეუმს უამრავ ექსპონატს ვაჩუქებ!





**არონ ხიდირბეგიშვილი**

# გავხსნათ სტალინის მუზეუმი თბილისში!





**არის ასეთი აზრი ★**

*● 1898 წელს* ***ჯუღაშვილმა*** *პროპაგანდისტის გამოცდილება მიიღო რევოლუციონერ ვანო სტურუას ბინაში მუშებთან შეხვედრისას და მალევე დაიწყო ახალგაზრდა რკინიგზელ მუშათა წრის ხელმძღვანელობა.*

*● 1900 წლის 23 აპრილს* ***იოსებ ჯუღაშვილმა, ვანო სტურუამ*** *და* ***ზაქრო ჩოდრიშვილმა*** *მოაწყვეს შრომითი პირველმაისობა, რომელზეც 400-500 მუშა შეიკრიბა და იქვე შედგა სტალინის პირველი საჯარო გამოსვლა.*

*● იმავე წლის აგვისტოში* ***ჯუღაშვილმა*** *მონაწილეობა მიიღო ტფილისის მთავარი სარკინიგზო სახელოსნოების მუშათა გაფიცვის მომზადებასა და ჩატარებაში.*

## საუბრები იმპერიის ნანგრევებზე ★



რაულ ჩილაჩავა

# ლავრენტი ბერიას ვაჟი

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“. 2024 წლის №22-25*

**— ზოგიერთი მკვლევარი ბერიას მოწყობილად მიიჩნევს თბილისში მომხდარ ავიაკატასტროფას, რომელშიც დაიღუპა ცნობილი ფრანგი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე ივ ფარჟე. ვერსია ასეთია: 1944 წელს ლავრენტი ბერიამ თავის ხელქვეითებს უბრძანა პარიზიდან ჩამოეყვანათ ცოლის ძმისშვილი თეიმურაზ შავდია, რომელიც გერმანელთა უშიშროების სამსახურს (სდ) დაქვემდებარებულ „ქართულ რეგიონში“ მსახურობდა და წინააღმდეგობის მოძრაობის ბევრი მონაწილის დაღუპვაში მიუძღოდა ბრალი. გერმანელ დამნაშავეებთან ერთად ფრანგების ტყვეობაში მყოფი შავდია, ალბათ, დასჯას ელოდა, მაგრამ მოსკოვიდან დახმარებამ სულზე მოუსწრო. მიუხედავად ამისა, ციხეს მაინც ვერ გადაურჩა და უკვე საბჭოთა სასამართლომ 25 წლით პატიმრობა მიუსაჯა. 1953 წლის მარტში ლავრენტი ბერია, როცა იგი ქვეყნის პირველი ვიცე-პრემიერი და შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა, კვლავ დაინტერესდა შავდიას ბედით. სწორედ მაშინ, 1953 წლის 31 მარტს, იღუპება თბილისში სტუმრად მყოფი ივ ფარჟე — საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური მონაწილე, რომელმაც, ვერსიის ავტორთა აზრით, ბევრი რამ იცოდა თეიმურაზ შავდიას დანაშაულებრივ წარსულზე...**

— **თეიმურაზ შავდია** დედაჩემის ძმისშვილი კი არა, ნახევარძმა იყო. პოდოლსკის მეტყვიამფრქვევეთა სასწავლებლის კურსანტებთან ერთად იგი ტყვედ ჩავარდა და საფრანგეთში მოხვდა. იქ მართლაც ირიცხებოდა რომელიღაც გერმანულ ათასეულში, საიდანაც ქართველი ემიგრანტების მეშვეობით გაიქცა. თბილისში თავისით დაბრუნდა 1946 წელს. დააპატიმრეს ჯერ კიდევ მამაჩემის დაღუპვამდე კოლექტიურ ჩხუბში მონაწილეობისთვის, ანუ სისხლის სამართლის საქმისთვის. ციხიდან გამოვიდა 1955 წელს და გარდაიცვალა ამ ხუთიოდე წლის წინათ. ვშიშობ, მას წარმოდგენაც არ ჰქონდა ვინმე ფრანგ **ივ ფარჟეზე,** რომელიც განგების და არა ლავრენტი ბერიას ნებით საქართველოს დედაქალაქში დაიღუპა. ასევე საეჭვოა, რომ თვით **ფარჟესაც** რამე სცოდნოდა თეიმურაზ შავდიას შესახებ.

**— ჩვენ ვსაუბრობთ რეპრესიებზე, მაგრამ არ გვითქვამს, რომ საბჭოთა კავშირში რეპრესირებული იყო არამარტო მილიონობით ადამიანი, არამედ მთელი ეთნოსებიც. ვოლგისპირეთისა და ყირიმის გერმანელები, ყირიმელი თათრები, ბერძნები, ჩეჩნები, ინგუშები და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხები... ამდენი ხნის პროპაგანდისტული დამუშავების შემდეგ ძნელია, დაარწმუნო ისინი, რომ მათი ბედის ბორბალი უკუღმა ბერიას არ დაუტრიალებია...**

— ერთხელ თვით ხრუშჩოვს წამოსცდა, რომ **ბერია** მეტად ხელსაყრელი ფიგურაა, რომელსაც პარტიის ყველა უმსგავსობა შეიძლება გადააბრალო. მე იმავეს ვიტყოდი ავადსახსენებელ შინსახკომზეც, რომელიც, როგორც ცნობილია, რევოლუციის, შემდგომ კი პარტიის დამსჯელი მახვილი იყო. პარტია ღებულობდა გადაწყვეტილებას, რომელსაც შინსახკომი ასრულებდა. ასეთი ვითარება მის პასუხისმგებლობას არ ამსუბუქებს, მაგრამ ჭეშმარიტების გარკვევისას, კოზმა პრუტკოვისა არ იყოს, ძირის ძირამდე წვდომაა საჭირო. ეთნოსების დეპორტაცია უკიდურესად უმართებულო აქციაა. მე, მაგალითად, საკუთარი თვალით მინახავს, რა მამაცურად ებრძოდნენ მტერს ღალატში მხილებული ჩეჩნები და ინგუშები.

**— ვის აძლევდა ხელს მთელი ეთნიკური ჯგუფების სამშობლოდან აყრა და ცხრა მთას იქით გადახვეწა? ამით ხომ ქვეყანამ არამარტო უზარმაზარი ზნეობრივი, არამედ მატერიალური ზარალიც ნახა?**

— იქნებ ვცდებოდი, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ რუსეთ-კავკასიის ომი სულაც არ დამთავრებულა მე-19 საუკუნეში. იგი სხვა ფორმით საბჭოთა პერიოდშიც გრძელდებოდა. ნაციონალისტურად განწყობილი ხელისუფალნი შემდგომშიც ყოველნაირად იბრძოდნენ რუსების სასიცოცხლო სივრცისთვის და ასეა დღესაც. სტალინის დროს კი ეროვნულ საკითხებზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა ისეთი მგელი, როგორიც იყო **ანდრეი ჟდანოვი.**

**— რომელიც, როგორც ამბობენ, არანაკლებ საშიშმა მგელმა ლავრენტი ბერიამ დაგლიჯა.**

— მე კი მგონია, რომ ჟდანოვი უზომო ლოთობამ მოკლა. ექიმმა **ლიდია ტიმაშუკმა** მისი სიკვდილი არასწორ მკურნალობას გადააბრალა, რასაც ე.წ. „ექიმების საქმე“ მოჰყვა. ჟდანოვი აშკარად ექიშპებოდა თვით სტალინს. განსაკუთრებით თვითნებობდა იგი კულტურის სფეროში, თუმცა, მთელი მისი პირადი კულტურა როიალზე ორი თითით დაკვრაში გამოიხატებოდა.





ანდრეი ჟდანოვი და იოსებ სტალინი

**— ასეთი კაცი არბევდა საკავშირო ჟურნალებს „ზვეზდასა“ და „ნევას“, კალამს უწუნებდა ახმატოვას, ზოშჩენკოს, შოსტაკოვიჩს. მე ეს საკავშირო ცეკას ყბადაღებული დადგენილებიდან ვიცი, რომელსაც ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე გვასწავლიდნენ!..**

— თუ ეროვნულ საკითხებს დავუბრუნდებით, ჟდანოვი და მისი ნაციონალ-შოვინისტური გარემოცვა მოხერხებულად იყენებდა სტალინის ეჭვიან ხასიათს. ვთქვათ და, ომის დროს რომელიმე აულს ფაშისტებისთვის იორღა და ნაბადი რომ მიერთმია, მთელ ერს მოღალატედ გამოაცხადებდნენ და ციმბირში ან ყაზახეთში უკრავდნენ თავს. შემიძლია დაბეჯითებით გითხრათ, რომ მსგავსი განუკითხაობის მოთავე მარტო **ლავრენტი ბერია** არ ყოფილა.





ექიმი ლიდია ტიმაშუკი, რომლის განცხადების საფუძველზეც დაიწყო „ექიმთა საქმე“

**— გენერალი ანდრეი ვლასოვი ჯარიან-იარაღიანად მტერს ჩაბარდა. ხომ არ უნდა გადაესახლებინათ ამის გამო მთელი რუსი ერი? სხვათაშორის, ვლასოვის შეპყრობა და მოსკოვში ჩამოყვანა ბერიას დამსახურება ხომ არაა?**

— იგი საბჭოთა დაზვერვამ შეიპყრო. საბჭოთა დაზვერვის შეფი კი **ლავრენტი ბერია** იყო.

**— დავუბრუნდეთ დეპორტირებულთ. მაგალითად, უკრაინის მთავრობა დღეს მათი ტრადიციული დასახლების რაიონებში აბრუნებს 400 ათასამდე დეპორტირებულ გერმანელს, რაც უზარმაზარ ინვესტიციებს მოითხოვს.**

— მე გერმანელებთან ერთად გავიზარდე და ამ ხალხს ძალიან კარგად ვიცნობ. უფრო მეტიც, ჩემი ძიძა **ელა ემანუილის ასული ალმენდინგერი,** რომელიც ოჯახის წევრებში არ გამოგვერჩეოდა, გერმანელი გახლდათ. ჩვენს მიწაზე დაბადებულ-გაზრდილს სხვა სამშობლო თითქოს არ გააჩნდა, მაგრამ ომი დაიწყო თუ არა, იგი სრულიად გამოიცვალა. შორეული წინაპრების ძახილმა თუ აუჩქროლა გოთური სისხლი. მას, ერთი მხრივ, მშვენივრად ესმოდა ფაშიზმის მთელი საშიშროება, მაგრამ, მეორე მხრივ, გერმანიის ბედ-იღბალი აღელვებდა. და ეს ბუნებრივია. ვფიქრობ, საბჭოთა გერმანელთა უმრავლესობა მიემხრობოდა თავის სისხლისმიერ ძმებს, მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერი მათ სძულდათ. ომმა ისინი ისეთ საშინელ დღეში ჩააყენა, რომ მიჭირს კიდევაც თქმა, რა უფრო მეტი უზნეობა იქნებოდა, ამ ადამიანების მტანჯველი არჩევანის წინაშე დაყენება: „საბჭოთა კავშირი ან გერმანია“ თუ ცოდვის აცილება თუნდაც გადასახლების გზით. ვინ იტყვის, რა უფრო ჰუმანურია? გადასახლებაში, სხვა თუ არაფერი, მათ უმთავრესი რამ — სიცოცხლე შეუნარჩუნეს!

**— როგორია თქვენი აზრი ე.წ. თურქ-მესხებზე? მათ კარგა ხანია, შექმნეს საზოგადოება „ვატან“ („სამშობლო“) და მოითხოვენ დაბრუნებას საქართველოში, რომელსაც სამშობლოდ მიიჩნევენ.**

— თუ საკითხს ისტორიულ ასპექტში განვიხილავთ, მსგავს შემთხვევებში კი სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ, რა თქმა უნდა, არავითარი **თურქი მესხები** არ არსებობენ, როგორც არ არსებობენ **სომეხი მესხები,** ასევე ამ უძველესი ქართული მიწის მესხეთის დღევანდელი მკვიდრნი. მე ვიცი მესხი შოთა რუსთაველი, რომელიც, როგორც ცნობილია, თურქი არ ყოფილა. თურქეთი ჩვენი მეზობელი სახელმწიფოა, რომელიც ამჟამად დემოკრატიული გზით ვითარდება, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ არსებობდა უცხო ტერიტორიებს დახარბებული ოტომანთა მძლავრი იმპერია — „ბრწყინვალე პორტაც“. შავშეთ-ერუშეთი, ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი... ვის ტერიტორიაზეა ჩვენი არქიტექტურული ძეგლები და ქრისტიანული სალოცავები ოშკი, შატბერდი, ბანა? ვიცი, რომ ეს რიტორიკული კითხვებია და მაინც... ნებისმიერ ცალკეულ პიროვნებას აქვს უფლება, დაბადების ადგილი სამშობლოდ იგულვოს, მაგრამ მთელი ერის სამშობლო არ შეიძლება უცხო ტერიტორია იყოს. სხვათაშორის, იცით თუ არა, რომ ლენინი საქართველოს ათა-თურქს აძლევდა? ჩვენი პატარა ქვეყანა დღე და მოსწრება თავის გადასარჩენად იბრძოდა, რევოლუციის ბელადი კი მზად იყო, კალმის ერთი მოსმით იგი თურქეთისთვის ეჩუქებინა, ამ უკანასკნელის სოციალისტური ორიენტაციის სანაცვლოდ. და აჩუქებდა კიდეც, სტალინი რომ არა!

**— ხომ არ გეუფლებათ ისე-**

**თი გრძნობა, რომ სტალინმაც და ბერიამაც ისევე, როგორც სხვა ქართველმა ბოლშევიკებმა, ნიჭი და სიცოცხლე ცრუ იდეალებს შეალიეს, მამულს კი ვერაფერი არგეს?**

— „რა დასანანია, რომ მღვდელი არ გამოხვედი!“ — უთქვამს სტალინისთვის დედამისს. „რა დასანანია, რომ მშენებელი არ გამოხვედი!“ — შეეძლო, ეთქვა მამასთვის ბებიაჩემსაც. დედა ნიადაგ უმტკიცებდა მამას, რომ ადამიანი მშობელ მიწაზე უნდა ცხოვრობდეს, სამშობლოსთვის უნდა ქმნიდეს. საცოდავი ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოესწრო საქართველოში ჩემს დაბრუნებას. სწორედ დედაჩემისგან მსმენია და თვითონაც დავრწმუნებულვარ, რომ მამა არც მოსკოვში ყოფილა გულდახშული საქართველოს






# მოგვითხრობს!

მიმართ და ბევრს აკეთებდა მისი აღორძინებისა და წინსვლისთვის.

**— სკკპ ცენტრალური კომიტეტის იმ „საბრალდებო“ პლენუმზე ბევრს ლაპარაკობდნენ ქართულ საკითხებში ბერიას მონოპოლიაზე...**

— მამა მართლაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს ხელმძღვანელობასთან და არცთუ იშვიათად შეჰქონდა კორექტივები მათ საქმიანობაში...

**— როგორ უყურებდა იგი საქართველოს ტერიტორიაზე ავტონომიური ერთეულების არსებობას?**

— აღიქვამდა მათ, როგორც გარედან თავს მოხვეულ რეალობას, თუმცა, მისი ნება რომ ყოფილიყო, ამ საკითხს სხვაგვარად გადაწყვეტდა.

**— რა იცით ლავრენტი ბერიასა და ნესტორ ლაკობას ურთიერთობებზე?**

— ისინი მეგობრობდნენ, თუმცა, ხშირად კამათობდნენ კიდეც.

**— აფხაზებს მიაჩნიათ, რომ ქართველები — იოსებ სტალინი და ლავრენტი ბერია ახორციელებდნენ აფხაზი ერის გენოციდს, რომ მათი ლიდერი ლაკობა მოწამლა აფხაზეთში დაბადებულმა, მაგრამ აფხაზთმოძულე ლავრენტი ბერიამ.**

— უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ბევრს დღემდე არასწორად ესმის ტერმინი „გენოციდი“ და წარამარა უალაგოდ ხმარობს მას. სინამდვილეში გენოციდი ნიშნავს „რასობრივი, ეროვნული თუ რელიგიური მოტივებით მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ფიზიკურ მოსპობას ან ცხოვრების ისეთ პირობებში ჩაყენებას, რაც მათ განადგურებას გამოიწვევს“. ერთი მითხარით, აქ ჩამოთვლილი რომელი ნიშნის მიხედვით ანადგურებდნენ ქართველები აფხაზებს, ვის სასარგებლოდ ხდებოდა რესპუბლიკაში მოსახლეობის ასიმილაცია? რატომ არ არის არცერთი ქართველი, რომელსაც ჰქონდეს აფხაზური გვარი: თარბა, ადლეიბა, ვოუბა, და არიან აფხაზები, რომლებსაც აქვთ ქართული გვარები: გულია, ლომია, ბებია და ა.შ.? ნუთუ მთელი საქართველოს ძალისხმევით შექმნილი საყოფაცხოვრებო პირობები სოხუმში, გაგრაში, ბიჭვინთაში, გუდაუთაში, ახალ ათონში თუ ოჩამჩირეში იწვევდა აფხაზთა განადგურებას? ან რომელ მცირერიცხოვან ერს ჰქონდა საბჭოთა კავშირში აფხაზებზე უფრო რეალური ავტონომია? სიმართლე თუ გნებავთ, მათი ძალად რესპუბლიკა ეთნოკრატიის პრინციპებზე იყო დაფუძნებული და, უპირველესად, ეროვნული ნიშნით განისაზღვრებოდა. სწორედ ამან შეუწყო ხელი ბევრი ქართველის გადაგვარებას და აფხაზური ეთნოსის ხელოვ-






**„რამდენადაც მე მესმის, თენგიზ აბულაძის ფილმი „მონანიება“ გროტესკია ტირანსა და ტირანიაზე საერთოდ. არა მგონია, რომ ვარლამ არავიძე მაინცდამაინც მამაჩემი იყოს!“**

ნურად ზრდას. ამ უკუღმართი პროცესის სავალალო შედეგებს დღეს იმკის დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი მრავალტანჯული საქართველო. რაც შეეხება მამაჩემს, იგი პატრიოტი იყო იმ მიწისა, რომელზეც დაიბადა, პატივს სცემდა ხალხს, რომელიც იქ ცხოვრობდა. მე ამის მოწმე ვარ.

**— თქვენ მაინც ამტკიცებთ, რომ ლაკობას სიკვდილი არაა ბერიას სინდისზე?**

— მჯერა, რომ არაა. **ნესტორ ლაკობა** ავადმყოფი კაცი იყო, ხანგრძლივად მკურნალობდა გერმანიაში. ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობდით და მე არ შემიმჩნევია, რომ მამა მტრულად ყოფილიყო მის მიმართ განწყობილი.

**— ქართველ-აფხაზთა ურთიერთობის გამწვავებასთან დაკავშირებით კვლავ გაიხსენეს ბრწყინვალე ლიტერატურათმცოდნის, ისტორიკოსისა და კულტურტრეგერის პავლე ინგოროყვას მონოგრაფია „გიორგი მერჩულე“, რომელშიც აფხაზების ეთნოგენეზისს მთელი თავი ეძღვნება. მეცნიერი ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით იმ დასკვნამდე მიდის, რომ აფხაზებიც ქართული ეთნოსია. ანტიქართული სული მათ შთაბერეს ჩრდილოკავკასიურმა ტომებმა, რომლებმაც აფხაზი დაირქვეს გვიან შუა საუკუნეებში, არა უადრეს მე-18 საუკუნისა. გამოკვლევა პრესაში გამოქვეყნდა 40-იანი წლების მიწურულს, მაგრამ ხელისუფალთა მკაცრი კრიტიკის გამო ცალკე ტომად არ გამოცემულა. ბერიას დაცემის შემდეგ კი გავრცელდა ვერსია, რომ მეცნიერმა ისტორია ლავრენტი ბერიას მითითებით გააყალბაო.**

— **პავლე ინგოროყვა** ეკუთვნოდა იმ შეურიგებელ ოპოზიციონერთა რიცხვს, რომლებიც ბოლშევიკებთან არავითარ კომპრომისზე არ მიდიოდნენ. სხვაგვარად მსოფლიო მასშტაბის მკვლევარი რიგით ლიტერატორად არ მოკვდებოდა. მამამ იქნებ მართლაც სთხოვა ინგოროყვას ჩვენი ერისთვის და პირადად მისთვისაც აქტუალური თემის გაშუქება. მან კარგად იცოდა, ვინ რას წარმოადგენდა ქართულ ლიტერატურაში, ამიტომ ასეთი ვარაუდი გამონაგონს არ ჰგავს. სხვა საქმეა, რომ **პავლე ინგოროყვა** ვინმეს მითითებით ისტორიას არ გააყალბებდა. დაბოლოს, არა მგონია, რომ რესპუბლიკის მეთაურის საქმიანი ურთიერთობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან ამ უკანასკნელთათვის ჩირქის მომცხები ყოფილიყო, როგორც ეს ზოგ-ზოგებს დღეს ჰგონიათ.

**— ლავრენტი ბერიას ბოროტმოქმედებებზე საუბრისას ხშირად ახსენებენ ხოლმე ა. ნ. რაფავას, ს. ა. გოგლიძეს, ნ. მ. რუხაძეს, ლ. ფ. ცანავას. თქვენ მათ იცნობდით?**

— ვიცნობდი, თუმცა, ახლო ურთიერთობა არ მქონია. **რუხაძე,** მაგალითად, დიდი უცხვირპირო ვინმე იყო, მამაჩემს მტრობდა და ვერ გამიგია, როგორ მოხვდა მის მეგობართა სიაში. **რაფავა და გოგლიძე** მართლაც მეგობრობდნენ მამასთან, ხოლო **ცანავაზე** (მისი ნამდვილი გვარი **ჯანჯღავაა,** რომელიც რუსებისთვის გააუბრალოვა) ვერ ვიტყვი, მამასთან მეგობრობდა-თქო.

**— მაშინ ეს ჭრელი ხალხი ასე ჯგუფურად რატომ ჩაწერეს ბერიას დამქაშებში?**

— რათა ბერია ქართველ მაფიოზადაც წარმოეჩინათ.

**— ტიტე ლორთქიფანიძე თუ გსმენიათ?**

— როგორ არა! იგი ამერკავკასიის შინსახკომის უფროსი იყო და ჩვენს სართულზე ცხოვრობდა. მშობლები მას პატივისცემით ეპყრობოდნენ. ტიტეს ჰყავდა პროფესორი სიძე, რუსული ლიტერატურის სპეციალისტი, შესანიშნავი პიროვნება, რომელიც საინტერესო წიგნებს მაძლევდა წასაკითხად. ძალიან დამწყდა გული, როცა ტიტე სამუშაოდ ყირიმში გადაიყვანეს და იქ დააპატიმრეს.

**— არსებობს ვერსია, რომ ლორთქიფანიძე აბეზღებდა ბერიას, ამიტომაც ამ უკანასკნელმა საქართველოდან გააძევაო...**

— რას ბრძანებთ! ლორთქიფანიძე კაცს მოკლავდა, მაგრამ მაბეზღარობას ნამდვილად არ იკადრებდა. რევოლუციამდე იგი „ექსების“ — ექსპროპრიატორების — ჯგუფს ხელმძღვანელობდა, მერე კი ცეკაში მუშაობდა. შესაძლოა, რომ მას ზოგიერთ საკითხში მამისგან განსხვავებული შეხედულებები ჰქონოდა, მაგრამ ამის გამო დამსმენისა და ჭორიკანის დონემდე ნამდვილად არ დაეშვებოდა.

**— გაგანდობთ საიდუმლოს: ეს ვერსიაც ვოლკოგონოვის წიგნიდანაა.**

— ღმერთმანი, არ ვიცოდი, ბატონი გენერალი საქართველოს უახლესი ისტორიის ასეთი უბადლო მცოდნე თუ იყო!

**— ვარლამ არავიძის პროტოტიპად ლავრენტი ბერია მიაჩნიათ, თუმცა, გარეგნული მსგავსება მხოლოდ პენსნითაა მინიშნებული.**

— რამდენადაც მე მესმის, **თენგიზ აბულაძის ფილმი „მონანიება“** გროტესკია ტირანსა და ტირანიაზე საერთოდ. არა მგონია, რომ ვარლამ არავიძე მაინცდამაინც მამაჩემი იყოს, რადგან ფილმის ღრმა მეტაფორიზმი და ალეგორიულობა ლაპარაკობენ მის უნივერსალურ მნიშვნელობაზე. ქართული ფონი აქ მხოლოდ აკონკრეტებს მოქმედების ადგილს. დიახ, 30-იანი წლები საქართველოსთვის ძნელი და ტრაგიკული იყო, მაგრამ ამბავი, რომელსაც ავტორები მოგვითხრობენ, მეტ-ნაკლები სისავსითა და კოლორიტით საბჭოთა კავშირის ნებისმიერ რესპუბლიკაში შეიძლებოდა მომხდარიყო. ეს ჩემი პირადი აზრია.

**— როგორ ახსნიდით ლავრენტი ბერიას კავშირს პარიზის ქართულ ემიგრაციასთან? რამ განაპირობა იდეური მტრების ურთიერთსიმპათია?**

— ძნელი სათქმელია, იყვნენ თუ არა ისინი იდეური მტრები. მამაჩემის საკმაოდ უცნაური დამოკიდებულება მათ მიმართ ასეთი ეჭვის საბაბს ნამდვილად იძლევა. მაგალითად, კონსპირაციულად შემოგზავნილი მენშევიკების ახალგაზრდა ემისრები, რომლებიც ჩეკამ დააკავა, დაუსჯელად გაუშვეს.

**— ალბათ, შესაბამისად დამუშავების მერე...**

— არა, ისინი, უბრალოდ, შეიწყალეს, რადგან არ ჰქონდათ ჩადენილი რაიმე დანაშაული.

**— საზღვარზე არალეგალურად გადმოსვლაც ხომ დანაშაული იყო?**

— კანონის მიხედვით ასეა, მაგრამ კანონი იმისთვის არსებობს, რომ იგი ხანდახან დაირღვეს. **ვალიკო ჯუღელს** მამა ვერ დაეხმარებოდა, რადგან თბილისში მისი ჩამოსვლა გახმაურდა. ემიგრაციასთან კავშირი კი, ეტყობა, მაღალ პროფესიულ დონეზე ხორციელდებოდა. სტალინი, როგორც ცნობილია, მენშევიკების მიმართ შეურიგებელი იყო, მათ შემოტყუებასა და განადგურებას მოითხოვდა, მამა კი პირიქით მოიქცა. მე ეს დედაჩემისგან ვიცი. ფაშიზმზე გამარჯვების შემდეგ, როცა საქართველოში პირველი ემიგრანტები დაბრუნდნენ, **ევგენი გეგეჭკორსაც** გამოუწყია შინისკენ გულმა, მაგრამ მამამ ის და მისი თანამხლებნი სპეციალური მეკავშირის მეშვეობით გააფრთხილა, რომ შეპყრობა არ ასცდებოდათ. მათაც დაუჯერეს და გადარჩნენ.

*გაგრძელება იქნება*

*დამოუკიდებელი ექსპერტი **მაია ნიკოლეიშვილი** ბოლო დროს საქართველოში განვითარებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და აცხადებს — სახეზეა ფერადი რევოლუცია, რომელსაც საკმაოდ ორიგინალური დასასრული ექნება:*






# მაია ნიკოლეიშვილი: წლების წინ ზუსტად ისევე შესციცინებდა ხალხი საბჭოთა კავშირს, როგორც დღეს – ევროკავშირს!




— დიდი ხანი არ გასულა მას მერე, ევროპის პერიფერიებიდან „პაჩკა-პაჩკად“ რომ ჩამოდიოდნენ პარლამენტარები და ტვინს გვიჭამდნენ — სააკაშვილი კვდება, უნდა გაათავისუფლოთ, თორემ ევროპა კარს მოგიკეტავთო. ფაქტია — სააკაშვილიც მშვენივრად გრძნობს თავს და კანდიდატობის სტატუსიც მივიღეთ. არადა, რეალურად მათ თავიანთი გასაჭირი აქვთ — **საქართველოში ნაციონალების სახით თავიანთი მამაძაღლები ჰყავთ, რომელთა მეშვეობითაც ძალიან დიდ ფულს ათეთრებენ.** მითხრეს, რომ ახლაც ნახევარ მილიარდამდე შემოაქვთ ტრანშის სახით ქვეყანაში სახელმწიფოს ასაყირავებლად.

ევროკავშირის დღევანდელი ხელმძღვანელობა **ურსულა ფონ დერ ლაიენის** ჩათვლით გასულია მომსახურების ზონიდან. უფრო მეტიც, ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარეს **მიხაელ როთის** ჭკუა რომ მოეკითხებოდეს, განა იტყოდა — ეკლესიის, ანუ ღმერთის ამარა გინდათ დარჩეთო?! **რაოდენ უგუნური და ქვეყნის მტერი უნდა იყო, რომ ოფიციალური პირი ოპოზიციის მიერ მართულ აქციაზე მიხვიდე და სიტყვით გამოხვიდე?!** თუმცა, ბალტიისპირეთის ქვეყნებს, მას შემდეგ, რაც ევროკავშირში გაერთიანდნენ, საკუთარი პოლიტიკა აღარ გააჩნიათ და მხოლოდ პროვოკატორების როლს ასრულებენ.

**— რამდენად დიდია რევოლუციის საფრთხე?**

— ვინ დგას დღეს ძირითადად ქუჩაში? ამფეტამინისგან გაგიჟებული გოგო-ბიჭები! ზოგიერთი ახალგაზრდა წიხლებს რომ ისვრის და უცნაურ კომენტარებს იძლევა, სწორედ ამფეტამინის ზემოქმედების ქვეშაა. პოლიცია დაკავებისას თუ არ უტარებს სპეციალურ ტესტს, იმედი მაქვს, აწი მაინც შეამოწმებს ნარკოტიკებზე.

მოდით, პირდაპირ ვთქვათ —

## დღეს ახალგაზრდობა ამ მდგომარეობაში რომ არის, ეს გახლავთ განათლების სისტემის სრული კრახი და „ქართული ოცნების“ 12-წლიანი მმართველობის სერიოზული ლაფსუსი.

ამ წლების განმავლობაში ახალგაზრდობას გონებას უწამლავდნენ, მათ კი არაფერი მოიმოქმედეს. **შარვალჩახდილმა „ბირჩმა“** პირდაპირ თქვა — თქვენ ამათთან ვერაფერს გააწყობთო და მართალიც არის. შეცვლილია ახალგაზრდების დიდი ნაწილის ტვინის ბიოქიმია. ეს პროცესი ლომაიას ბინძური რეფორმებით დაიწყო, რის შედეგადაც მივიღეთ ახალგაზრდობა, რომელიც თვლის, რომ კანონს წაკითხვა არ სჭირდება.

როგორ გგონიათ, რატომ ჩარეცხა **სააკაშვილმა** პროფესორ-მასწავლებლები და მოაზროვნე ინტელიგენცია? განა ყველა მექრთამე იყო? ეს ამ პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახლდათ. დღეს ყველას პროფესორი რომ ჰგონია თავი, მითხარით, რა შექმნეს მეცნიერებაში? როგორ შეიძლებოდა **ლევან ბერძენიშვილისნაირად** მოაზროვნე ადამიანების სტუდენტებთან შეშვება?! რას ელით იმ ახალგაზრდებისგან, რომლებსაც მოწამლული აქვთ გონება? რაც მეტი ლევან ბერძენიშვილისნაირი აზროვნების მქონე ადამიანი იტყვის უარს უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვაზე, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის და ჩვენი შვილების მომავლისთვის. ნეტა ყველა ერთად აიკრეფდეს გუდა-ნაბადს და ჩამოგვეცლებოდნენ.

**— საუბრის დასაწყისში ახსენეთ, დღეს საქართველოს ხელისუფლებასა და დასავლეთის გარკვეულ ძალებს შორის ურთიერთობა ღია დაპირისპირების ფაზაში გადავიდაო, თუმცა, არ გითქვამთ, რამდენად სწორია ხელისუფლების ნაბიჯები, მათ შორის, დასავლეთთან და ევროპასთან ღია დაპირისპირებაში შესვლა?**

— ძალიან კარგად მახსოვს კომუნისტების და კომკავშირელების გამოსვლები — მოსკოვში თქვეს, მოსკოვმა თქვაო... ზუსტად ისევე შესციცინებდა ხალხი საბჭოთა კავშირს, როგორც დღეს — ევროკავშირს. თუ მონობა სულში გიზის, რა მნიშვნელობა აქვს, რომელ დროში ვისი მონა იქნები?!

## ადრე რუსეთიდან ჩამოდიოდა რევიზორი, ახლა – ამერიკიდან ო'ბრაიენის სახით.

რაიმე განსხვავებას ხედავთ? გამოდის, გირჩევნია, იმის მონა იყო, ვინც უკეთ გაჭმევს?! **მამუკა ხაზარაძე,** რომელიც პარლამენტში უნდა შესულიყო და საგადასახადო კოდექსზე ემუშავა, ქუჩა-ქუჩა დარბის, ყოველი შემთხვევისათვის იქამდე დარბოდა, ვიდრე ლაზერი არ მიანათეს თვალებში.

**სალომე ზურაბიშვილმა** თქვა — სახედაკარგულ ხელისუფლებას სახეს არ შევუნარჩუნებო. ამას ამბობს კონსტიტუციის დამრღვევი, უნიჭო პრეზიდენტი, რომელმაც 20 წელია, ქართული ვერ ისწავლა. და, საერთოდ,

## როგორც ადრე კრემლში მიდიოდა „ატკატები“ ქრთამის სახით, ასე მიდის დღეს გათეთრებული შავი ფული მის გამომგზავნებთან დასავლეთში.

**— გჯერათ ივანიშვილის დაპირებების, რომლებიც 29 აპრილს გაჟღერდა აქციაზე?**

— **ბიძინა ივანიშვილს** ძალიან რთული, საოცრად მასშტაბური გათვლები აქვს. ყოველთვის მადლიერი ვიქნები 2012 წლისათვის. **სააკაშვილის** რეჟიმის შეცვლა ჩემთვის სიცოცხლის დაბრუნება იყო და დარწმუნებული ვარ, მის ხელში არის ჯოკერი, რადგან ასეთ ცხელ ფაზაში არ შევიდოდით!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

2024 წლის 20 მაისი. №26 (262)

სარედაქციო კოლეგია

**„ახალი-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# „დღემდე ვერ გამირკვევია, რომელი ქვეყნის ჯაშუშობა დამაბრალა სააკაშვილის ნაცისტურმა რეჟიმმა!“

*ცნობილი პოლიტიკური მიმომხილველი და მკვლევარი სიმონ კილაძე პირველი ადამიანია, ვინც „კუდიანებზე მონადირე“ სააკაშვილის ხელისუფლებამ ჯაშუშობის შეთითხნილი ბრალდებით დააკავა და გაასამართლა. მას შემდეგ 18 წელიწადია გასული, მაგრამ ნაცრეჟიმის მსხვერპლს სამართლიანობის აღდგენისათვის დღემდე ვერ მიუღწევია, არადა, 2012 წელს ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლას სულ სხვა იმედითა და მოლოდინით შეხვდა:*



„12 წელია, სამართალს უშედეგოდ ვეძებ!“

## სიმონ კილაძე:

# ვითხოვ, რომ პროკურატურამ სამართლიანობა აღმიდგინოს!

— **პრეზიდენტ სააკაშვილის** ადმინისტრაციაში მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარ მრჩეველ-კონსულტანტად ვმუშაობდი. ჩემი მოვალეობა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა და გარკვეული მასალების დაიჯესტის სახით მომზადება გახლდათ, რასაც, თავს არ ვიქებ, მაგრამ წარმატებით ვასრულებდი, სანამ 2006 წლის 28 მარტს უშიშროების სამსახურის თანამშრომლები „რუსთავი-2“-ის გადამღებ ჯგუფთან ერთად საკუთარ სამუშაო კაბინეტში არ შემომივარდნენ და არ დამაპატიმრეს.

**— როგორ ფიქრობთ, ვის და რაში დასჭირდა თქვენი დაპატიმრება, თანაც, ჯაშუშობისა და სახელმწიფოს ღალატის უმძიმესი ბრალდებით?**

— საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან ოფიციალური კონტრაქტი მქონდა გაფორმებული და ვაწვდიდი ქართული პრესის მიმოხილვას, რაც ხელისუფლების შესახებ კრიტიკულ სტატიებსაც მოიცავდა, ეს კი, როგორც ჩანს, ნაცისტების რეჟიმს არ მოსწონდა. თანაც, იმ პერიოდში **სანდრო გირგვლიანის** მკვლელობისა და დიდი მსხვერპლით დასრულებული ე.წ. ციხის ბუნტის გამო მთავრობისადმი საზოგადოების უკმაყოფილება სულ უფრო მწვავდებოდა, ხოლო რეჟიმს სჭირდებოდა, ეს მოვლენები რაიმე სენსაციური ფაქტით გადაეფარა. ვფიქრობ, სწორედ ამისათვის **დადგეს სპექტაკლი, თითქოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში რომელიღაც უცხო ქვეყნის ჯაშუში იქნა გამოვლენილი.**

**— კონკრეტულად, რომელი უცხო ქვეყნის სასარგებლოდ ჯაშუშობას გდებდნენ ბრალად?**

— საქმეც სწორედ ის არის, რომ **დღემდე ვერ გამირკვევია, რომელი ქვეყნის ჯაშუშობა დამაბრალა სააკაშვილის ნაცისტურმა რეჟიმმა,** რადგან არც გამოძიების მასალებში და არც სასამართლოს განაჩენში დასახელებული არ იყო, რომელ უცხო ქვეყანას ვაწვდიდი ვითომდა საიდუმლო ინფორმაციებს მაშინ, როცა არავითარ საიდუმლო მასალებზე ხელი არ მიმიწვდებოდა.

საქართველოს ნაცისტური ხელისუფლება გერმანელი ნაცისტების ერთ-ერთი ბელადისა და მთავარი პროპაგანდისტის **იოზეფ გებელსის** მეთოდიკით მოქმედებდა — ჯერ სენსაციურად გამოაცხადა, თითქოს ჩემი სახით ჯაშუში გამოავლინა, შემდეგ კი სპეციალურ ბრიფინგზე, უდანაშაულობის პრეზუმფციის უხეში დარღვევით, დამნაშავედ შემრაცხა. ნაცისტური რეჟიმის სამსახურში მყოფი ტელეარხებიც, გებელსისეული პროპაგანდის სტილში, საზოგადოებაში ნერგავდნენ აზრს, რომ ჯაშუში ვიყავი და ამის **„მთავარ მტკიცებულებად“ აჩვენებდნენ კადრს, თუ როგორ შევდივარ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, ანუ ჩემს სამსახურში ქუდითა და გრძელი ტყავის ლაბადით. კადრში ისმოდა დიქტორის ხმა — ეს პიროვნება სახელმწიფო საიდუმლოების მოპოვებას ცდილობსო!**

მიუხედავად ამისა, საზოგადოების დიდმა ნაწილმა, რომელიც ნაცისტური ხელისუფლების პროპაგანდისტულ მეთოდებში საკმაოდ კარგად იყო გარკვეული, ჩემთვის წაყენებული ბრალდება არ გაიზიარა და არც ის დაიჯერა, რომ ჯაშუში ვიყავი.

**— თუმცა, „აღიარებითი ჩვენების“ მიცემა მაინც მოგიხდათ!**

— „აღიარებითი ჩვენების“ მიცემა შანტაჟისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მაიძულეს. მემუქრებოდნენ, რომ ბრალს თუ არ ვაღიარებდი, ჩემი ოჯახის წევრებს საფრთხე შეექმნებოდათ. **მაჩვენეს ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ჩემი შვილების ქუჩაში გადაადგილება ჩანდა, რითიც მიმანიშნეს, რომ უთვალთვალებდნენ და შეექლოთ, მათთვის ნებისმიერი უბედურება გაექეთებინათ.** მოკლედ, სხვა გზა არ მქონდა, მათ პირობებს უნდა დავყოლოდი და საპროცესო შეთანხმება გამეფორმებინა, თუმცა, ღრმად მწამდა, რომ ადრე თუ გვიან სიმართლე გაირკვეოდა და ჩემი უდანაშაულობა დამტკიცდებოდა.



„მსურს, პირადი აუდიენცია ვთხოვო საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ბატონ ირაკლი ნადარეიშვილს!“



**— „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში თქვენი უდანაშაულობის ოფიციალურად დამტკიცება რატომ ვერ ხერხდება?**

— 2012 წელს ხელისუფლების ცვლილებას დიდი იმედით შევხვდი, რადგან „ქართული ოცნების“ მთავარი დაპირება სამართლიანობის აღდგენა იყო. მაშინვე მივმართე გენერალურ პროკურატურას და ჩემი საქმის ხელახალი გამოძიება მოვითხოვე, თუმცა, **12 წელია, სამართალს უშედეგოდ ვეძებ.** მართალია, საქმეს მსვლელობა მიეცა და კონკრეტული გამომძიებელიც შეუდგა მასალების შესწავლას, მაგრამ ცოტა ხანში სხვაგან გადაიყვანეს და ახალი გამომძიებელი დანიშნეს, მერე კი ისიც შეცვალეს და სხვა გამომძიებელს ჩააბარეს საქმე... სხვადასხვა პერიოდში სამი თუ ოთხი გამომძიებელი აწარმოებდა გამოძიებას, მაგრამ პროცესი ბოლომდე ვერცერთმა ვერ მიიყვანა... შემდეგ იყო კოვიდის პანდემია, როცა ყველაფერი გაჩერდა და ჩემი საქმე დღემდე ჰაერშია გამოკიდებული.

**— დღევანდელი ხელისუფლებისადმი თქვენი მთავარი მოთხოვნა რაში მდგომარეობს?**

— ვითხოვ, ჩემი საქმის გამოძიება გაგრძელდეს და ლოგიკურ დასასრულამდე მივიდეს!

**ჩემი მიზანია, მივაღწიო საკუთარი თავის რეაბილიტაციას და ჯაშუშობის ცრუბრალდების სამართლებრივად გაუქმებას ისევე, როგორც სააკაშვილის ნაცისტური რეჟიმის მიერ ჯაშუშობაში ბრალდებული ფოტო-რეპორტიორების შემთხვევაში მოხდა.**

ასევე, მსურს, პირადი აუდიენცია ვთხოვო საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, უმაღლესი დონის იურისტსა და პროფესიონალს, ბატონ **ირაკლი ნადარეიშვილს,** რათა მისგან მივიღო კომპეტენტური პასუხი, თუ რატომ ჭიანურდება ასე უსაშველოდ ჩემი საქმის გამოძიება.

**— სააკაშვილის რეჟიმის კონკრეტულ წარმომადგენელთა დასჯას არ ითხოვთ?**

— სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი უკანონო დაპატიმრებისა და ჯაშუშად გამოცხადების უკან **პრეზიდენტი სააკაშვილი,** მისი ადმინისტრაციის უფროსი **გიორგი არველაძე,** მთავარი პროკურორი **ზურაბ ადეიშვილი** და შინაგან საქმეთა მინისტრი **ვანო მერაბიშვილი** იდგნენ. სწორედ მათგან მიიღო ბრძანება კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსმა **შალვა ულენტმა,** რომელმაც საქმე შეკერა და მეუბნებოდა — ბრალი აღიარე, თორემ აქედან ცოცხალი ვერ გახვალო! თუმცა, მე ნამდვილად ვერ ვუკარნახებ პროკურატურას, ვინ უნდა დაისჯიროს და ვინ — არა, ეს გამოძიების პროცესში, ალბათ, თავისთავად გამოიკვეთება.

დღეს უკვე ყველანაირად დადასტურებულია, რომ **სააკაშვილის ნაცისტური რეჟიმი ანტიადამიანურ და ანტიეროვნულ საქმიანობას ეწეოდა,** უამრავ სისხლის სამართლის დანაშაულს სჩადიოდა და ადამიანის უფლებებს ფეხქვეშ თელავდა, ამ ფონზე კი **გაუგებარია, რატომ ვერ ხერხდება სამართლიანობის აღდგენა ჩემნაირი რეპრესირებული ადამიანისათვის?!**

მიუხედავად ყველაფრისა, მჯერა, რომ ჩემი კანონიერი მოთხოვნა დაკმაყოფილდება და სამართალი დაგვიანებით, მაგრამ მაინც იზეიმებს!

*ესაუბრა*
**ჯაბა ხუბუა**



„ჩემი უკანონო დაპატიმრებისა და ჯაშუშად გამოცხადების უკან პრეზიდენტი სააკაშვილი, მისი ადმინისტრაციის უფროსი გიორგი არველაძე, მთავარი პროკურორი ზურაბ ადეიშვილი და შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი იდგნენ!“

# იგორ კვესელავა:
# შევარდნაძის ბრძანებით, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შესახებ თვითმკვლელობის გარდა სხვა ვერსია არ უნდა გაჩენილიყო!



***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ცნობილი ანალიტიკოსი და მკვლევარი, პროფესორი ИГОР КВЕСЕЛАВА***

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ცნობილი ანალიტიკოსი და მკვლევარი, პროფესორი იგორ კვესელავა აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმეში მუდმივად იკვეთება ნივთმტკიცებების მიზანმიმართულად განადგურების პრობლემა, რომლის უკანაც გუგუშვილი და მარგველანი დგანან:***

— ბოლო დროს საქართველოში, განსაკუთრებით პარლამენტსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებული პროცესები ადასტურებს, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ლუსტრაციის შესახებ კანონი აუცილებლად არის მისაღები. დღეს საქართველოს პარლამენტში გვიზის ხალხი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების დამხობასა და პირველი პრეზიდენტის დევნაში. ეს ხალხი უნდა იქნეს მხილებული და პოლიტიკური საქმიანობა აეკრძალოს! სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ 2003 წელს შევარდნაძის ხელისუფლებაც დაამხეს. ამდენად, პროფესიონალი გადამტრიალებლები და პუტჩისტები ხელისუფლებაშიც მრავლად გვყავს და ოპოზიციაშიც! ეს ხალხი პოლიტიკიდან უნდა მოშორდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის საშველი არ იქნება!

საქართველოში არც შევარდნაძის, არც ჯაბა იოსელიანის, არც თენგიზ სიგუას, არც თენგიზ კიტოვანისა და არც გია ჭანტურიასა და მისი დამნაშავე პარტიის საქმიანობა სამართლებრივად შეფასებული არ არის! რაც დღეს ხდება, სწორედ ამის ბრალია. არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს დაძაბულობა რუსეთის მიერ არ არის პროვოცირებული. ჩვენ გვგონია, საქართველოში გადატრიალებას ამერიკა გეგმავს, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ ამ ყველაფრის უკან შესაძლოა, რუსეთიც იდგეს!

**— რა უნდა მოხდეს იმისათვის, რომ თქვენ მიერ ხსენებული პიროვნებებისა და მათი საქმიანობის სამართლებრივი შეფასება მოხდეს?**

— ამისათვის აუცილებელია, ჯერ საქართველოს პანთეონები გაიწმინდოს!

**— მოდით, მივუბრუნდეთ ზვიად გამსახურდიას მკვლელობას და სამეგრელოში, კერძოდ, სოფელ ძველ ხიბულასა და ჯიხაშკარში განვითარებულ პროცესებს!**

— არც **ბესარიონ გუგუშვილი** და არც **რობიზონ მარგველანი** არ გვაძლევენ საშუალებას, მათი პიროვნებები ერთმნიშვნელოვნად შეფასდეს. საერთოდ, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმეში მუდმივად იკვეთება ნივთმტკიცებების მიზანმიმართულად განადგურების პრობლემა, რომლის უკანაც სწორედ **გუგუშვილი და მარგველანი** დგანან! თუ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა, მაშინ რატომ გაასუფთავა საგულდაგულოდ **რობიზონ მარგველანმა** პრეზიდენტის მკვლელობის იარაღი „სტეჩკინი" და რატომ წაშალა მასზე თითის ანაბეჭდები? უფრო მეტიც, რატომ ჩაბარდა ეს იარაღი **ჯონსონ კვარაცხელიას** სოფელ ჯიხაშკარში? რატომ გადაასხა რობიზონ მარგველანმა დიზელის საწვავი იმ ქვეშაგებს, რომელზეც პრეზიდენტს ეძინა? ცნობისათვის, სწორედ ამ ქვეშაგებით გადაასვენეს ზვიად გამსახურდია კარლო ღურწკაიას სახლიდან ჯონსონ კვარაცხელიას სახლში.

**— რით ხსნიან რობიზონ მარგველანი და ბესარიონ გუგუშვილი იმ ფაქტს, რომ პრეზიდენტის ქვეშაგები დაწვეს, ხოლო „სტეჩკინი" საგულდაგულოდ გაწმინდეს, ანაბეჭდები წაშალეს და მერე დაზეთეს?**

— ამ შეკითხვებზე ბესარიონ გუგუშვილსა და რობიზონ მარგველანს პასუხები არა აქვთ! მარგველანის აღიარებით, გარდაცვლილ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის იარაღი „სტეჩკინი" თავად აართვა. ბუნებრივად დაისმის კითხვა — თუ გუგუშვილი ზვიად გამსახურდიას გვერდით იყო, მაშინ მან რატომ არ აართვა „სტეჩკინი" პრეზიდენტს? შესაძლოა, გუგუშვილი განგებ არ გაეკარა „სტეჩკინს", რათა იარაღზე მისი ნათითურები არ დაფიქსირებულიყო და ეს საქმე გასაკეთებლად **რობიზონ მარგველანს** დაუტოვა, მაგრამ, როცა რობიზონ მარგველანიც მიხვდა, რომ „სტეჩკინზე" ზვიადის თითის ანაბეჭდებთან ერთად თავისი ნათითურების არსებობა სათავეს დაუდებდა პრეზიდენტის მკვლელობის სხვა ვერსიას, იარაღი საგულდაგულოდ გაწმინდა და დაზეთა. ვიმეორებ: **ეს ბესარიონ გუგუშვილის ნებართვის გარეშე ვერ მოხდებოდა!** აშკარაა, რომ ზვიადის მკვლელობის მთავარი ორგანიზატორის — შევარდნაძის ბრძანებით, გამსახურდიას გარდაცვალების შესახებ თვითმკვლელობის გარდა სხვა ვერსია არ უნდა გაჩენილიყო! გუგუშვილი და მარგველანი სწორედ ამ ინსტრუქციას მიჰყვებოდნენ, როცა „სტეჩკინს" აპრიალებდნენ და ზეთავდნენ, ხოლო პრეზიდენტის ქვეშაგებსა და საბანს წვავდნენ!

**— კიდევ რა შეკითხვები გაქვთ ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან დაკავშირებით?**

— ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ღამეს **კარლო ღურწკაიას** 18 წლის ვაჟი **ნუკრი ღურწკაია** შინ იყო. ის იყო პირველი, ვინც ხმაურზე სახლის მეორე სართულზე ავარდა. როგორც **ნუკრი ღურწკაია** აცხადებდა — საწოლზე, სადაც ზვიად გამსახურდია ესვენა, დიდი რაოდენობის სისხლი არ დაუნახავს, არადა, გუგუშვილი და





ზვიად გამსახურდია და რობიზონ მარგველანი მერაბ კოსტავას წლისთავზე



ზვიად გამსახურდიას დაკრძალვა გროზნოში

## კვირგვინოსნები

**ბექან ნაქაძე**
*პარლამენტარი*



**ერთადერთი სანქცია,** რომელიც შეიძლება დამიწესონ და საბედნიეროდ, მათ ამის უფლება არა აქვთ, **ჩემს ზესტაფონში და რეგიონში ჩასვლაა** — ჩემი ოჯახი თუ აშშ-ში და ევროპაში არ იმოგზაურებს, ამას მნიშვნელობა არა აქვს, როცა **ქვეყნის სუვერენიტეტი დგას წინ.**

„ინტერპრესნიუსი"

**ზაალ მიქელაძე**
*„ხალხის ძალის" წევრი*



მე ვიყავი მინისტრი და **შევიძინე 2 ათასი ეტლი** სახელმწიფოს ხარჯით ამ საჭიროების მქონე პირებისთვის. ამ ფონზე არის ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც **5 ეტლი შეიძინა.** ამას მოჰყვა მთელი რიგი ღონისძიება — აპიარებენ ამ პროცესებს, ლამის ელჩებამდე მივიდა საქმე. რეალურად რომ გადახედოთ, **თანხა აქვს მიღებული ხუთი კი არა, შეიძლება ათას ხუთასი ეტლისთვის. დანარჩენი რაში დახარჯა, არავინ იცის.** ეს კონკრეტული მაგალითი მომყავს იმიტომ, **რომ გასაგები იყოს ჩვენი მოქალაქეებისათვის ამ კანონის არსი მოკლედ და მარტივად.**

„იმედინიუსი"

**ვლადიმერ ბოქაძე**
*თბილისის საკრებულოს წევრი*



ნაციონალური მოძრაობა **ვერ ბრუნდება არჩევნების გზით, აუცილებლად უნდა დაბრუნდეს რევოლუციით,** ოღონდ ეს იქნება ყველა შემთხვევაში **სისხლიანი რევოლუცია,** იმიტომ რომ ერთხელ რევოლუციის გზით მოსულმა ნაციონალურმა მოძრაობამ რა უქნა ხალხს, ყველამ ვნახეთ.

„იმედინიუსი"

# „ამ შეკითხვებზე ბესარიონ გუგუშვილსა და რობიზონ მარგველანს პასუხები არა აქვთ!“




მარგველანი სხვას ლაპარაკობენ. ქართველმა პათანატომებმაც განაცხადეს, რომ მსგავსი ჭრილობის შემთხვევაში, საწოლში დიდი რაოდენობით სისხლის არარსებობა მხოლოდ იმაზე მიუთითებდა, რომ ზვიად გამსახურდიას გვამი დანაშაულის ადგილიდან გადატანილი იყო!

**— ანუ ზვიად გამსახურდია სხვაგან მოკლეს და მერე საწოლში მიცვალებული ჩააწვინეს?**

— დიახ, თუ შემთხვევის ადგილზე სისხლი ბევრი არ იყო, მაშინ ჩვენი ვერსია მართლდება! კერძოდ, ვიღაც მოვიდა, ზვიადი მოკლა და **ბესარიონ გუგუშვილმა და რობიზონ მარგველანმა,** რომლებსაც **ბაჩუკი გვანცელაძეც** მიეხმარა, მოკლული ზვიად გამსახურდია საწოლში ჩააწვინეს! არ ვამბობ, რომ ზვიადი სახლს გარეთ მოკლეს. საუბარია იმის შესახებ, რომ კარლო ღურწკაიას სახლში მოკლული პრეზიდენტი შემთხვევის ადგილიდან სხვაგან გადაიტანეს.

**— პრივატულ საუბარში ბრძანეთ, ჯაბა იოსელიანი მოკვლით აკაკი ბაქრაძესაც ემუქრებოდაო!**

— გამსახურდიას არ სურდა პრეზიდენტობა. პირველკაცობა მისი თვითმიზანი არ ყოფილა. ამას ადასტურებს ზვიადის შეხვედრა აკაკი ბაქრაძესთან 1991 წლის 14 სექტემბერს წყნეთში, როცა ზვიადმა მას „მრგვალი მაგიდის“ საარჩევნო სიის პირველი ნომრობა შესთავაზა. იმ დღეს აკაკი ბაქრაძემ სამჯერ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და საბოლოოდ უარი თქვა, რადგან ჯაბა იოსელიანი მოკვლით დაემუქრა! დიახ, იმისათვის, რომ აკაკი ბაქრაძე ზვიად გამსახურდიას არ შეერთებოდა, ჯაბა იოსელიანი აკაკი ბაქრაძესაც ფიზიკური ლიკვიდაციით დაემუქრა და პირდაპირ განუცხადა — **როგორც კი ზვიადის გვერდით დადგები, შენც მოგკლავ და ზვიადსაც!** ათასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ მოსკოვში მყოფი ედუარდ შევარდნაძე ამ ყველაფრის შესახებ საქმის კურსში იყო, ანუ ჯაბა იოსელიანი აკაკი ბაქრაძეს რომ მოკვლით დაემუქრა, ზვიად გამსახურდიასთან არ გაერთიანდეო, ეს ბრძანებაც შევარდნაძემ გასცა! შევარდნაძე იყო ერთადერთი კაცი, რომელსაც შეეძლო, ჯაბა იოსელიანი შეეჩერებინა. ათასგზის გვითქვამს, რომ ჯაბა პირადად შევარდნაძისა და მისი მოლარის **გურამ მგელაძის** ხელისბიჭი იყო. ძალზე დასანანია, რომ ამოდენა ინტელექტის პატრონ **აკაკი ბაქრაძეს** ვაჟკაცობის ნატამალი არ აღმოაჩნდა და ამ მუქარის შედეგად, როგორც კაცი და პიროვნება, აბსოლუტურად წახდა. არადა, ინტელიგენციას, რომელსაც საქართველოს დაქცევაში ლომის წილი უდევს, ზვიად გამსახურდიას გაპრეზიდენტებას აკაკი ბაქრაძის გაპრეზიდენტება ერჩია, რადგან იგი ცეკას ნომენკლატურას წარმოადგენდა. **ბაქრაძე კომუნისტური რეჟიმის ნომენკლატურა რომ არ ყოფილიყო, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი ვერ გახდებოდა. მოგეხსენებათ, ეს საზოგადოება ეროვნული მოძრაობისა და ზვიად გამსახურდიას საპირწონედ სწორედ კომუნისტურმა ცეკამ შექმნა.** ინტელიგენცია ზვიად გამსახურდიას აუმხედრდა, თორემ აკაკი ბაქრაძეს არ აუმხედრდებოდა, რადგან უკონტროლო გამსახურდიას ისევ თავიანთი წიაღიდან შობილი აკაკი ბაქრაძე ერჩივნა, ხოლო, თუ რა ფუნქცია და როლი ენიჭებოდა ინტელიგენციას ზვიად გამსახურდიას დამხობის საქმეში, ეს მაშინვე გამოჩნდა, როგორც კი მოსკოვიდან თბილისში ჩამოფრენილმა შევარდნაძემ 1992 წლის 7 მარტს თვითმფრინავის ტრაპიდან მიწაზე დადგა ფეხი.

**— სხვათაშორის, შევარდნაძის ამ ცნობილი მიმართვის ამსახველი ვიდეოკადრები ყველგან, მათ შორის, ტელეკომპანია „პირველი არხის“ არქივშიც გამქრალია.**



## „სააკაშვილს ინტელიგენციის კონკრეტული წარმომადგენლების, საქვეყნოდ ცნობილი პიროვნებების შესახებ ჩემთვის ისეთი რამეები აქვს ნათქვამი, გაშეშებული ვიყავი და ხმას ვერ ვიღებდი!“

— თბილისში ჩამოსულმა შევარდნაძემ მადლობა კიტოვანს, იოსელიანს, სიგუას ან გიორგი ჭანტურიას კი არა, სწორედ ინტელიგენციას გადაუხადა, რომელმაც „იარაღი აიღო ხელში და დაამხო გამსახურდიას ფაშიზმი!“ ამით შევარდნაძემ იმთავითვე ზუსტად განსაზღვრა, თუ ვის ეკუთვნოდა მთავარი როლი ეროვნული ხელისუფლების იარაღით დამხობის საქმეში. შევარდნაძეს ეს ინტელიგენცია გარყვნილების, მექრთამეობის, კაგებეს აგენტობის ნიშნულით და სხვა ათასი კომპრომატით ჰყავდა დაბმული. სააკაშვილმაც ძალიან კარგად იცოდა, თუ ვინ იყო ეს ინტელიგენცია და ამის შესახებ მასთან არაერთგზის მისაუბრია კიდეც. უფრო მეტიც, სააკაშვილმა ამ მართლაცდა სამარცხვინო ხალხის შესახებ შევარდნაძეზე ბევრად მეტი იცოდა! სააკაშვილს ინტელიგენციის კონკრეტული წარმომადგენლების, საქვეყნოდ ცნობილი პიროვნებების შესახებ ჩემთვის ისეთი რამეები აქვს ნათქვამი, გაშეშებული ვიყავი და ხმას ვერ ვიღებდი! იყო ასეთი ჟურნალისტი **მიხეილ მიქაძე,** რომელმაც მითხრა — გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ ექვსას წელზე მეტხანს ელოდა საქართველო ზვიად გამსახურდიასო! დიახ, საქართველო არც შევარდნაძეს ელოდა და არც სიგუას, ზვიად გამსახურდიას ელოდა, მაგრამ შევარდნაძემ მოკლა! არადა, ზვიად გამსახურდია შევარდნაძეს საგარეო საქმეთა მინისტრობას სთავაზობდა.

**— ეს ინფორმაცია დოკუმენტურად დასტურდება?**

— დიახ, ასეთი საუბარი იყო! უფრო მეტიც, თუ შევარდნაძე მტრობას მოიშლიდა და ქვეყნის სამსახურში ჩადგებოდა, მას შეეძლო, დაეკავებინა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის, ანუ პრემიერ-მინისტრის ადგილიც!

**— ამის შესახებ საუბარი პირადად შევარდნაძესა და ზვიად გამსახურდიას შორის გაიმართა?**

— არა, ისინი ერთმანეთს არ შეხვედრიან, მაგრამ ზვიადმა შევარდნაძეს შესთავაზა, რომ ერთად ყოფილიყვნენ და მიეხედათ ქვეყნისთვის! საქვეყნოდ ცნობილია შევარდნაძის პასუხი ამ შეთავაზებაზე — მე ერთი პენსიონერი კაცი ვარ და რა შემიძლიაო?! საქართველო დღემდე ვერ თავისუფლდება შევარდნაძის კლანჭებისგან. ხომ ხედავთ, **ფიქრია ჩიხრაძე, გიორგი ბარამიძე, დათო ტურაშვილი, გიორგი მაისურაძე, გიგა ბოკერია, მიხეილ მაჭავარიანი, მამა-შვილი ბაბაშვილი, კობა ხაბაზი, თედო ისაკაძე** და კიდევ სხვები და სხვები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ გამსახურდიას დამხობაში, დღემდე აქტიურ პოლიტიკურ პროცესებში არიან ჩაბმული და დრო და ჟამის შესაფერისად სულ ზედაპირზე ტივტივებენ. შევარდნაძემ ფილოსოფოსი **მერაბ მამარდაშვილი,** რომელიც გორბაჩოვის ოჯახის მეგობარი გახლდათ, ქართველი ერის სინდისად გამოაცხადა. როგორც კი შეიტყო, რომ მიხეილ სერგეევიჩი მას საქართველოში მაღალ თანამდებობაზე უპირებდა დანიშვნას, მაშინვე შეუძვრა მამარდაშვილს და მიუქსია ზვიად გამსახურდიას. არადა, სწორედ მამარდაშვილს ეკუთვნის ცნობილი სიტყვები — **„თუ ქართველი ხალხი მხარს დაუჭერს ზვიად გამსახურდიას, მაშინ მე ქართველი ხალხის წინააღმდეგ წავალ!“** სამწუხაროდ, თანამედროვე საქართველოს მთავარ იდეოლოგად ედუარდ შევარდნაძემ სწორედ **მერაბ მამარდაშვილი** გამოაცხადა და თბილისში ძეგლიც კი დაუდგა.

## „როცა რობიზონ მარგველანიც მიხვდა, რომ „სტეჩკინზე“ ზვიადის თითის ანაბეჭდებთან ერთად თავისი ნათითურების არსებობა სათავეს დაუდებდა პრეზიდენტის მკვლელობის სხვა ვერსიას, იარაღი საგულდაგულოდ გაწმინდა და დაზეთა!“



პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაცვის ყოფილი უფროსი რობიზონ მარგველანი

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**გურამ პეტრიაშვილი**
*მწერალი*



საპროტესტოდ გამოსული მართალი ახალგაზრდობა დიდი ძალაა, მაგრამ **ახალი ძალა, ახალი ლიდერი არ ჩანს.** ამ ხელისუფლების ერთადერთ დადებით მხარედ მიმაჩნდა **რუსეთთან ურთიერთობის ისე მოგვარება, რომ საკონფლიქტო სიტუაცია არ შექმნილიყო.** თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ახლა ისევ მისი ქვეშევრდომი გაგვხადონ.

„კვირის პალიტრა“

**გივი სიხარულიძე**
*მსახიობი, მწერალი*



პირველი, ვისაც დედამიწის ზურგზე ყოფნას ავუკრძალავდი, **რომის პაპია,** რომელმაც **კაცზე — კაცისა და ქალზე ქალის ქორწინება დაუშვა.** პარტიებს, ენჯეოებს, მენჯეოებს, რომ ვუყურებ, **მხოლოდ საკუთარ თავზე შეყვარებულ ხალხს ვხედავ,** რომლებსაც უნდათ, საკუთარი ცხოვრება მოიწყონ.

„თბილისელები“

**სოსო არჩვაძე**
*სტატისტიკოსი*



**საზოგადოებრივი ვნებათაღელვა უნდა დაწყნარდეს,** თუ გვინდა, რომ ეკონომიკა ამ პროცესიდან მინიმალური დანაკარგით გამოვიდეს. **ბიზნესს აზარალებს არა იმდენად ამა თუ იმ კანონის მიღება, რამდენადაც ის დაძაბული ფონი, რაც საზოგადოებაშია.** ეს კანონი არ ნიშნავს, რომ უცხოეთიდან ფული არ შემოვა ან ტაბუ დაედება და აიკრძალება, **აქ საუბარია გამჭვირვალობაზე.**

„რეზონანსი“

**სანდრო თვალჭრელიძე**
*ექსპერტი*



**ერთმა გასროლამ შეიძლება მთელი ქვეყანა ააფეთქოს.** სულ მინიმუმ, ხელისუფლებამ იმდენი უნდა მოახერხოს, რომ **არ მივიღოთ საზოგადოების გახლეჩა და დაპირისპირება.** ასევე, აუცილებლად გამოსაძიებელია, ვინ აწყობს ცემა-ტყეპას სადარბაზოებთან. **ძალადობა ძალადობას შობს და იმის იქით უკვე ქაოსის უფსკრულია.**

„კვირის პალიტრა“

*„17 მაისს ქართველმა საზოგადოებამ ოჯახური სიწმინდის დღე იზეიმა. ეს იყო ყველაზე ხალხმრავალი მარში, რაც კი უკანასკნელ პერიოდში საქართველოში ჩატარებულა. მომღიმარი ხალხი მსოფლიოს წინაშე გამოხატავდა ნებას, თუ რომელი ღირებულებებია მისთვის უპირატესი!“ —* ***ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი უფლებადამცველმა და სააკაშვილის რეჟიმის ყოფილმა პოლიტპატიმარმა რატი მაისურაძემ:***



## რატი მაისურაძე:

# გამორიცხული არ არის, უახლოეს მომავალში ევროპელების გადარჩენა ქართველებს მოგვიხდეს!

— ეს მანიფესტაცია არ იყო რომელიმე პარტიის მიერ ორგანიზებული. დედაეკლესიის მოწოდებით, ხალხი საკუთარი ნებით გამოვიდა დედაქალაქის ცენტრში, რათა აღენიშნა „ოჯახის სიწმინდის დღე“. შეკრებილთა რაოდენობა რამდენჯერმე აღემატებოდა ოპოზიციონერთა რიცხვს, რაც იმას ნიშნავს, რომ რაოდენობით ისინი ვერასოდეს გაგვაკვირვებენ, ხოლო დასავლეთი ვალდებულია, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ნება გაითვალისწინოს!

**— თუმცა, ევროპამიდრეკილი საზოგადოება და გამჭვირვალობის კანონის მოწინააღმდეგენი ამ რეალობას არ ნებდებიან და აქციებს განაგრძობენ.**

— ეს საზოგადოება არ გახლავთ ერთგვაროვანი. არიან ახალგაზრდები, რომელთაც ჩააგონეს და გულწრფელად სჯერათ, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონით ხელისუფლება გვარუსებს. არადა, ამ კატეგორიის ახალგაზრდები უკიდურესად განიხიბლნენ, როდესაც ევროკავშირის ერთ-ერთი ემისრისგან მოისმინეს, რომ მათი გაერთიანება საქართველოსგან სუვერენიტეტის შეზღუდვას მოითხოვს!

მომიტინგეთა სხვა ნაწილი ე.წ. ოპოზიციური პარტიების წევრები არიან, რომლებსაც ხელმძღვანელთაგან დასახული აქვთ კონკრეტული მიზანი — ნებისმიერი ფორმით გამოიწვიონ აქციის გამარგინალება, რათა პარლამენტისა და კანცელარიის შენობებში შეიჭრან და ხელისუფლების დამხობა გამოაცხადონ. **მათგან სისხლისღვრის წყურვილი გასაკვირი არ არის, რადგან ნაციონალური მოძრაობის და ამ პარტიის ორბიტაზე მყოფი ორგანიზაციების წევრები არიან. ისიც კარგად იციან, რომ მომავალ არჩევნებში გამარჯვების პერსპექტივა არ გააჩნიათ და ამიტომ მთელი თავიანთი რესურსი სახელმწიფო გადატრიალებისთვის მოამართეს.**

მომიტინგეთა მესამე ნაწილი ე.წ. არასამთავრობო სექტორი და მათ მიერ დასაქმებული ახალგაზრდები არიან. მათ ესმით, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონის შემოღებით, პერსპექტივაში უცხოეთიდან მათი მიმართულებით გადმოტყორცნილი უზარმაზარი ფინანსების ნაკადი შემცირდება და შესაძლოა, შეწყდეს კიდეც!

აქციებს ხელმძღვანელობენ სპეციალური პროგრამებით გაწვრთნილი ადამიანები, რომლებსაც შესწავლილი აქვთ ტექნოლოგიები, როგორ დაძაბონ მდგომარეობა, როგორ გადაზარდონ აქცია სამართალდამცველთა მიმართ დაუმორჩილებლობასა და ძალადობაში, როგორ წაუკიდონ ცეცხლი მოქალაქეთა მანქანებს, დაამსხვრიონ ტრანსპორტი და საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქონება. **საზოგადოებამ იხილა, მთელი ღამის განმავლობაში როგორ უტევდა აგრესიული ბრბო პარლამენტის შენობაში თავშეფარებულ პოლიციელებს და, იმავდროულად, სამართალდამცველებს დარბევაში ადანაშაულებდა.**

**— მაგრამ ამ ყველაფერს რატომ არ გმობს ევროკავშირი? ევროპული დემოკრატიისთვის მისაღებია ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ასეთი მარგინალური ფორმები?**

— თანამედროვე ევროკავშირი დიდი ხანია, მოსწყდა ჰუმანურ და დემოკრატიულ ღირებულებებს. ევროპის თანამედროვე ხელისუფლება გადაიქცა მენტორად, რომელსაც ქართველებისა თუ უკრაინელებისათვის ემეტება ის, რაც საკუთარ საზღვრებში დაუშვებლად მიაჩნია. ასეთი შერჩევითი დამოკიდებულება იმას მოწმობს, რომ სინამდვილეში ევროკავშირი საქართველოს თავის სივრცეში გულწრფელად კი არ ეპატიჟება, არამედ საქართველო სულ სხვა მიზნით სჭირდება, რათა რუსეთს მეორე ფრონტი გაუხსნას და უკრაინის მსგავსად, ქართველების სიცოცხლის ხარჯზე ეომოს რუსეთს.

**— რამდენად ადეკვატურია რუსოფობიური კამპანია, რასაც ეს წრეები აღვივებენ?**

— იმის მიუხედავად, რომ რუსეთმა ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა, დაუშვებელია ქუჩებში მშვიდობიანი რუსი ტურისტების დევნა, მათი სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. ამ წრეების მხრიდან აგორებული რუსოფობიური კამპანია ითვალისწინებს ისტერიული გარემოს შექმნას, რუსეთის პროვოცირებას საქართველოს მიმართ მორიგი დამსჯელი ღონისძიების გასატარებლად. რუსოფობიის გაღვივების პარალელურად, ეს წრეები უხვად ფინანსდებიან რუსული ლიბერალური სპექტრიდან და ხარბად ითვლიან რუსულ რუბლებს. ამ წრეებს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მართლაც რომ აშფოთებდეთ, თავიანთ რისხვას ყველა სხვა ოკუპანტის მიმართაც განავრცობდნენ, გააპროტესტებდნენ თუნდაც სულ ახლახან აზერბაიჯანის მიერ გარეჯის ნაწილის მიტაცებას, უფრო სწორად, სააკაშვილის მიერ ამ ტერიტორიის მეზობელი ქვეყნისათვის ხონჩით მირთმევას! ნაციონალურმა რეჟიმმა საქართველოს ეკონომიკური ობიექტების დიდი ნაწილი რუსებს აჩუქა, არადა, ეს წრეები ევროკავშირელი მენტორების მითითებით სააკაშვილის დასჯას კი არა, იმ მიზერული სასჯელისგან გათავისუფლებას მოითხოვენ, რომლითაც ამჟამად არის მსჯავრდებული!

**— საქართველოს სჭირდება ევროკავშირი თუ, პირიქით, ევროკავშირს — საქართველო?**

— თანამედროვე ევროპის ხელისუფლებამ რახანია დაგვანახა თავისი ნამდვილი სახე, კერძოდ, ქართველების საზარბაზნე ხორცად გამოყენების სურვილი, ხოლო ასეთი ევროპა ჩვენი ორიენტირი ნამდვილად ვერ იქნება! უფრო მეტიც, 17 მაისს ტრადიციული ღირებულებებისა და ოჯახური სიწმინდის დაცვის საქმეში გამოვლენილი არნახული ერთსულოვნების ფონზე **არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში ევროპელების გადარჩენა ქართველებს მოგვიხდეს!**

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***

## ოჯახის სიწმინდის დღესთან დაკავშირებული სახალხო



## კვირგვინოსნები

**ირაკლი ვადაჭკორია**
*ბიზნესმენი*



**ტრამპს** „ტვიტერი“ და „ფეისბუქი“ გაუთიშეს და **ჩვენ გვეუბნებიან — სიტყვის თავისუფლება და დემოკრატიააო...** რამდენიმე შტატში კანდიდატურა მოუხსნეს და **ჩვენ გვეუბნებიან — დემოკრატიააო...** უნივერსიტეტში სპეცრაზმი და პოლიცია შეუვარდა სტუდენტებს, უბათქუნეს და დააკავეს... **ბაიდენმა** ბრძანა — **აბა რაო... და ჩვენ გვეუბნებიან — დემოკრატიააო...** საფრანგეთში, გერმანიაში წინა დღეებში მჯდომარე აქციები დაშალეს, ძაღლები მიუქსიეს, ხელკეტებით ცემეს და რეზინის ტყვიები ესროლეს და **ჩვენ გვეუბნებიან — თქვენთვის ჯერ არ შეიძლებაო... სადაა დემოკრატია?**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გიორგი ზერეკიძე**
*ყოფილი პატიმარი*



ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნაში არის სურათები, როგორაა დაზიანებული მამაჩემი, **როგორ ჰყავთ 46 წლის კაცი ციხეში წამებით მოკლული.** მეც ამ დროს პატიმარი ვიყავი, **ოჯახი გაგვანადგურეს და დღეს ისევ ამ ფაშისტებს უნდათ დაბრუნება.** მინდა, მივმართო ჩემს შვილს და მომავალ თაობას — **ამას არ დავუშვებ! გვარამიას** თუ ციხის არ ეშინია, **მე სიკვდილის არ მეშინია, რადგან ვერცერთ ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც ვერ წარმოიდგენთ გლდანის ციხეში გატარებულ ერთ დღეს.** დააყენონ ერთი ადგილები, **ვიდრე მართლა ჩემნაირმა გამწარებულმა ადამიანებმა თავი არ შევაკალით ამათ.**

„TV იმედი“

**დათო ლორთქიფანიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



**რევოლუციური სცენარით ხელისუფლებას ვერ შეცვლიან.** ხელისუფლებამ კეთილი უნდა ინებოს და **ქვეყანაში სიმშვიდე და წესრიგი უზრუნველყოს,** რომ საქართველოს განვითარების საშუალება მიეცეს.

„ახალი თაობა“

**გოგა ჩანადირი**
*ფოტოგრაფი*



**ოჯახი და სარწმუნოება ნამდვილად არ არის სალღიცინო** და ნურც უცხოელები მისცემენ უფლებას საკუთარ თავს, **აუგად მოიხსენიონ ჩვენი ფასეულობები.**

„ფეისბუქი“

## მამა დავითი (ისაკაძე):

# ქართველი ხალხი არასოდეს დაჰყვება გათხოვილი კაცებისა და ლესბოსელების სამარცხვინო მოთხოვნებს!

*„წელს, 17 მაისს, საქართველომ სოდომისტურ მოძრაობას მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მხილების მძლავრი მახვილი ჩასცა!“ —* ***აცხადებს დიღმის წმინდა მარინეს სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი*** ***დავით ისაკაძე*** ***და დასძენს:***



— საქართველოში ყოველთვის იყო მძაფრი წინააღმდეგობა მამათმავლური აღლუმის გამართვასთან დაკავშირებით, მაგრამ თბილისის ქუჩებში გამოსული ამდენი ხალხი აქამდე არცერთ ღონისძიებაზე არ მინახავს! წლევანდელ 17 მაისს ხალხის ამ რაოდენობით თავშეყრა გახლდათ პასუხი იმ უზნეობასა და თავხედობაზე, რაც რამდენიმე კვირის წინ რუსთაველზე „თბილისი პრაიდის“ მიერ აქციის ჩატარების მცდელობაში გამოიხატა. **უკვე აშკარა გახდა, საიდან იმართებოდა ეს პროცესი, ამიტომ მღვდელმსახურთა ერთმა ჯგუფმა სასწრაფოდ ამერიკის საელჩოსთან შეკრება დავაანონსეთ, პარაკლისი გადავიხადეთ და შეერთებული შტატების საელჩოს წინ დგომით აქციის ნამდვილი ორგანიზატორები გამხილეთ!**

**— ამას რაიმე შედეგი მოჰყვა?**

— დამკვეთები მიხვდნენ, რომ გაიშიფრნენ და „თბილისი პრაიდი“ მაშინვე ჩამოაშორეს აქციებს. ამასთანავე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ საქართველოს ხელისუფლება ბოლო პერიოდში რეალურად ილაშქრებს შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მხრიდან გაცემული ანტიქართული მითითებების წინააღმდეგ. აქციების უკან მდგომმა დასავლურმა აგრესიულმა ძალებმა კარგად იციან სარწმუნოების რეალური გავლენა ქართველ საზოგადოებაზე და შიშობენ, რომ მათ მიერ დაფინანსებული აქციები დაეშლებათ. ამიტომაც ცდილობენ აქციის მონაწილეთა გამიჯვნას ეკლესიისა და სარწმუნოებისაგან! კანონს „რუსული“ უწოდეს და ამგვარად მოიზიდეს წლების განმავლობაში დაფინანსებული პროპაგანდით აღზრდილი თაობა. ოკუპაციის შედეგები მართლაც დასაძლევია, თუმცა, ეს პროპაგანდა ცალსახად ტენდენციურია, რადგან არ ეხება სხვა ოკუპანტებს!

**— საქართველოს ხელისუფლებამ დაიკავა აბსოლუტურად სწორი პოზიცია, როდესაც უთხრა ევროკავშირს — ჩვენ გვინდა ევროპაში, მაგრამ ჩვენი ფასეულობების გათვალისწინებით...**



**მსვლელობა თბილისში. 2024 წლის 17 მაისი**

**– 17 მაისს გული სიხარულით მევსებოდა, როდესაც ვხედავდი, როგორ მიაბიჯებდა ეპისკოპოსებისა და მღვდელმსახურთა გვერდით ჩვენი სახელმწიფოს მეთაური, რომელიც დიდი წნეხის მიუხედავად, არ შეელია დედასარწმუნოებას, ეროვნულ ტრადიციებსა და სუვერენიტეტს!**

მათ უკან კი მთელი საქართველო მოდიოდა. ეს მართლაც მილიონიანი მარში იყო, რითიც პასუხი გაეცა ყველა იმ უზნეობას, რასაც დასავლეთის აგრესიული წრეები გვახვევენ თავს.

ქართველი ხალხი არასოდეს დაჰყვება საქართველოში ბოლო დღეებში ჩამოსული **გათხოვილი კაცებისა და ლესბოსელების** სამარცხვინო მოთხოვნებს. აი, ერთ-ერთმა გათხოვილმა კაცმა, გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე **მიხაელ როთმა** უტიფრად განაცხადა, რომ თითქოს ქართველი ახალგაზრდობა ეკლესიასთან არის გამიჯნული, ხოლო ეკლესია მხოლოდ ახალგაზრდობასთან დაპირისპირებული ხელისუფლების საყრდენია!

**— ევროვიზიაზეც მინდა, გკითხოთ, სადაც ზნეკეთილი საზოგადოების ჯინაზე მორიგმა კონჩიტამ გაიმარჯვა...**

— ევროვიზია აღარ არის მხოლოდ მუსიკალური ფესტივალი. მან პოლიტიკური ელფერი შეიძინა და თანამედროვე ევროპის სავიზიტო ბარათად იქცა. ევროპის დაისი მაშინ დაიწყო, როდესაც ღმერთი დაკარგეს, როცა ჭეშმარიტ სარწმუნოებას ზურგი აქციეს, როდესაც პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის საკურთხეველში მეძავი ქალი შეიყვანეს...

უცხოეთის პრესა იუწყება, რომ **გაბრიელ ატალი** პირველი ღია ჰომოსექსუალი პოლიტიკოსია, რომელიც საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი გახდა. 2023 წლამდე მისი პარტნიორი ყოფილა **სტეფან სეჟურნე,** რომელიც ამჟამად საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრია. ასეთი ტენდენცია მკვიდრდება ევროპაში, რაც ქართველი ხალხისთვის მიუღებელია! ღმერთისთვის ზურგის შექცევის და ეშმაკეული ძალებისკენ ლტოლვის ზუსტი მაგალითია ევროვიზიის ვიზუალური სახეც. ქართველი ერის სახე კი ის გახლავთ, რაც 17 მაისს აჩვენა!

**— დარჩება თუ არა ქართველი ერი ანტიქრისტესთან ბრძოლის ავანგარდში?**

— დღეს საქართველოს ხელისუფლება ღვთისათვის სათნო და ერისათვის სასარგებლო საქმეს აკეთებს. საქართველოს პრემიერმა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა ამ დღეებში გამოხატეს მზადყოფნა, რომ მტკიცედ იდგებიან ეროვნული ღირებულებებისა და მართლმადიდებელი სარწმუნოების სადარაჯოზე. ეკლესია და მრევლი ყოველთვის გვერდით დაუდგება ასეთ ხელისუფლებას! **ვისურვებდით, ახლო მომავალში, უპირველესად, განათლების სისტემის რეფორმა მოხდეს, რის შედეგადაც ახალი თაობა სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში ნამდვილ ეროვნულ და ზნეობრივ ფასეულობებზე აღიზრდება, ხოლო სასწავლო დაწესებულებები გაიწმინდება უზნეო პერსონალისგან.**

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**გიორგი კალანდია**
*საზოგადოება „ქართულის“ საინიციატივო ჯგუფის წევრი*



საქართველოში როდესაც მტერი შემოდიოდა, **პირველ დარტყმას სწორედ დედაეკლესიას აყენებდა!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ლევან ბერძენიშვილი**
*ბიზნესმენი*



ძალიან მინდა, რომ **ევროპაში შევიდე და საქართველო ევროპაში შევიდეს, ოღონდ მე არ უნდა დავკარგო არსებობის, სიცოცხლის და არჩევანის უფლება.** მე ეს ერთხელ 2008 წელს საკუთარ თავზე გამოვიარე და დამაკარგვინეს ზუსტად მათ, ვინც დღეს ქუჩაში გამოდის და ჭკუას მარიგებს — **ლიდერებმა, ვისაც მიჰყავთ ესკალაციისკენ ეს საქმე.**

„რეზონანსი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*



**მოტივირებული შენიშვნების გარეშე ვეტოს დადება არასწორი პოზიციაა.** ეს აუცილებლად მისცემს სალაპარაკოს „ქართულ ოცნებას“, რომ **პრეზიდენტი არ კითხულობს კანონს საერთოდ და წინ და უკან ისვრის ვეტოებს.** რას აპირებს **ზურაბიშვილი,** რომ ხელი გადაუგრიხოს „ოცნებას“? ხომ ვიცით, რომ ასე მარტივად არ გამოუვა.

„ახალი თაობა“

**დავით ქიქინაძე**
*„ტრიბუნის“ თავმჯდომარე*



**ახალგაზრდებს ტრიბუნაზე ამძვრალი ოპოზიცია არ უნდათ.** ეს ქვეყანა ოქროს თაობამ გადაიბარა... **ჩამყაყებული პოლიტიკური ელიტების დრო წარსულს უნდა ჩავაბაროთ.**

„ახალი თაობა“

**ზაზა ნადირაძე**
*ევროპის ჩემპიონი ნიჩბოსნობაში*



**„მამული, ენა, სარწმუნოება“!** კი ქართულ კანონს! „არა რუსულ კანონს!“ **კი დამოუკიდებელ საქართველოს! საქართველო უპირველეს ყოვლისა!** ღირსებით ევროპაში!

„პირველი არხი“

# დოქტორ უილიამ ლის მეთოდმა კიბოს მკურნალობაში შესაძლოა, გადატრიალება მოახდინოს!





უილიამ ლი

## კახა საბახტარიშვილი:

# თუ ანგიოგენეზს დავბლოკავთ, კიბო არ განვითარდება!




***ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი, რომელიც ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება, აცხადებს, რომ ქვეყანაში, სადაც მედიცინა უმაღლეს დონეზეა განვითარებული, კიბოს დასამარცხებლად მკურნალობის ერთ-ერთი ალტერნატიული მეთოდი — ანგიოგენეზური თერაპია ინერგება:***

— ერთი კვირაა, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიმყოფები. სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი იმ ფაქტით, რომ ამერიკაში უამრავი ქართველი ექიმი წარმატებულ სამედიცინო კარიერას იკეთებს. უფრო მეტიც, ამერიკის წამყვან კლინიკებში ქართველ მედიკოსებს გამორჩეული პოზიციებიც კი უკავიათ. მაგალითად, ჩემი თანაკურსელი ნევროპათოლოგი, პროფესორი **ანდრო ზანგალაძე** ამერიკაში ცნობილი ნევროლოგია და ნიუ-ჯერსიში უზარმაზარ კლინიკას ხელმძღვანელობს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამერიკულ კლინიკებში წამყვან პოზიციებზე დასაქმებულ ქართველთა შორის განსაკუთრებით ჭარბობენ დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები. ჩემი უფროსი ვაჟი **გიორგი საბახტარიშვილიც,** რომელიც ამერიკაში რეზიდენტურას გადის, სწორედ ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია.

გავიცანი სიეტლში მოღვაწე ბავშვთა რეანიმატოლოგი **ომარ ჩიქოვანი,** რომელიც ასევე წარმატებული და ცნობილი ექიმია. როდესაც მან შეიტყო ჩემი ინტერესის შესახებ ალტერნატიული მედიცინის მიმართ, თავისი პრაქტიკიდან ერთი ძალიან საინტერესო ფაქტი გაიხსენა. კერძოდ, მის კლინიკაში მიიყვანეს ამერიკელი ბავშვი, რომელსაც დღის განმავლობაში დაახლოებით ორასჯერ მაინც მოსდიოდა ეპილეფსიური გულყრა. ბავშვს ჩაუტარდა ულტრათანამედროვე გამოკვლევები, დაენიშნა ძალიან მაღალი ხარისხის მკურნალობა, მაგრამ ეპილეფსიის ამ მძიმე შემთხვევასთან ბრძოლაში ამერიკის საუკეთესო ნევროლოგებმაც კი ვერაფერი გააწყვეს. როგორც ომარ ჩიქოვანმა მიამბო, ბავშვის მშობლებმა, რომლებიც მზად იყვნენ ოპერაციულ ჩარევაზე, კერძოდ, ლობექტომიაზე დათანხმებულიყვნენ, გადაწყვიტეს ბოლო ცდა გამოეყენებინათ და ჩინური მედიცინისთვისაც მიემართათ. მათ მიაკვლიეს ერთ-ერთ გამოჩენილ ჩინელ მკურნალს, რომელთან ვიზიტმაც პირველსავე სეანსზე გამაოგნებელი შედეგები გამოიღო. ჩინელმა მედიკოსმა ეპილეფსიანი ბავშვის მკურნალობა ჩინური ბალახებით დაიწყო და საბოლოო ჯამში სრულიად განკურნა.

**— ბატონო კახა, მაინც რა ბალახები დაუპირისპირა ჩინელმა დასტაქარმა ეპილეფსიას?**

— **ომარ ჩიქოვანმა** მაჩვენა იმ ჩინელის მიერ დაწერილი რეცეპტურა, რომელიც ბოლომდე არ დამიმუშავებია, რადგან რამდენიმე ბალახი გასაშიფრი მაქვს, მაგრამ გაოგნებული დავრჩი, როცა ამ წამალში ჩემთვის ძალიან კარგად ნაცნობი რამდენიმე კომპონენტი აღმოვაჩინე. ეს ბალახები ჩვენი წინაპრებისთვისაც კარგად იყო ცნობილი და მათი სამკურნალო თვისებები დეტალურად არის აღწერილი მე-11 საუკუნის ქართულ სამედიცინო ტრაქტატში „უსწორო კარაბადინი". ძველ საქართველოში ეპილეფსიას „ბნედას" უწოდებდნენ და სწორედ ასე არის ის დაფიქსირებული საუკუნეების წინათ შექმნილ კარაბადინებში... როგორც ნევროპათოლოგი, ვაპირებ, ბოლომდე გავშიფრო ჩინელი ექიმის ზემოხსენებული რეცეპტურა, რომლითაც მან ეპილეფსია დაამარცხა და ეს უებარი წამალი საქართველოშიც ხელმისაწვდომი გავხადო!

**— არის თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების წამყვან სამედიცინო კლინიკებში რამე სიახლე კიბოს პრევენციასთან ან მკურნალობასთან დაკავშირებით?**

— მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული მედიცინა მსოფლიოში წამყვანია, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში მკურნალობის ალტერნატიულ მეთოდებს მწვანე შუქი აქვს ანთებული. თუ ასეთი მეთოდების ეფექტურობა ექსპერიმენტულად დასტურდება, მაშინ ეს მეთოდი ყოველგვარი ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე ინერგება სამედიცინო პრაქტიკაში. სამწუხაროდ, საქართველოში ასე არ ხდება. შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს ჩემთვის ნამდვილად აღმოჩენა გახდა ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის, ექიმ **უილიამ ლის** შრომები ანგიოგენეზის შესახებ.

**— რა არის ანგიოგენეზი?**

— **„ანგიოს"** სისხლძარღვს ნიშნავს, ხოლო **„ანგიოგენეზი"** ეს არის ახალი სისხლძარღვების წარმოქმნა და ზრდა. მოგეხსენებათ, ადამიანის ორგანიზმი მთლიანად სისხლძარღვებით არის დაქსელილი. ისინი ერთმანეთს რომ გადავაბათ, საერთო სიგრძე 100 ათას კილომეტრს მიაღწევს. უწვრილეს სისხლძარღვებს კაპილარები ეწოდება და მათი საერთო რაოდენობა ჩვენს ორგანიზმში დაახლოებით 90 მილიარდია. გარკვეულ პირობებში ორგანიზმში ახალი სისხლძარღვები განუწყვეტლივ წარმოიქმნება. როცა სისხლძარღვების რაოდენობა რაღაც დონეს გადააჭარბებს, ორგანიზმი მათ რიცხვს ავტომატურად დაარეგულირებს, შეამცირებს და ერთსა და იმავე დონეზე დაიყვანს. ეს შესაძლოა, შევადაროთ მებაღის ყოველდღიურ საქმიანობას, როცა ბაღში იდეალური წესრიგია. ამერიკელმა ექიმმა **უილიამ ლიმ** დაადგინა, რომ სამოცდაათზე მეტი დაავადება, რომლითაც დაახლოებით 1 მილიარდი ადამიანი იტანჯება, სწორედ სისხლძარღვების მდგომარეობით არის განპირობებული. თუ ანგიოგენეზი ჭარბია, ანუ სისხლძარღვები სწრაფად მრავლდება და იზრდება, მაშინ ვითარდება შემდეგი დაავადებები: **1.** კიბო, **2.** ფსორიაზი, **3.** ფილტვის ფიბროზი, **4.** ართრიტი, **5.** ენდომეტრიოზი, **6.** ალცჰაიმერის დაავადება, **7.** სიმსუქნე, **8.** გაფანტული სკლეროზი, **9.** როზაცეა, **10.** მხედველობის დაკარგვა და ა.შ. ხოლო სისხლძარღვების რაოდენობის შემცირება იწვევს: **1.** გულის იშემიურ დაავადებას, **2.** ინსულტს, **3.** ნევროპათიას, **4.** პერიფერიული არტერიების დაავადებებს, **5.** ალოპეციას, ანუ თმების ცვენას და **6.** ერექციული ფუნქციის დაქვეითებას, ანუ იმპოტენციას.

ყველა კიბო, როგორც წესი, უწყინარი უჯრედებისგან ვითარდება. კიბოს მიკროსკოპული წარმონაქმნები თითქმის ყველა ჩვენგანის ორგანიზმშია. მათი ზომა საწერი კალმის ბურთულას არ აღემატება. **40-50 წლის ქალების 40 პროცენტს მკერდში მიკროსკოპული კიბოს წარმონაქმნების რაოდენობა უკვე აღენიშნება, ხოლო 50-60 წლის კაცების პროსტატის ჯირკვალში მსგავსი წარმონაქმნები 50 პროცენტს აქვს. 70 წლის მამაკაცებში კი კიბოს მიკროსკოპული წარმონაქმნები 100 პროცენტს უფიქსირდება.** ერთი შეხედვით, ეს ძალიან შემაშფოთებელი მონაცემებია, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ კიბოს ასეთი მიკროსკოპული წარმონაქმნები სრულიად უწყინარია.

**— რატომ?**

— მიზეზი ის არის, რომ კიბოს მიკროსკოპული წარმონაქმნები არ მარაგდებიან სისხლით, რის გამოც ვერც ჟანგბადსა და საკვებს ღებულობენ. ამის გამო ეს წარმონაქმნები ვერც ზომაში იზრდებიან და ვერც მრავლდებიან. ანგიოგენეზის ფუძემდებელმა, **უილიამ ლის** მასწავლებელმა, დოქტორმა **ჯუდი ფოლმენმა** ასეთ წარმონაქმნებს **„კიბო დაავადების გარეშე"** უწოდა.

საკმარისია, დაიწყოს ანგიოგენეზის პროცესი, ანუ სისხლძარღვები შეეხოს კიბოს მიკროსკოპულ წარმონაქმნებს, რომ ისინი უკვე ორ კვირაში თექვსმეტჯერ გაიზრდებიან ზომაში და თუ სასწრაფოდ ზომები არ იქნა მიღებული, დაიწყება კიბოს გავრცელება და მეტასტაზირება.

დოქტორმა **უილიამ ლიმ** შეიმუშავა ანგიოგენეზური თერაპია, რომლის არსიც ძალიან მარტივია — **თუ კიბოს უჯრედების მკვებავ სისხლძარღვებს ბლოკირებას გავუკეთებთ, ასეთ შემთხვევაში ისინი საკვებსა და ჟანგბადს ვერ მიიღებენ და განადგურდებიან.** ამერიკაში უკვე არსებობს მთელი რიგი ანტიანგიოგენეზური პრეპარატები, რომლებიც კიბოს მკვებავ სისხლძარღვებს ბლოკავენ. ერთ-ერთი ასეთი პრეპარატი საქართველოშიც გამოიყენება და მას **ავესტინი** ეწოდება.

**დოქტორი ლი** უფრო შორსაც წავიდა და დასვა კითხვა — **თუკი ქიმიური მედიკამენტებით შესაძლებელია ანგიოგენეზის ბლოკირება, რატომ არ შეიძლება ეს მოხდეს ზოგიერთი საკვებით, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ?** უილიამ ლიმ დაადგინა, რომ ასეთი საკვები საკმაოდ ბევრია. გთავაზობთ მცირე ჩამონათვალს: **მარწყვი, ჟოლო, მოცვი, მაყვალი, ლიმონი, ფორთოხალი, ვაშლი, წითელი ყურძენი, წითელი ღვინო, კურკუმა, გოგრა, ოხრახუში, ნიორი, მწვანე ჩაი, ტომატი, მუქი შოკოლადი, სოია, კაკალი** და სხვ. ყველა მათგანი შეიცავს ისეთ ნივთიერებას, რომელიც ანგიოგენეზს ბლოკავს. მოკლედ, თუ ანგიოგენეზს დავბლოკავთ, კიბო არ განვითარდება და **ჯუდი ფოლმენის** მიერ ნახსენები **„კიბო დაავადების გარეშე"** ნამდვილ კიბოდ არ გადაიქცევა!

## „ვაპირებ, ბოლომდე გავშიფრო ჩინელი ექიმის რეცეპტურა, რომლითაც მან ეპილეფსია დაამარცხა და ეს უებარი წამალი საქართველოშიც ხელმისაწვდომი გავხადო!"

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ირმა სოხაძე**
*მომღერალი*



ნუ დავყოფთ, რომ **თითქოს ახალგაზრდებს უნდათ ევროპა და ჩემს თაობას კი — რუსეთი.** არა, ბატონო, მე უფრო არ მინდა რუსეთი, რადგან უკვე ვიცხოვრე იმ ქვეყანაში და ვიცი, რაც არის, **და როგორღა უნდა მინდოდეს იმ წარსულში დაბრუნება?**

„კვირის პალიტრა"

**ზურა ხაჩიძე**
*მომღერალი*



ამ ქვეყანაში **რევოლუცია აღარავის გამოუვა.** ხელისუფლება ძალიან სწორად მართავს პროცესს.

„კვირის პალიტრა"

**ნატუკა გულისაშვილი**
*მსახიობი*



როდესაც მამა გარდაიცვალა, 10 წლის ვიყავი. მაშინ ჩემი ცხოვრება ამოტრიალდა. **დიდი დატვირთვა ავიღე ჩემს თავზე. აღარ ვიყავი განებივრებული პატარა გოგონა, უცებ ძალიან დიდი ადამიანი გავხდი,** ბავშვობას ავტომატურად დავემშვიდობე.

„თბილისელები"

**ასმათ ტყაბლაძე**
*მსახიობი*



აღარ ვართ **რუსეთის მონა,** მაგრამ არ მინდა ვიყო **სხვისი მფარველობისა და დიქტატურის ქვეშევრდომი.**

„კვირის პალიტრა"

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №46-49, 51-52, 2024 წლის №1-21*

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო, ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი. ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება.***

# შევარდნაძის საიდუმლო




**შევარდნაძე** 1988 წელს საბჭოთა დიპლომატიის ახალი კურსის ჩამოყალიბებისა და დასავლეთთან „ცივი ომის“ დასრულებისთვის უმნიშვნელოვანეს წელს უწოდებს! საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობაში შეთანხმდნენ, რომ ძველებურად გაგრძელება შეუძლებელი იყო, რადგან მთელ მსოფლიოსთან დაპირისპირებას უკვე აშკარად დაუძლურებული საბჭოთა ეკონომიკა ვეღარ გაუძლებდა და ჩამოიშლებოდა!

თუმცა, საბჭოთა ხელმძღვანელობაში, იმავე პოლიტბიუროში, იყვნენ „ახალი კურსის“ და „პერესტროიკის“ საკმაოდ გავლენიანი მოწინააღმდეგეებიც, რომლებსაც ვერაფრით წარმოედგინათ მთავარ მტერთან — ამერიკასთან მეგობრულ-პარტნიორული ურთიერთობა!

ჰოდა, სწორედ ამ **რეფორმატორებსა და კონსერვატორებს** შორის მიმდინარეობდა დიდი კულუარული ომი მმართველ კომუნისტურ პარტიაში!

ამდენად, **შევარდნაძეს,** როგორც საბჭოთა კავშირის „ახალი კურსის“ მთავარ დიპლომატს, ყველაზე მძიმე ბრძოლები დასავლეთელ კოლეგებთან კი არა, საკუთარ თანაპარტიელებთან უწევდა!

მემუარისტი იხსენებს 1988 წლის 25-27 ივლისს მოსკოვში ჩატარებულ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას, სადაც ის შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა და პირდაპირ ამხილა წინა მინისტრის **ანდრეი გრომიკოს** და, საერთოდ, **ხრუშჩოვ-ბრეჟნევის** დროინდელი „ცივი ომის“ პოლიტიკა:

***„ეს გახლდათ საბჭოთა კავშირის ახალი საგარეო პოლიტიკის კურსის სრული და ჩამოყალიბებული განაცხადი. მასში ჩემი და ჩემი თანამოაზრეების მიერ ამომწურავად იყო შეფასებული საბჭოთა კავშირის ადრინდელი საგარეო პოლიტიკა; პირუთვნელად იყო მითითებული ის შეცდომები, რომელთაც ჩვენი ქვეყანა იზოლაციამდე მიიყვანეს... აქ იყო ავღანეთის ავანტიურა, დავა ჩინეთთან, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შეუფასებლობა, ძვირადღირებული გამალებული შეიარაღება, ჟენევის 1983-1984 წლების მოლაპარაკების მიტოვება, გადაწყვეტილება SS-20 რაკეტების შესახებ, საბჭოთა თავდაცვითი დოქტრინა“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 153).*

როგორც ხედავთ, საბჭოთა კავშირის დაშლიდან ლამის 20 წლის შემდეგ დაწერილ მემუარებში, შევარდნაძეს ქვეცნობიერად მაინც ეპარება ეჭვი, რომ სსრკ მისი სამშობლო იყო — **ჩვენი ქვეყანა იზოლაციამდე მიიყვანესო!**

ანუ ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გორბაჩოვისა და შევარდნაძის მიზანი მათი მშობლიური საბჭოთა კავშირის დაშლა კი არა, მისი მოდერნისტულ იმპერიად გარდაქმნა იყო!

სხვა საქმეა, არაპროფესიონალებს როგორ გამოუვიდათ ეს.

**შევარდნაძე** ხაზგასმით აღნიშნავს გორბაჩოვისეულ დოქტრინას **„ძალის გამოყენების პოლიტიკაზე“** უარის თქმის შესახებ — საბჭოთა კავშირის ამ პოლიტიკამ ისტორიაში თავისი დრო მოჭამაო!

თუმცა, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო... უფრო სწორედ, შევარდნაძე ბჭობდა, კრემლი იცინოდაო და სულ რამდენიმე თვეში საბჭოთა მონსტრმა მაინც გამოაჩინა თავისი სისხლიანი სახე — ბაქოში, თბილისსა თუ ვილნიუსში დემონსტრანტების ჯალათურ, საბჭოურ სტილში, უსასტიკეს კვლარბევაში!..

თუმცა, დავუბრუნდეთ შევარდნაძის მიერ წარმოდგენილი **„ახალი კურსის“** ამბავს. მემუარისტი ასე იხსენებს ოპონენტების რეაქციას:

***„რა თქმა უნდა, სამხედრო ელიტას არ „ეპიტნავა“ ჩემი გამოსვლა და მითუმეტეს, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, ამ გამოსვლას რომ მოჰყვა. აქ მხოლოდ ავღანეთიდან და გერმანიიდან ჯარების გამოყვანა არ მაქვს მხედველობაში. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ათწლეულების განმავლობაში უკონტროლოდ შედგენილი და დახარჯული ბიუჯეტის მონოპოლიაზე უარის თქმის მოთხოვნა. ამის გაგონება ცოტას თუ სურდა“*** *(იქვე, გვ. 154).*

**შევარდნაძე** ამ მსჯელობისას თავად აღიარებს საბჭოთა კავშირის დაშლის მთავარ მიზეზს — თვითმავნებლობას:

***„ზემოთ კრასნოიარსკის რადიოლოკაციური სადგურის მაგალითი მოვიყვანე; მასთან ბევრი უსიამოვნება იყო დაკავშირებული*** *(ლაპარაკია დასავლეთის რადიოსადგურების „მტრული ხმების“ ჩახშობაზე, უზარმაზარი თანხები რომ უჯდებოდა საბჭოთა ბიუჯეტს — გ.გ.).* ***ასევე იყო ჩერნობილის ატომური სადგურიც, რომლის აფეთქებასაც ასე გულდაგულ და ბრიყვულად ვმალავდით, ოღონდ გაუგებარია, ვის ვუმალავდით? საბჭოთა ბიუროკრატიისთვის დამახასიათებელი მაამებლური პოლიტიკა, რაც, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან „კეკლუცობაში“ გამოიხატებოდა, ამჯერად ქვეყანას დანგრევით ემუქრებოდა. ყველაფერთან ერთად, ესეც გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის მიზეზი. არ ვითვლიდით პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზარალს, როდესაც აზროვნების ინერციით ვებღაუჭებოდით ძველ დოგმებს და გადაწყვეტილებებს და მათ ბრმად მივყვებოდით“*** *(იქვე, გვ. 154).*

რა თქმა უნდა, ძნელია, შეედავო **შევარდნაძეს** ამ ლოგიკაში — საბჭოთა კავშირი მართლაც არ ითვლიდა თავისი მოქმედებების პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ზიანს: მთავარი — ბოლშევიკური შეუვალობით, რქებით მისწოლოდა მიღებულ გადაწყვეტილებას!

თუმცა, როცა **შევარდნაძე** ჩერნობილის ატომური კატასტროფისას კრემლის დანაშაულებრივ დუმილზე ბჭობს, ასიათასობით ადამიანი რომ დაარადიოაქტიურა, ავიწყდება, რომ თავადაც ეთანხმებოდა პოლიტბიუროს სხდომაზე სიტყვით გამოსულ საბჭოთა ენერგეტიკის მაშინდელ მინისტრს, არაფერი საშიში არაა ეს აფეთქებაო! ამის შესახებ თავად უწერია მემუარებში.

შემდეგ შევარდნაძე იხსენებს თავისი მოხსენებიდან კიდევ ერთ მაგალითს, როგორ უაზროდ იხარჯებოდა საბჭოთა კავშირის სამხედრო ბიუჯეტი:

***„მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1969 წელს შეწყვიტა ქიმიური იარაღის წარმოება, ჩვენ თექვსმეტი წელი მაინც ვაგრძელებდით ამას, ვხარჯავდით უამრავ ფულს, ადამიანურ თუ სხვა რესურსს. ახლა დაგროვილი იარაღის გასანადგურებლად კიდევ ვხარჯავთ ფულს და საამისოდ ობიექტებს ვაშენებთ. წლების განმავლობაში მთელი მსოფლიოს თვალწინ ჯიუტად ვაწარმოებდით იმ იარაღს, რომელიც თავად ბარბაროსულად მიგვაჩნდა და რომელზეც ჩვენმა მთავარმა ოპონენტმა დიდი ხანია, თქვა უარი. რამხელა ზიანი მოგვადგა — პოლიტიკური, ეკონომიკური, მორალური. ეს არის ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვა?!“*** *(იქვე, გვ. 155).*

და კიდევ ერთი მაგალითი საბჭოთა კავშირის უაზრო, თვითმავნებლური პოლიტიკისა:

***„და კიდევ — ჩინეთთან დაპირისპირება: გასარკვევია, გაკეთდა თუ არა ყველაფერი ამ დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად და ისიც გასაანგარიშებელია, ეკონომიკის თვალსაზრისით, რამდენი იზარალა ამ დიდ მეზობელთან კონფრონტაციით ჩვენმა ქვეყანამ“*** *(იქვე, გვ.155).*

ჩინეთთან დაპირისპირება ჯერ კიდევ ხრუშჩოვის დროს დაიწყო, როდესაც 1956 წელს, კომპარტიის მე-20 ყრილობაზე, მან „სტალინის კულტთან“ ბრძოლა გამოაცხადა — ეს ჩინეთში მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებიდან გადახვევად აღიქვეს და მოსკოვთან ურთიერთობებიც გაწყვიტეს!

შემდეგ, ბრეჟნევის დროს, ჩინეთის ვიეტნამზე თავდასხმის გამო, მთელი საბჭოეთი ჩინეთის დამპყრობლობაზე გაჰყვიროდა — **ხელები შორს სოციალისტური ვიეტნამისგანო!**

და ამ მსჯელობისას **შევარდნაძე** უცებ იხსენებს ძალიან სკანდალურ ამბავს:

***„„ახლა უცებ გამახსენდა: როდესაც დენ სიაოპინთან ვიყავი ჩინეთში, 1989 წელს, ვკითხე, რა საჭირო იყო 1968 წელს დამანსკის გარშემო ამდენი ჭიდილი, ამდენი მსხვერპლი-მეთქი*** *(ლაპარაკია, სადავო დამანსკის სასაზღვრო კუნძულის გამო, საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სამხედრო კონფლიქტზე — გ.გ.).* ***მან საოცარი რამ მითხრა: „ეს არ არის ჩვენი საქმე, მას სხვები მიხედავენ; თუმცა, ერთი რამ კი უნდა გითხრათ: ჩვენ დიდი მიწები გვაქვს სადავო, ჩინეთის ისტორიული მიწები. მოვა დრო, ჩინეთი მათ, ალბათ, დაიბრუნებს“. გავშრი, მაგრამ ამ ბრძენკაცმა იცოდა, რასაც ამბობდა.***

***მოგვიანებით, ერთ-ერთ შეხვედრაზე, ამ დიალოგის შესახებ პუტინს ვუამბე. ის ზუსტად მიხვდა ჩემს სათქმელს“*** *(იქვე, გვ. 155).*

ანუ: 1989 წელს დენ სიაპონმა შევარდნაძეს უთხრა — ჩვენ რუსეთის მიერ მიტაცებული დიდი ისტორიული მიწები გვაქვს დასაბრუნებელიო! და 2000-იან წლებში საქართველოს პრეზიდენტმა **შევარდნაძემ** ეს ყველაფერი უკვე რუსეთის პრეზიდენტად ახალარჩეულ **პუტინს** ჩაუკაკლა! არა **ელცინს,** 1992-1999 წლებში რუსეთის პრეზიდენტს, არამედ სწორედ მის შემდეგ გაპრეზიდენტებულ პუტინს!



დენ სიაოპინი ოჯახის წევრებთან ერთად. 1992 წელი

## როგორ გაუმხილა დენ სიაოპინმა შევარდნაძეს, ჩინეთი რუსეთის მიერ მიტაცებულ ისტორიულ მიწებს დაიბრუნებსო!

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**გია დავითიანი**
*მომღერალი*



საბედნიეროდ, **ჯიშად მაქვს, რომ კარგად გამოვიყურებოდე,** თუნდაც ის, რომ ამ ასაკში ჯერ კიდევ შავი თმა მაქვს... ერთხელ კლასელი შემხვდა, რომელიც ძალიან გათეთრებული იყო. **გაუკვირდა, როგორ გაქვს შავი თმა, ხომ არ იღებავო.** მერე მიხვდა, არ უნდა ეთქვა ეს ჩემთვის.

„სარკე“

**ქეთი ნიქლაური**
*მომღერალი*



მე ვიცი, **რომელმა დრამატულმა მოვლენამ რომელი ნაოჭი გამიჩინა სახეზე.** ჩემი სუბიექტური აზრით, **სახე ერთგვარი რუკაა ცხოვრების** და რანაირად უნდა შევიმეცნო თავი და ვიარო ღმერთის გზაზე, **თუ სარკეში ჩავიხედავ და რუკა არ დამხვდება?**

„სარკე“

**თათული დოლიძე**
*მსახიობი*



არ ვიქცეოდი სწორად, რომ **ოჯახში საკუთარ თავზე ბევრს ვიღებდი.** არ ვიცი, რა არის შური და **ძალიან მეშინია შურიანი ადამიანების,** საშიში ხალხია.

„სარკე“

**ნანა ნებიერიძე**
*ყოფილი სპორტსმენი*



იმდენ ხანს დაველოდები **ჩემს მეორე ნახევარს,** რამდენი დრო და წელიც იქნება საჭირო. **დარწმუნებული ვარ, აუცილებლად გამოჩნდება.**

„თბილისელები“

## სვიმონ მასხარაშვილი:

# ვიწყებთ ახალ რუბრიკას – „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო!“



*საქართველო უძველესი ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი ქვეყანაა, რომლის თვითმყოფადი კულტურა და ისტორია კაცობრიობის თავგადასავალთან ერთად იწყება. ქართულ ენასა და ქართულ ხალხურ სიმღერებში, ასევე იმ უმდიდრეს არქეოლოგიურ მასალაში, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, ჩაკირულია იმის უტყუარი მტკიცებულებანი, რომ ჩვენი უშუალო წინაპრები, ანუ პროტოქართველები, უძველესი ხალხების — შუმერების, აქადელების, ხეთებისა და ურარტუელების გარემოცვაში ყალიბდებოდნენ. უძველეს ქართველებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ზემოხსენებულ ხალხებთან, რასაც თუნდაც ის ფაქტი ადასტურებს, რომ უამრავი ქართული, შუმერული, ხეთური და ურარტული სიტყვა იდენტურია! „ასავალ-დასავალი“ პროფესორ სვიმონ მასხარაშვილთან ერთად იწყებს რუბრიკას „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“, რომელშიც უძველესი ქართველების კულტურული ცხოვრების, პოლიტიკური კავშირებისა და სხვა ხალხებთან ურთიერთობის ისტორია იქნება გაცოცხლებული:*

## „ისტორია შუმერიდან კი არა, არუხლოს განძიდან და მტკვარ-არაქსის კულტურიდან იწყება!“








— **ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულიდან ძველი წელთაღრიცხვის 500 წლამდე** მსოფლიო ისტორიის ცენტრი იყო კავკასია, შუამდინარეთი, ირანი, მცირე აზიის ნახევარკუნძული, სირია-პალესტინის ტერიტორია და ეგვიპტე. სწორედ ამ სივრცეს უკავშირდება მტკვარ-არაქსის კულტურა, შუმერი, აქადი, ძველი ეგვიპტე, ელამი, აიეტი, მედეა, ხამურაბის ბაბილონი, თრიალეთის კულტურა, აბრაამი, იაკობი, იოსები და ძმანი მისნი. აქ შეიქმნა ჰიქსოსების, ხეთების სამეფოს, კასიტების, ხური-მითანის, ეხნატონის, ნეფერტიტის, ტუტანხამონის, რამზესების, ქადეშის ზავის, ხალიბების (ხალდების) მიერ რკინის მეტალურგიის განვითარების, „ზღვის ხალხების შემოსევის“, ტროას ომის, მოსეს მიერ ეგვიპტელთა ტყვეობიდან ებრაელების გამოხსნის ისტორია. აქ ბობოქრობდნენ ასურეთი, დიაოხი, კოლხური კულტურა, ურარტუ, კიმერიელები და სკვითები, ფინიკია და მიდია... აქ დაანგრია ნაბუქოდონოსორ მეორემ ებრაელთა სამეფო, აქ გაძლიერდა კრეზის ლიდია და დაიბადა კიროს აქემენიანის სპარსეთი.

**— ქართული ტრადიციის თანახმად, ადამის გაჩენის თარიღად მიჩნეულია ძველი წელთაღრიცხვის 5604 წელი. რამდენად სარწმუნოა ეს თარიღი?**

— ბერძნულ-ბიზანტიური, ებრაული, ბიბლიური, კათოლიკური თუ ყველა სხვა წელთაღრიცხვა, სულ მცირე, 100 წლით გვიან იწყებს კაცთა მოდგმის ცხოვრებას, ვიდრე ქართული, ანუ წელთაღრიცხვებს შორის ქართული ყველაზე ძველია... თუმცა, მაშინ ყველა შეთანხმებული იყო იმაზე, რომ ეს დათარიღება პირობითი გახლდათ. შუმერულმა ტექსტებმა ბიბლიური ტექსტების ნამდვილობა არათუ დაამტკიცა, არამედ ისიც დაადასტურა, რომ ბიბლიაში მთელი რიგი ისტორიები სწორედ შუმერულიდან და, კერძოდ, გილგამეშის ეპოსიდან არის შესული. აი, მაგალითად, თქმულებას ადამისა და ევას შესახებ, წარღვნის შესახებ და ნოეს შესახებ შუმერული ლურსმული წარწერები კარგად იცნობს. შუმერული უთანაფიშთი და აქადური ზიუსუდრა იგივეა, რაც ბიბლიური ნოე, ხოლო შუმერული მინურთა, რომელიც ქართულად „ნეკნს“ ნიშნავს, ბიბლიური ევას უძველესი პროტოტიპია. მინურთა შუმერულში სიცოცხლის წყაროა... ანუ სიუჟეტები ბიბლიაში ზუსტად მეორდება.

**— ცნობილია, რომ ბიბლიის უძველესი ხელნაწერი ტექსტები ძველი წელთაღრიცხვის მე-9 საუკუნით თარიღდება. თქვენ მიერ ხსენებული შუმერული ტექსტები რომელი საუკუნისაა?**

— მოკლედ გეტყვით, ბიბლიური სიუჟეტები შუმერულ ტექსტებში, სულ მცირე, ათასი წლით ადრე მაინც გვხვდება! მოსე ცხოვრობდა ძველი წელთაღრიცხვის მე-13 საუკუნის დასასრულს და მე-12 საუკუნის დასაწყისში. ვიდრე ებრაელები ეგვიპტელების ტყვეობაში იმყოფებოდნენ, არავითარ ბიბლიურ ტექსტებზე საუბარი არ შეიძლება იყოს... უფრო სავარაუდოა, რომ ბიბლიის უძველესი ტექსტები ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეზე ძველი არ უნდა იყოს. სხვათაშორის, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი კულაშის ბიბლიაა... მოგეხსენებათ, კულაში სოფელია სამტრედიის რაიონში.

**— მაინც რამდენად ახლოა რეალობასთან ქართული წელთაღრიცხვა?**

— საქმეც ეგ არის, რომ ქართული წელთაღრიცხვა თითქმის ზუსტად ასახავს იმ პროცესს, რაც ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის რეგიონში მოხდა. ამერიკელმა მეცნიერებმა უკვე დაამტკიცეს, რომ ძველი წელთაღრიცხვის 10 ათასი წლიდან ძველი წელთაღრიცხვის 5 ათას წლამდე შუალედში ნამდვილად მოხდა წარღვნა და შავი ზღვა, რომელიც იყო ტბა, გადაიქცა ზღვად. ზოგიერთი კვლევით, ეს პროცესი 300 დღე გაიჭიმა, ზოგი მონაცემებით კი, ამ ყველაფრის ფორმირებას 80 დღე დასჭირდა. **დნმ**-ს კვლევა ადასტურებს, რომ ადამიანის ასაკი 80 ათას წელზე მეტი არ არის, ანუ 80 ათას წელზე უფრო ადრე დღევანდელი ადამიანი არანაირად არ იარსებებდა. ნახშირბადით, ანუ „ცე-14-ის“ მეთოდით დათარიღება 60 ათას წელზე უფრო შორს ვეღარ ჭრის, მაგრამ **დნმ**-მ ეს საკითხი მოაგვარა და თანამედროვე ადამიანის ასაკიც 80 ათასი წლით განსაზღვრა. გარდა ამისა, მრავლისმთქმელია ესპანეთისა და საფრანგეთის მღვიმეებში არსებული უძველესი ნახატები, რომლებიც 40 ათას წელზე უფრო ძველი არანაირად არ არის, ხოლო მეგალითები, ანუ ქვაზე შესრულებული ნახატები, მაქსიმუმ, 15 ათასი წლისაა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადამიანის კულტურული ცხოვრება შეიძლება ავთვალოთ ძველი წელთაღრიცხვის 40 ათასი წლიდან, მაგრამ კულტურულ ცხოვრებას ადამიანი ვერ დაიწყებდა, სანამ ის ბინადარ ცხოვრებას არ შეუდგებოდა. ბინადარი ცხოვრების, კერძოდ, მევენახეობის, პურის მოყვანის, ღორის, ცხვრისა და ძროხის მოშინაურების უძველესი კვალი კი დაფიქსირებულია დღევანდელი თურქეთის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში, სადაც უძველესი დროიდან სწორედ ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ.

**— მაინც ვინ იყვნენ უძველესი ქართველები და ვის ვენათესავებოდით?**

— გენეტიკოსები ამტკიცებენ, რომ ქართველები „აბრაამის დნმ“-ს მატარებელი ხალხი ვართ! ჩვენი დნმ-ა „J-1“ და „J-2“! „J-2“ — ხევსურების, თუშების, ფშავლების, მთიულების, ჩეჩნების, ინგუშების 95 პროცენტზე მეტს აქვს! „J-2“ დნმ დასავლეთ საქართველოშიც გვხვდება. საერთო ჯამში, ქართველების 40 პროცენტზე მეტს სწორედ ეს დნმ აქვს... ამ დნმ-ს ატარებს ებრაელთა ის სეგმენტიც, რომელიც მოსეს ძმის, აარონის უშუალო შთამომავლად ითვლება. ამ **დნმ**-ს კვალი დღეს ყველაზე მეტად იკითხება ისტორიული შუმერის ტერიტორიაზე, ანუ ერაყის უკიდურეს სამხრეთით, სადაც ე.წ. „ჭაობის არაბები“ ცხოვრობენ. ამ ხალხის 83 პროცენტს სწორედ „J-2“ **დნმ** აქვს. აღნიშნული დნმ პალესტინელების 90 პროცენტს და უძველესი ფინიკიის ტერიტორიაზე მცხოვრებთაც უფიქსირდებათ.

**— ანუ რა გამოდის?**

— ამით ის გამოდის, რომ საქართველო არის უძველესი ცივილიზაციის ქვეყანა, რაც გენეტიკის დონეზე გახლავთ დამტკიცებული! ბიბლიაში შავით თეთრზე წერია, რომ სამოთხის ბაღი იყო ოთხი მდინარის სათავეს შორის. ეს მდინარეებია: ტიგროსი, ევფრატი, ფაისონი და კიდევ მეოთხე მდინარე, რომ-

## კვირგვინოსნები



**მიხეილ სარჯველაძე**
*ჯანდაცვის მინისტრი*

ოპოზიციას აქვს **ეროვნული არასრულფასოვნების კომპლექსი.**

„ინტერპრესნიუსი“



**ნინო წილოსანი**
*პარლამენტარი*

**თინა ბოკუჩავა** რომ **მარიამ ლაშხს** ფიზიკურად შეეხება, ეს სუფთად **„ნაცური“ საქციელია!**

„ინტერპრესნიუსი“



**ფრიდონ ინჯია**
*პარლამენტარი*

გერბზე აწერია **„ძალა ერთობაშია“**. ხომ არ მოვიდა დრო, გერბზე დავაწეროთ **„მამული, ენა, სარწმუნოება“?**

„ინტერპრესნიუსი“



**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*

„ოცნება“ ეცდება, **მოლაპარაკებებში მოაქციოს პროცესი** და ამით მოგუდოს.

„ახალი თაობა“



**ირაკლი მელაშვილი**
*ანალიტიკოსი*

საზოგადოებას **არ მოსწონს ეს ხელისუფლება,** მაგრამ **ეს არ ნიშნავს, რომ ოპოზიცია მოსწონს.**

„კვირის პალიტრა“



**გიორგი ჩაქვეტაძე**
*პარლამენტარი*

ნაციონალური მოძრაობა და **მიხეილ სააკაშვილი** ამ ქვეყანაში **არეულობას ვერასდროს მოაწყობენ.**

„იმედინიუსი“

**რუბრიკის პრემიერა**

ლის სახელიც გაშიფრული არ არის, მაგრამ, სავარაუდოდ, არაქსი ან მტკვარი უნდა იყოს... მიგვაჩნია, რომ ბიბლიაში მოხსენიებული ფაისონი ფაზისია, მაგრამ არა — რიონი. დიდი ბიზანტიელი ისტორიკოსი **პროკოფი კესარიელი** პირდაპირ წერს — რიონი გამოდის რაჭის მთებიდან, ხოლო ფაზისი გამოდის ჭანეთის ტერიტორიის სათავეებიდანო!

**— მაშინ ეს ჭოროხია, იგივე აფსაროსი!**

— დიახ, ბიბლიაში მოხსენიებული **ფაისონი,** ანუ იგივე **ფაზისი,** სინამდვილეში არის არა რიონი, არამედ ჭოროხი. ასე რომ, ჭოროხი-აფსაროსისა და ფაზისი-რიონის ლოკალიზაციის საკითხი ჯერ კიდევ სადავოა... მოკლედ, იმ ადგილს, სადაც ეს ოთხი მდინარე იღებს სათავეს, ეწოდება „ურარტუს ველი“, ხოლო **სტრაბონი** პირდაპირ წერს, რომ ეს არის „დიად მესხთა ტერიტორია“, რომელიც კოლხებს, იბერებს და არმენებს უჭირავთ, ანუ საუბარია კაბადოკიის აღმოსავლეთ ტერიტორიაზე, ზუსტად იმ მიწაზე, სადაც გაჩერდა ნოეს კიდობანი. სხვათაშორის, მე-17 საუკუნის იტალიელი მოგზაური **არქანჯელო ლამბერტი** პირდაპირ წერს, რომ პირველი პური და ღვინო სწორედ მესხების მიწაზე იქნა მოყვანილი და დაწურული! ეს ცოდნა და ხსოვნა დღევანდელი ისტორიკოსების მოგონილი არ არის და შუა საუკუნეების ევროპაში ძალიან კარგად იცოდნენ, რომ კაბადოკია იყო ჩვენი აკვანი, ჩვენი ტერიტორია! სწორედ ამ ტერიტორიაზე ფიგურირებს დნმ „J-1“, რომელიც ფიქსირდება **აფხაზებში, იმერლებში, გურულებში, მეგრელებში, რაჭველებსა და სვანებში.** სწორედ ეს **დნმ** გახლავთ მცირე აზიის ტერიტორიაზე წამყვანი. ყველაზე ძველი ქვევრი თავისი ღვინის ნაშთით სწორედ საქართველოში, უშუალოდ ჩვენი ქვეყნის დღევანდელ საზღვრებშია აღმოჩენილი. ადრინდელი ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურაში, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე-მესამე ათასწლეულით თარიღდება, ვპოულობთ 7 ათასზე მეტი წლის ქვევრს ღვინის ნაშთით... ამიტომაც უწოდებენ საქართველოს „ღვინის სამშობლოს“!

**— თუმცა, ვთქვათ ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქართველები კავკასიაში მოსულები ვართ!**

— 7 ათასი წლის წინანდელი ქვევრისა და ღვინის ნაშთის საქართველოში აღმოჩენამ დაამტკიცა ის ფაქტი, რომ სადღაც 10 ათასი წლის წინათ, ჩვენ კი არ წამოვედით შუმერიდან წინა აზიაში, არამედ შუმერები წავიდნენ აქედან. ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ უძველეს შუმერულ ტექსტებში პირდაპირ წერია — ჩვენ მთიანი ქვეყნიდან მოვედითო! შუმერულ ენაზე სამყაროს ეძახიან **„ბორბორას“,** რაც მთიან ქვეყანას ნიშნავს... შუმერულად **„ბორა“** ნიშნავს მთას. მგონი, აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია... მოკლედ, შუმერები, როგორც თავად ამბობენ, მთიანი ქვეყნიდან, ანუ ტიგროსის, ევფრატისა და ჭოროხის სათავეებიდან არიან ჩასული მესოპოტამიაში, კერძოდ, დღევანდელი ერაყის უკიდურეს სამხრეთში. ყურადღება მიაქციეთ იმასაც, რომ შუმერული კულტურის თანადროული და ხშირად უფრო ძველიც კია სპილენძისა და ადრინდელი ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურა, რომელიც მთელ მცირე აზიასა და კავკასიას მოიცავდა, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა ერთი რამ... კერძოდ, ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე ათასწლეულით თარიღდება ისევ და ისევ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი **„არუხლოს განძი“** — სპილენძ-ქვის ხანის კულტურა, რომელიც მტკვარ-არაქსისა და შუმერული კულტურის აშკარა წინაპარია. მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელ ხალხს — **პროტოქართველებს** უსათუოდ ჰქონდათ სახელმწიფო, სხვანაირად ეს უზარმაზარი კულტურა ვერ შეიქმნებოდა. ასე რომ, თუ ცნობილი მეცნიერი **სამუელ კრამერი** აცხადებს, რომ „ისტორია იწყება შუმერიდან!“ — უკაცრავად, მაგრამ ისტორია შუმერიდან კი არა, არუხლოს განძიდან და მტკვარ-არაქსის კულტურიდან იწყება!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



**„მე-17 საუკუნის იტალიელი მოგზაური არქანჯელო ლამბერტი პირდაპირ წერს, რომ პირველი პური და ღვინო სწორედ მესხების მიწაზე იქნა მოყვანილი და დაწურული!“**

# „ქართველები „აბრაამის დნმ“-ს მატარებელი ხალხი ვართ! ჩვენი დნმ-ა J-1 და J-2“



**თარაზულად:** 1. რაიმე მოვლენათა თანამიმდევრული მონაცვლეობა, რისამე განვითარების გზა; 7. საფრანგეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, პოლიციის მინისტრი ბურბონების, რესპუბლიკის და ნაპოლეონ ბონაპარტის დროს; 8. ასაკით ყველაზე უფროსი; 9. ნაკლი, დეფექტი; 14. არაპირდაპირი ხერხებით, იგავურად გამოხატვა აზრისა მხატვრულ ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში; 16. მომკილი თავთავის კონა; 17. იტალიელი ფერმწერი, ევროპულ ფერწერაში რეალისტური მიმართულების ფუძემდებელი XVII საუკუნეში; 23. საქონლის მოსათავსებელი ჭურჭელი ან შესაფუთავი მასალა; 24. ქორ-შავარდენთა სანადიროდ დამგეშველი; 25. ვულკანური წარმოშობის ან დანალექი ფოროვანი ქანი, იყენებენ საშენ მასალად; 26. ქართველი მწერლის კონდრატე თათარაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 27. მაზლის ცოლი, რძალი; 32. დედათა მონასტრის წინამძღვარი; 34. სიგრძის ძველებური ფრანგული საზომი ერთეული; 35. პურის ცომისაგან დამზადებული საკვები პროდუქტი — გრძელი გამხმარი მილაკები; 36. მომცრო ფრინველი ერთგვარი, ყორნისებრთა ოჯახისა; 41. ისტორიული ოლქი მდინარეებს — დნესტრსა და პრუტს შორის, ამჟამად მოლდოვის ტერიტორიის ნაწილი; 43. ავიაკონსტრუქტორ ა. ტუპოლევის ხელმძღვანელობით 1940-70 წლებში გამოშვებული თვითმფრინავების საერთო სახელწოდება; 44. კოსმონავტის სპეციალური კოსტიუმი, რომელსაც აქვს ჩაფხუტი და სასუნთქი აპარატი; 45. XIX საუკუნის ამერიკელი მწერალი და კრიტიკოსი.

**შვეულად:** 2. მუქი ნაცრისფერი, ლეგა; 3. ცოცხლადშობი სისხლისმწოველი ბუზი, გავრცელებულია აფრიკაში, საღათას ძილის და სხვა დაავადებების ბაქტერიების გადამტანია; 4. იმედი; 5. იგივეა, რაც ღვინო; 6. პერიოდული სხდომა, რომელსაც ატარებენ წარმომადგენლობითი ორგანოები; 10. გადასახადი, რომელსაც გამარჯვებული ახდევინებდა დამარცხებული ქვეყნის ხალხს; 11. ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული; 12. დაბალი ბუჩქი, ისხამს შავ, მოტკბო ნაყოფს, რომელსაც საჭმელად ხმარობენ; 13. დარბაისელი, მშვიდი, წყნარი, აუჩქარებელი; 15. სოფელი ყაზბეგის რაიონში; 18. აფხაზი პოეტი და მთარგმნელი; 19. ქვეყანა აფრიკაში; 20. უ. შექსპირის „ოტელოს“ პერსონაჟი; 21. მდინარე იტალიაში; 22. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი; 28. ოქროს ან ვერცხლის ძაფი, ოქრომკედი; 29. ქალაქი ფინეთში; 30. ბრიყვი, გაუზრდელი, უხეში; 31. ინდუიზმის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება — მზის ღმერთი; 33. ავსტრიელი პოეტი; 37. მონეტის წინა მხარე, ავერსი (საუბ.); 38. სარგებლობა, გამორჩენა, ხეირი; 39. ამბის მომტანი, რისამე მაუწყებელი, შიკრიკი; 40. სხვადასხვა საქონლის დაწესებული ფასები, სხვადასხვა გადასახადის ნორმები, ტარიფი; 42. მარადმწვანე მცოცავი ბუჩქი, მეტწილად ბინადრობს ხეებზე, კედლებსა და კლდეებზე, რომლებსაც ემაგრება ღეროებიდან განვითარებული ფესვებით.

**ამავე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 1. პროცესი; 7. ფუშე; 8. უხუცესი; 9. წუნი; 14. ალეგორია; 16. ძნა; 17. კარავაჯო; 23. ტარა; 24. ბაზიერი; 25. ტუფი; 26. უიარაღო; 27. შილი; 32. იღუმენია; 34. ლიე; 35. მაკარონი; 36. ჭკა; 41. ბესარაბია; 43. ტუ; 44. სკაფანდრი; 45. პო.
**შვეულად:** 2. რუხი; 3. ცეცე; 4. სასო; 5. ნუნუა; 6. სესია; 10. ხარკი; 11. პეტრე; 12. მოცვი; 13. დინჯი; 15. სნო; 18. ლასურია; 19. ნამიბია; 20. კასიო; 21. ტიბრი; 22. პრაღა; 28. სირმა; 29. ტურკუ; 30. ხეპრე; 31. ვიშნუ; 33. რილკე; 37. „რეშკა“; 38. სარფა; 39. მაცნე; 40. ნიხრი; 42. სურო.

## კვირგვინოსნები

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



ნაცმოძრაობას ორ რამეს ვურჩევდი: **პირველი — მიშამ გააკეთოს განცხადება, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ დატოვებს ქვეყანას და არ ჩაერევა პოლიტიკურ პროცესში**, რათა „ოცნებას“ წაერთვას „მიშა მოდის“ სპეკულაციის საფუძველი. **მეორე — ნაციონალურმა მოძრაობამ უნდა გამოაცხადოს, რომ მათ კოალიციური მთავრობის ფორმირების შემთხვევაში არ ექნებათ პრეტენზია ძალოვან სტრუქტურებზე.**

„კვირის პალიტრა“

**ანა ბუჩუკური**
*„გახარია საქართველოსთვის“ წევრი, პარლამენტარი*



**ხელისუფლება ჩვენს წყობიდან გამოყვანას ცდილობს** — მათ ჭკუით უნდა ვაჯობოთ, ჩვენი თავი, ემოციები ხელში ავიყვანოთ, რომ **ეს ქვეყანა მშვიდად მივიყვანოთ არჩევნებამდე** იმიტომ, რომ არჩევნებზე რეჟიმი დამარცხებული იქნება.

„ინტერპრესნიუსი“

**გიორგი აბდალაძე**
*ფოტოგრაფი*



ჩემდა სამწუხაროდ, **პრეზიდენტი ნაციონალურ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში.**

„TV იმედი“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



ჩვენზე მეტი ევროპელები ვერ იქნებით — **ყოველთვის იდექით ღალატის, ულმერთოების, ფარისევლობის, სიძულვილის, აგრესიის, კასრების და უჩა აბაშიძის მორალის მხარეს.**

„აიპრესი“

**ლევან ქახაძე**
*პარლამენტარი*



მე ახლა **სანქციებს მხოლოდ ღმერთი თუ დამადებს!**

„რეზონანსი“

პასუხები იხილეთ ამავე გვერდზე



გეიზერების ქვეყანა

ჩრდილო-ამერი-კული დათვი

ბევრ ცხიმში შებრაწული კარტოფილი

გულიც არის ასეთი და იარაღიც

ჰანგი, რომელსაც დილას ასრულე-ბდნენ

სიურეალი-ზმის უდიდესი წარმომად-გენელი

მიწო-დებიდან მომდევნო ქულა ჩოგბურთში

პატარა სამგზავრო წყლის ჭურჭელი

ვინ გაქცევთა გორდიას კვანძი?

ცოტა ხნის წინ პოპულა-რული ჰიტი

არჩე-ვანის საპასუხო

ქეთოს მამა

ძილის-მომგ-ვრელი წამალი

„... წლის შემდეგ“

გიგანტური ხე, იხსამს კიტრის მსგავს ნაყოფს

რა გადის გრი-ნვიჩზე ნულოვანი?

ცირკის მოედანი

მუქის საპირი-სპირო

ათი მცნება

ფულის ალტე-რნატივა

ბიბლი-ური პერსო-ნაჟი

ფეხბუ-რთელი, რომელიც თავდასხმაში თამაშობს

სოცია-ლისტ-რევოლუ-ციონერი

გაიმე-ორე!

გასა-ტეხი ორგანო

მოგრძო გორა

ძვირფასი და იშვიათი მარგალიტის ეპითეტი

რა ემართება დღეს 22 ივნისის შემდეგ?

პოლონეთში — ოდრა, გერმა-ნიაში — ...

.... ჰიუ-სტონი

ფენა

მუსიკა-ლური ბგერა

საკოლე-ქციო მარკების ჩასაწყობი ალბომი

ნაცია

„როგორც ნაწვიმარ სილაში ...“

ამის შემდეგ

სპორტულ შეჯი-ბრებაში დაწინა-ურებული

„მდო-გვის გაზი“

ვირა!

პატარა რონალდი

კაცი-მთვარე

ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო ყურე

პორ-თოსის ტიტული

დანის კარგად მსრო-ლელი

ავადმყო-ფური მისწრა-ფება

დასტური

იტალი-ური თანხმობა

მოთმი-ნების ჭურჭელი

პირისახე წინიდან

„... შეკაზმავს ცხენს?“

ინდო-ნეზიის კუნძული

... ბოლ-დუინი



| 1 | | 2 | | 3 | | 4 | | 5 | | 6 | | 7 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

თარაზულად: 1. საცალფეხო გზა; 8. წერილობითი შეთანხმება, ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მისი დამდები მხარეების ვალდებულებებს; 9. ქალის სამკაული — ერთი ან რამდენიმე ძვირფასი თვალი, ძეწკვით ყელზე სატარებელი, 10. მანქანით ნაქსოვი საფეიქრო ნაწარმი; 14. მუსლიმანთა სასულიერო სასწავლებელი; 19. მიწის ფართობის ძველებური საზომი ერთეული რუსეთში; 20. სილა; 21. რაიმე რიცხვის ერთი მესედი ნაწილი; 26. აზრის იგავურად გამოხატვა; 30. ნიკარაგუის დედაქალაქი; 31. უგემოვნოდ დადგმული წარმოდგენა, უხამსი სანახაობა; 32. მუსიკა, ჰანგი.

შვეულად: 1. დიდი ძველებური საყვირი; 2. წითელი ფერის ძვირფასი ქვა; 3. გერმანელი ფეხბურთელი, „ბაიერნის“ მეკარე; 4. ერთწლოვანი ბაღჩეული კულტურა; 5. ცხენოსნის წკეპლა; 6. მალაყი; 7. შრომითი საქმიანობის ხანგრძლივობა; 11. ქორფა, ნორჩი; 12. ალკოჰოლიანი სასმელი; 13. ფრანგული საფეხბურთო კლუბი; 15. ზოლებიანი ცხენი; 16. რხევათა სიხშირის საზომი ერთეული; 17. ხვიარა მცენარე; 18. ექსპრომტად თქმული ლექსი; 22. ბრაზილიური ცეკვა; 23. გველის შხამი; 24. მდინარე რუსეთში; 25. საზღვარი, ზღვარი; 27. ერთ-ერთი მახარებელი; 28. სასროლი ყულფი, ქამანდი; 29. ნაკლი, ზადი.

კროსვორდის პასუხები იხილეთ ამავე გვერდზე



ამავე გვერდზე გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:







ამავე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ბილიკი; 8. კონტრაქტი; 9. კულონი; 10. ტრიკოტაჟი; 14. მედრესე; 19. დესეტინა; 20. ალიყური; 21. პროცენტი; 26. ალეგორია; 30. მანაგუა; 31. ბალაგანი; 32. მელოდია.

შვეულად: 1. ბუკი; 2. ლალი; 3. კანი; 4. გოგრა; 5. სტეკი; 6. სალტო; 7. სტაჟი; 11. ნედლი; 12. არაყი; 13. „ოსერი“; 15. ზებრა; 16. ჰერცი; 17. ლიანა; 18. კაფია; 22. სამბა; 23. გესლი; 24. ვოლგა; 25. მიჯნა; 27. მათე; 28. ლასო; 29. წუნი.

# ცუდი განწყობა ანალიზებზეც აისახება!

## რისი გაკეთება არ ღირს უგუნებობის დროს და როგორ გამოვიკეთოთ განწყობა



***გუნება მილიონობით მიზეზის გამო შეიძლება გაგვიფუჭდეს. უფროსმა ხმას აუწია, მანქანამ ტალახი შეგვაწუწა, ახლობლებთან წავკინკლავდით... უბრალოდ, ძილის წინ ზომაზე მეტად დავნაყრდით — გავიღვიძეთ და ცხვირპირი ჩამოგვტირის. და ეს ყველაფერი ნორმალურია! ფსიქიატრთა აზრით, ადამიანის ცხოვრებაში განცდილი ემოციების 45 პროცენტი უარყოფითია, 35 პროცენტი — ნეიტრალური და, სულ რაღაც, 20 პროცენტი — დადებითი. გამოდის, რომ ორჯერ უფრო ხშირად ვსევდიანობთ, ვიდრე ვმხიარულობთ.***

● ყოველ ჩვენს ემოციას ორგანიზმში გარკვეული ქიმიური რეაქციები უზრუნველყოფს. მაგალითად, როცა ცუდ გუნებაზე ვართ, ჩვენი ენდოკრინული ჯირკვლები ნაკლებ სეროტონინს და ენდომორფინებს („ბედნიერების ჰორმონებს“) გამოიმუშავებენ, სამაგიეროდ, უფრო მეტი აცეტილქოლინი და ადრენალინი („სტრესის ჰორმონები“) გამოიყოფა. აცეტილქოლინის დარტყმითი დოზა ხალისს გვიკარგავს, ყურადღებას გვიფანტავს, ადრენალინი კი აგრესიას და წნევას ზრდის.

● **მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ჩვენი ტვინი ნეგატიურ ინფორმაციებს გაცილებით მეტ ხანს ინარჩუნებს და გულმოდგინედ აღადგენს. ამას გარდა, უგუნებობამ შეიძლება ანალიზებიც კი შეცვალოს.**

**მაშ ასე, ცუდ გუნებაზე ყოფნისას არ ღირს:**

**სისხლის ანალიზის გაკეთება.** ზოგიერთი მაჩვენებელი შეიძლება არაობიექტური აღმოჩნდეს. მაგალითად, ჰემოგლობინი მოიმატებს, თუ გაღიზიანებული ხართ, და დაიწევს, თუ უხალისობას გრძნობთ.

**გასტროსკოპიის გაკეთება.** გაღიზიანების დროს კუჭის წვენის გამოყოფა და მჟავიანობა მკვეთრად იმატებს.

**პლასტიკური ოპერაციის გაკეთება,** განსაკუთრებით სახეზე: შედეგი უარესი იქნება და ნაიარევებიც გვიან შეხორცდება.

**კოსმეტიკური პროცედურების ჩატარება** (პილინგი, შეხვევა და ა. შ.). ასეთ მდგომარეობაში კანი დაჭიმული და ნაკლებად მგრძნობიარეა, ეფექტი ნაკლები იქნება.

სერიოზული რაიმეს შეძენა. ის უარყოფითი ასოციაციების ნაკადს გამოიწვევს, დასაშვებია მხოლოდ მსუბუქი შოპინგი დარდის გასაქარვებლად.

**სიყვარულის ახსნა და ხელის თხოვნა** (მოითმინეთ, სანამ აზრზე მოხვალთ, თორემ თქვენი ტვინი ამ მოვლენას „შავ საქაღალდეში“ შეიტანს).

**სარკეში „მჟავე“ გამომეტყველებით ჩახედვა.** ფსიქოთერაპიული თვალსაზრისით, სარკე უკუკავშირის ეკრანია. თუ მასში სევდიანი ან ავი თვალით ჩავიხედავთ, ამ ნეგატიურ გზავნილს ორმაგად დაგვიბრუნებს. ჯერ უნდა დავსერიოზულდეთ, მერე საკუთარ თავს გავუღიმოთ, შუბლზე და ტუჩის კუთხეებში ნაოჭები სწორდება, თვალები გვიბრწყინავს. სარკეც ორმაგ დადებით იმპულსს გამოგვიგზავნის.

● არსებობს კიდევ რამდენიმე ფსიქოლოგიური ილეთი. ბევრ ადამიანს „ბედნიერი წვრილმანების“ თან ტარება ეხმარება, რომლებიც რაღაც კარგსა და თბილს უკავშირდება: სათამაშო, ჯვარი, ბრელოკი, ავგაროზი და ა. შ.

ამავე პრინციპით მუშაობს „ბედნიერი ნივთებიც“ — თქვენს გარდერობში რაიმე ტანსაცმელი წარმატების მომტანად მოინიშნეთ და გწამდეთ ეს. თვითშთაგონებაა? იყოს. სხვათაშორის, ქვეცნობიერის დონეზე ის ნებისმიერ გარედან გზავნილზე ბევრად უფრო ძლიერად მუშაობს.

## P.S.



**უხასიათობა გრიპზე უფრო გადამდებია. ფსიქოლოგებმა გამოითვალეს, რომ ხალხმრავალ კოლექტივში თანამშრომელი, რომელიც სამსახურში ცხვირჩამოშვებული მივა, 20 წუთში ყველას გაუფუჭებს გუნებას. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ აქ საქმე იმდენად თანაგრძნობაში არ არის, რამდენადაც განსაკუთრებული სიხშირის ბიოტალღებში, რომლებსაც უგუნებო ადამიანი გამოყოფს.**

# წნევის გაკონტროლების 10 საშუალება



***მაღალი წნევა დედამიწის ყოველ მესამე მცხოვრებს აწუხებს. ვერაგ ჰიპერტონიას შეიძლება წლობით „ეძინოს“, მერე კი მომენტალურად გამოავლინოს თავი სიბრმავით, გულის, თირკმლების უკმარისობით ან ინსულტით.***

**1.** მაღალი წნევის სიმპტომები: თავის ტკივილი თხემის მიდამოში, უღონობა, დაღლილობა, მხედველობის გაუარესება. კიდევ ერთი შემაშფოთებელი სიგნალი — ტკივილი გულის არეში, რომელიც 500 მეტრზე მეტ მანძილზე ჩვეულებრივი სიარულის ან კიბეზე ასვლის დროს წარმოიშობა.

**2. თუ თქვენი რომელიმე სისხლით ნათესავი 55 წლამდე დაავადდა მაღალი წნევით, ფხიზლად იყავით — ჰიპერტონია მემკვიდრეობით გადადის. ცუდი არ იქნება, თუ წნევის აპარატს შეიძენთ და ჰიპერტონიის ნიშნების შემჩნევისთანავე გამოიყენებთ.**

**3.** დაავადების კიდევ ერთი მიზეზი — ჭარბი წონა. ყოველი ზედმეტი 4 კილოგრამი არტერიული წნევის დონეს ვერცხლისწყლის სვეტის 4,4 მმ-ით მაღლა სწევს. თუ გაინტერესებთ, წონის დაკლება ხომ არ გჭირდებათ, თქვენი სხეულის მასის ინდექსი გამოიანგარიშეთ: სხეულის წონა (კილოგრამებში) სიმაღლის (მეტრებში) კვადრატზე გაყავით. თუ შედეგად 20-25 მიიღეთ, წონა ნორმაშია, თუ უფრო მეტი — კარდიოლოგს მიაშურეთ. ექიმი დიეტას შეგირჩევთ და მკურნალობას დაგინიშნავთ.

**4. უარი თქვით მოწევასა და სპირტიან სასმელებზე.**

**5.** ნუ მოიშლით ნერვებს წვრილმანების გამო. სტრესისგან წნევა ერთბაშად იმატებს.

**6. გაუნძრევლად ნუ ზიხართ. ვინც ცოტას მოძრაობს, ის უფრო ხშირად ავადმყოფობს. საჭიროა დღეში არანაკლებ 5 კმ-ის გავლა თქვენთვის მოსახერხებელ ტემპში. გამოჯანმრთელების კიდევ ერთი სასიამოვნო და სასარგებლო საშუალებაა ცურვა. ამ დროს ყველა კუნთი ერთნაირად იტვირთება. იდეალური იქნება, თუ კვირაში ხუთჯერ 30-წუთიან ან კვირაში სამჯერ ერთსაათიან ფიზკულტურის სეანსებს მოიწყობთ.**

**7.** გაიკეთეთ სისხლის ანალიზი შაქრის შემცველობაზე. ჰიპერტონიის მიზეზი შეიძლება გლუკოზაც გახდეს. შეეჩვიეთ უშაქრო ჩაის, მოუკლეთ ნამცხვარს და სხვა ტკბილეულს.

**8. ჯობს, უმარილო კერძები მიირთვათ, ვიდრე მეტისმეტად მარილიანი. ჯანმრთელობისთვის უხიფათო ნორმაა დღეში ხუთი გრამი, ანუ დაახლოებით ერთი ჩაის კოვზი მარილი.**

**9.** ქოლესტერინის ზედმეტი შემცველობის თავიდან ასაცილებლად (ის სისხლძარღვების კედლებზე ილექება და ავიწროებს მათ) უპირატესობა უცხიმო საკვებს მიანიჭეთ.

**10. თუ თქვენი წნევა ხანდახან 140/90-ზე მეტია, კარდიოლოგთან ვიზიტი არ გადადოთ.**

# გამოკვებეთ ტვინი

***გამოცდები სკოლაში, სესია, სასწრაფო სამუშაო... ყველაფერი ეს მოითხოვს ჩვენგან ზღვა ინფორმაციის დამახსოვრებას.***

იმისათვის, რომ ჩვენმა ტვინმა შეუფერხებლად იმუშაოს, იგი სათანადოდ უნდა ვკვებოთ. პირველ რიგში, უპირატესობა ნახშირწყლებს უნდა მივანიჭოთ. საქმე იმაშია, რომ **ტვინის უჯრედების საუკეთესო მკვებავი გლუკოზაა,** რომლის ძირითად მომწოდებელს სწორედ ეს ნივთიერებები წარმოადგენს, ამიტომ საპასუხისმგებლო მომენტში ხელთ უნდა გვქონდეს რომელიმე **ჩირი,** რომელიც შაქარზე და სხვა ტკბილეულზე მეტ გლუკოზას შეიცავს და ყველაზე სწრაფად აწვდის მას ტვინს. ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს რთული ნახშირწყლები, რომლებიც ბევრია **ფაფებში, პურში, მაკარონში, სიმინდში, ბოსტნეულში, პარკოსნებში.** ისინი კუჭში ნელა გადამუშავდება და მუდმივად აწვდის საკვებს ტვინს. **გლუკოზის და ნახშირწყლების** გარდა აუცილებელია **ცილები და ცხიმები** (განსაკუთრებით თევზის), აგრეთვე **მიკროელემენტები და ვიტამინები.** ამიტომ საკვები უნდა იყოს მრავალფეროვანი, ხოლო კარგი სამუშაო ფორმის შესანარჩუნებლად დღეში **1,5 ლიტრი სითხეც უნდა მივიღოთ,** სასურველია ახალგამოწურული წვენების სახით. ისინი შესანიშნავად კლავენ წყურვილს, კვებავენ ტვინის უჯრედებს და შეიცავენ ვიტამინებსა და მიკროელემენტებს.



### ფორთოხალი

გარდა იმისა, რომ იგი ასკორბინის მჟავის ნამდვილი საწყობია, მდიდარია მიკროელემენტებით, რომელიც ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრირებას.

### ოსპი

**რთულ ნახშირწყლებთან ერთად შეიცავს ამინომჟავებს, რომელიც სავალდებულოა აზროვნებითი პროცესის დასაჩქარებლად.**

### თევზი

შეიცავს ქოლინს და ლეციტინს. ისინი მონაწილეობენ იმ ნივთიერების წარმოქმნაში, რომელიც სავალდებულოა ხანგრძლივი დაძაბული მუშაობისას.

### ნიორი

მდიდარია ტვინის უჯრედების გამააქტიურებელი ნივთიერებით. აუმჯობესებს მახსოვრობას და აფერხებს თავის ტვინის ასაკობრივ ცვლილებებს.

### კეფირი

ან იოგურტი აწესრიგებს ტვინის მუშაობას და უჯრედების აღდგენის პროცესს. ისინი ყველაზე მეტ B ჯგუფის ვიტამინებს შეიცავენ.

### ბრიუსელის კომბოსტო

P ვიტამინის წყალობით აძლიერებს ყურადღების კონცენტრირების უნარს და ააქტიურებს ტვინს.



## მიხეილ ცაგარელი:

# მთვარის ზემოქმედება ჯანმრთელობაზე

***გაზაფხულის მოსვლა, როგორც ყოველთვის, აცოცხლებს ბუნებას, ალამაზებს გარემოს, ზრდის შინაგან ოპტიმიზმს, მაგრამ სწორედ ამ დროს ადამიანებში საკმაოდ დაბალია იმუნიტეტი, იზრდება ვირუსების, ქრონიკული დაავადებების გამწვავების, სხვადასხვა რეციდივების ალბათობაც. როდესაც მთვარე ვერძშია რომელი ორგანოებია დაუცველი? რისი ოპერაციის გაკეთება არ შეიძლება ახალმთვარეობის დროს? როდის არის თავზე ოპერაციის გაკეთება შესაძლებელი? როდესაც მთვარე კუროშია, რომელი ორგანოებია დაუცველი? როდის არის რეკომენდებული თირკმლებზე პროცედურების ჩატარება? რა დროს არის დაუშვებელი ყელზე პაპილომებისა და ხალების მოშორება? რომელი ორგანოებია დასუსტებული, როდესაც მთვარე ტყუპებშია? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— ბატონო მიხეილ, მოდით, განვიხილოთ ზოდიაქოს ყველა ნიშანი ცალ-ცალკე და გვითხარით, თუ რომელი ორგანოები სუსტდება და რა სამედიცინო პროცედურებია ამ დროს სასარგებლო, რა — უკუნაჩვენები?**

— ასტროლოგია მჭიდროდაა დაკავშირებული მედიცინასთან და შეიძლება ითქვას, რომ მისი ერთ-ერთი ყველაზე ძველი და მთავარი მისია უკავშირდებოდა სწორედ ადამიანის ჯანმრთელობასა და მის განკურნებას. ადამიანის პირადი ნათალური რუკის განხილვისას დიდი ადგილი ენიჭება მისი სამედიცინო მაჩვენებლებისა და იმ პოტენციური რისკების დადგენას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ცხოვრების მანძილზე. მაგრამ არსებობს ყოველდღიური, მეტად განზოგადებული მეთოდებიც, რომელთა ცოდნა არამარტო ამცირებს დაავადებების წარმოქმნას და გამწვავებას, არამედ ხელს უწყობს და აჩქარებს მკურნალობას, საშუალებას იძლევა გვერდი ავუაროთ შესაძლო შეცდომებსა და რეციდივებს. ამისათვის აუცილებელია, ვიცოდეთ მთვარის მოძრაობის ფაზები და ზოდიაქოს ის ნიშანი, რომელსაც გადის ამა თუ იმ პერიოდში მთვარე.

**მთვარე ვერძში.** ამ დროს დაუცველი ხდება **სისხლძარღვები, თავი და იქ განლაგებული ყველა სხვა ორგანო** (თვალები, ცხვირი, ყურები, ტუჩები, კბილები), ამიტომ **თავზე და სახეზე ყველა ოპერაცია, მათ შორის, პლასტიკური ქირურგია, განსაკუთრებით ახალმთვარეობის დროს აკრძალულია.** გარდა ამისა, სავსე მთვარის დროს არ შეიძლება კბილის ამოღება, თმის შეჭრა და ყურების გახვრეტა ან სხვა მანიპულაციების ჩატარება, ბევრი კითხვა, ტელევიზორის ან კომპიუტერის ეკრანის დიდხანს ყურება, ზედმეტი გონებრივი მუშაობა. გადაღლა ან ნერვიულობა სასურველი არაა, რადგან თავიც და თვალების ფსკერიც სუსტდება, განსაკუთრებით დაღმავალ მთვარეზე. ამიტომ, როცა მთვარე ვერძშია, უმჯობესია ფიზიკურად მუშაობა. **თავზე ოპერაციების შესრულება ჯობია მაშინ, როდესაც არა მთვარე, არამედ მზეა ვერძში, ანუ 21 მარტიდან 21 აპრილამდე. ოღონდ აქაც აუცილებელია მთვარის ადგილმდებარეობის გათვალისწინება** (იგი არ უნდა მოძრაობდეს ვერძის ზოდიაქოში). ითვლება, რომ ამ დღეებში თირკმლები და შარდის ბუშტი აქტიურად მუშაობს, რადგან ვერძის მოპირდაპირე ნიშანი — სასწორი თირკმლებთან ასოცირდება. ამიტომ ამ დღეებში რეკომენდებულია თირკმლებთან დაკავშირებული პროცედურების ჩატარება.

**მთვარე კუროში.** ასეთ დღეებში **დაუცველია ყელი, ფარისებრი ჯირკვალი, კისრის ძვლები, საყლაპავი მილი და მთელი ენდოკრინული სისტემა. კისერზე, ყელზე, გლანდებზე, ფარისებრ ან ნებისმიერ სხვა ჯირკვალზე ოპერაციები დაუშვებელია.** ზოგადად, სხეულის მორფოსკოპიული კორექციის შემთხვევაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სხეულის ის ნაწილი, რომლის კორექტირებაც ხდება, რათა იგი არ შეესაბამებოდეს ნიშანს, რომელშიც ამ დღეებში განლაგებულია მთვარე. მაგალითად, **თუ მთვარე კუროშია, ყელზე პაპილომებისა და ხალების მოშორება დაუშვებელია,** თუმცა, სხეულის სხვა ნაწილებზე სავსებით დასაშვებია. **როდესაც მთვარე კუროშია, ყელი ნაკლებად დაცული და მეტად მგრძნობიარეა ცივი ჰაერის, სასმელის, მედიკამენტების მიმართ.** გარდა ამისა, ადამიანი უფრო მგრძნობიარე ხდება საკვების მიმართაც. ამიტომ ამ დროს უმჯობესია, რაციონიდან ამოღებულ იქნას მძიმე, ზედმეტად ტკბილი, ცხიმიანი, მლაშე, ცხარე და მჟავე პროდუქტები. კარგია დიეტის დაცვა, მარხვა, შიმშილობა. კუროს საპირისპირო ნიშანია მორიელი, ამიტომ დადებითად ჩაივლის სასქესო ორგანოებთან და სწორ ნაწლავთან დაკავშირებული პროცედურები.

**მთვარე ტყუპებში.** ამ დღეებში **მეტად დაუცველია სასუნთქი ორგანოები, ტრაქეა, მკლავები, ხელები და მხრები. ამიტომ ფილტვებზე, ბრონქებზე ნებისმიერი პროცედურა ისევე, როგორც ყველა სუნთქვითი პროცედურა უკუნაჩვენებია.** რა თქმა უნდა, **იკრძალება ფილტვებზე და ბრონქებზე ქირურგიული ოპერაციები.** ზოგადად მთვარე ტყუპებში ადამიანებში იწვევს სუნთქვის გაძნელებასა და ქოშინს. გარდა ამისა, ორგანიზმი მეტად მგრძნობიარე ხდება ჰაერის დაბინძურებაზე, მტვერზე. ადამიანებს განსაკუთრებით უჭირთ უჰაერო ოთახებში გაჩერება, რის გამოც მეტად უჩნდებათ სუფთა ჰაერის მოთხოვნილება. გარდა ამისა, **სასურველია, ნაკლები იმუშაონ მბეჭდავებმა. წერასა და მწერლობასთან დაკავშირებული საქმიანობაც ნაკლებად პროდუქტიული და დამღლელი აღმოჩნდება.** ასეთ დღეებში დასაშვებია სისხლთან დაკავშირებული პროცედურების ჩატარება, სისხლსა და ღვიძლთან დაკავშირებული წამლების მიღება და მკურნალობა.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 20 – 26 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
თქვენ მეტად აქტიურად იმოქმედებთ მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და დამატებითი მოგების მისაღებად. ამ დროს ნებისმიერ პრობლემას დამოუკიდებლადაც ადვილად გაუმკლავდებით, გაიზრდება ვალდებულებების რაოდენობაც, სამაგიეროდ, დაფასდებით როგორც ოჯახში, ისე სამსახურში. სასიყვარულო ურთიერთობებში ადრე მიუღწეველ სიმაღლეებს დაიპყრობთ და თავს გამარჯვებულად იგრძნობთ. ახლო მოგზაურობა სასიამოვნო და სამახსოვრო იქნება.

**კურო** (21.04-20.05)
მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმაში დაგეხმარებათ ინტელექტი და გამოცდილება. მატერიალურ პრობლემებს გადაწყვეტთ ახალი ინიციატივებისა და საქმისადმი მტკიცე მიდგომის უნარის მეშვეობით. ადრე დაშვებული შეცდომები შეიძლება, რჩეულთან ურთიერთობის გამწვავების მიზეზი გახდეს. ეცადეთ, მობეზრებულმა ცხოვრების სტილმა, არასაკმარისმა შემოსავლებმა უარყოფითად არ იმოქმედოს თქვენს ჯანმრთელობაზე. დასვენებისთვის უმჯობესია ახლო დისტანციაზე ბუნებაში გამგზავრება.

**ტყუპი** (21.05-22.06)
საქმიან სფეროში ნებისმიერი წამოწყება წარმატებასა და კეთილდღეობას გპირდებათ. საჭიროების შემთხვევაში ეცადეთ, გამოცდილი ხალხისგან მიიღოთ რჩევა, მხარდაჭერა და დახმარება. პირადი პრობლემებისა და გაუგებრობების გარკვევისას გარშემო მყოფებთან, განსაკუთრებით კი ოჯახის წევრებსა და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაზე უარს ნუ იტყვით. ეს ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზი შეიძლება გახდეს. მოგზაურობა კი დადებით შედეგს გამოიღებს.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ეს პერიოდი ხელს უწყობს სწავლასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. გაზრდილი ინტელექტუალური შესაძლებლობები კი კარიერაში წარმატებებს გიქადით. კოლეგებთან ჰარმონიული ურთიერთობა თქვენს მდგომარეობას კიდევ უფრო გაამყარებს. ნუ გარისკავთ და ეცადეთ, ფინანსები წესრიგში გქონდეთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ საყვარელ ადამიანსა და მშობლებს, რათა თავი დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნოთ. მოგზაურობა მეტად ხალისიანი გახდება, თუ მას ოჯახის წევრებთან ერთად განახორციელებთ.

**ლომი** (23.07-23.08)
გამოიყენეთ პირადი მომხიბვლელობა და ხმამაღლა განაცხადეთ თქვენი სურვილებისა და გეგმების შესახებ. ახლობლებთან კამათს ცუდი შედეგი მოჰყვება. სასიყვარულო ურთიერთობები თქვენზე იქნება დამოკიდებული, შეინარჩუნებთ მათ, თუ დაანგრევთ. მოგზაურობისას გამოიჩინეთ მაქსიმალური სიფრთხილე და დაკვირვება. მოერიდეთ დიდ ხარჯებს. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესანარჩუნებლად აუცილებელია დასვენება და სრულფასოვანი ძილი.

**ქალწული** (24.08-23.09)
გაიზრდება ახალი შთაბეჭდილებების და მძაფრი შეგრძნებების სურვილი. ფინანსური საკითხები და ოჯახური პრობლემები თქვენი ძირითადი საფიქრალი გახდება. უცხოელებთან ურთიერთობის გაუმჯობესება მეტ პერსპექტივასა და კარგ მოგებას გპირდებათ მომავალში. სასიყვარულო ურთიერთობა არაერთგვაროვანი და პერიოდულად გაუგებარიც მოგეჩვენებათ, მაგრამ ეჭვიანობის საბაბი არ გექნებათ. სამსახურებრივი გაუგებრობების გამო შესაძლოა, გადაიდოს მოგზაურობა.

## 20 – 26 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
გაიზრდება თქვენი ავტორიტეტი. შესაძლოა, მიიღოთ ახალი შემოთავაზებები. ხელმძღვანელებთან ან გავლენიან ადამიანებთან ურთიერთობა, მოლაპარაკებები და ხელშეკრულებები მომავალში კარგ პერსპექტივებს გპირდებათ. შესაძლოა, დაფიქრდეთ უძრავი ქონების შეძენაზე. საყვარელი ადამიანის მიმართ ყურადღება გამოიჩინეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებრობები კონფლიქტების მიზეზი გახდება. გამგზავრება მივლინებაში, გადაადგილებები ბევრ დროს წაგართმევთ, თუმცა, ნაყოფიერ შედეგსაც გამოიღებს.

**მორიელი** (23.10-22.11)
გაიზრდება თქვენი ამბიციები, გაუმჯობესდება განწყობა და ფიზიკური მდგომარეობა, გაგიჩნდებათ მოქმედების სურვილი. შესაძლოა, შეიცვალოს თქვენი სოციალური სტატუსი, გაიზარდოს შემოსავალი ან მიიღოთ ახალი სამსახური. მომხიბვლელობა დაგეხმარებათ ახალი კავშირების დამყარებაში, ინფორმაციის მიღებასა და ცოდნის გაღრმავებაში. მიუხედავად ამისა, ნუ აჰყვებით ცდუნებებს, ჭორებს, მოერიდეთ ფარულ ქმედებებს და ნუ შეიცვლით ცხოვრებისეულ მიზნებს.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ეს თამამად მოქმედების პერიოდია, რის შედეგად წარმატება ელის თქვენს ყოფიერ და სამსახურებრივ საქმეებს. ყურადღებას მოგთხოვთ ოჯახის საქმეებიც. ნებისმიერ საქმეში ორიგინალური მეთოდებით იხელმძღვანელეთ. კარგი პერიოდია უცხოელებთან ან უცხოეთში მყოფ მეგობრებთან საქმიანი მოლაპარაკებების გასამართად. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა მეტად სტაბილური გახდება და დადებითად იმოქმედებს თქვენს ქმედითუნარიანობაზე.

**თხის რქა** (22.12-19.01)
მოიმატებს ინტელექტუალური, შემოქმედებითი და ფიზიკური აქტიურობა. კარგი დროა იმიჯის შესაცვლელად, რადგან მასზე დიდწილად იქნება დამოკიდებული თქვენი კარიერული წინსვლა. ნაკლებად კონფლიქტური იქნებით და გაგიადვილდებათ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, რის გამოც შესაძლოა, რადიკალურად შეცვალოთ სამსახური, პირადი ცხოვრება ან სასიყვარულო ურთიერთობა. მოგზაურობისას ეცადეთ, არ მოექცეთ სხვისი გავლენის ქვეშ და არ დაარღვიოთ კანონი.

**მერწყული** (20.01-18.02)
კარგი დროა კარიერული წინსვლისთვის და ხელმძღვანელებთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. ახალი საქმიანი წინადადებები და ურთიერთობები ფინანსური კეთილდღეობის საწინდარი გახდება. წამოწყებები მეტად წარმატებული იქნება, თუ მათ სხვებთან ერთად შეასრულებთ, მაგრამ ერიდეთ რისკსა და ავანტიურულ საქმეებს, რადგან ეს ცუდად აისახება პირად, სასიყვარულო და ოჯახურ ურთიერთობებზე. ქალაქგარეთ მოგზაურობა გაგახალისებთ და გაგიუმჯობესებთ განწყობას.

**თევზები** (19.02-20.03)
გაგიძლიერდებათ ფანტაზიის უნარი და გონებრივი შესაძლებლობები. მოიმატებს ახალი და საინტერესო იდეების რაოდენობა. საზოგადოებრივ ცვლილებებს ინტუიციურად შეიგრძნობთ. ახალ ინფორმაციას ადვილად აითვისებთ, თუმცა, მის გამოსაყენებლად დაგჭირდებათ მოქნილი აზროვნება და ქცევა. მომთმენი იყავით კრიტიკისა და წინააღმდეგობების მიმართ, რათა არ წამოეგოთ პროვოკაციებს. ახლო მოგზაურობები მეტად რომანტიკულ ხასიათს ატარებს და გამოგისწორებთ გუნება-განწყობას.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
**20,22,23 და 25 მაისი**

**8 მაისი — ახალმთვარეობა;**
**23 მაისი — სავსემთვარეობა.**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 20 მაისი, ორშაბათი

**მზე** გადაინაცვლებს ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.37 საათზე, ჩადის 19.19 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 16.18 საათზე, ჩადის 02.49 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 18.22 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარიას** პერიოდია. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: მზე** დღეს ერთი თვით გადაინაცვლებს **ტყუპების** ზოდიაქოში და ამ ზეგავლენის შედეგად განავითარებს ადამიანებში კომუნიკაბელურობას, დინამიკურობას, გონებამახვილობას, ცნობისმოყვარეობას, ოპტიმიზმს, უცხო ენების ათვისების უნარს, ამავდროულად ანვითარებს სულსწრაფობას, უყაირათობას, გაორება-მერყეობას, ტყუილებისა და დაცინვისადმი მიდრეკილებას. დღეს მოერიდეთ უცხო ადგილებში მოგზაურობას. კარგი დღეა ქორწინებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, საყიდლებისთვის. შედეგიანია კბილის, თავის ტკივილის, სისხლძარღვების მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდროკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 21 მაისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.36 საათზე, ჩადის 19.20 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 17.23 საათზე, ჩადის 02.03 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 19.23 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია. **ტენდენციები:** დღეს და ხვალ მოიმატებს უკომპრომისობა, გაღიზიანება, აგრესია, სარკაზმი, სექსუალურობა. შესაძლებელი იქნება კონფიდენციალური შეხვედრები, მოლაპარაკებების ჩატარება. მოერიდეთ რენდგენს, სხივურ თერაპიას, გინეკოლოგთან ვიზიტს, ინტიმურ კონტაქტს, ახალი საქმის დაწყებას, ახალი თანამშრომლის მიღებას, მგზავრობას, ბინის შეცვლას, სოცუზრუნველყოფისა და დაზღვევის ორგანიზაციებთან ურთიერთობას. პოზიტიური დღეა თვითშემეცნებისთვის, ნადირობასა და თევზაობისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო, რეპროდუქციული სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, იასპი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპებისთვის.

## 22 მაისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.35 საათზე, ჩადის 19.21 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 18.30 საათზე, ჩადის 03.22 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 21.09 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა აქტიური მოქმედებისა და სპორტული ღონისძიებებისთვის. ამავდროულად აკონტროლეთ სიჯიუტე, აგრესია, უკომპრომისობა, ეჭვიანობა, სარკაზმი, ზედმეტი პირდაპირობა. დღევანდელი დღე კარგია მსხვილი საყიდლებისთვის, კონფიდენციალური შეხვედრებისთვის, ყელყურ-ცხვირის დაავადებათა მკურნალობისთვის, მეტი იმოძრავეთ. მოერიდეთ რენდგენს, სხივურ თერაპიას, გინეკოლოგთან ვიზიტს, ახალი საქმის დაწყებას, მგზავრობას, ბინის შეცვლას, სესხის აღებას. არ ვარგა ნოტარიალური საბუთების გაფორმება. სასიკეთო დღეა გამოძიებისთვის, რეცხვისა და რემონტისთვის, ალპინიზმისთვის, გეგმების დასახვისთვის, თვითშემეცნებისთვის, ნადირობასა და თევზაობისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, მასაჟისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდასასქესო, რეპროდუქციული სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, ქრიზოპრაზი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 23 მაისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.34 საათზე, ჩადის 19.22 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 19.39 საათზე, ჩადის 04.01 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 22.38 საათზე. **სავსემთვარეობაა** (17.56), მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მძიმე ენერგეტიკული დღეა, **მზისა და მთვარის** დაპირისპირება **ტყუპები-მშვილდოსნის** ზოდიაქალურ ღერძზე მეტად განაპირობებს აგრესიას, დეპრესიის გამოვლენას, კონფლიქტებს, ტრავმებს, ავარიებს, ცდუნებებს, შეცდომებს, ჯანმრთელობის გაუარესებას და სხვა ნეგატიურ გამოვლინებებს. აკონტროლეთ ემოციები, არ აჰყვეთ პროვოკაციებს. არ ვარგა ხელშეკრულების დადება, მნიშვნელოვანი და სარისკო საქმეების შესრულება. დღე მშვიდად გაიარეთ. ილოცეთ და დალოცეთ ყველა. მოერიდეთ ყიდვა-გაყიდვას, ფულის სესხება-გასესხებას, სისხლის გადასხმას. პოზიტიური დღეა სულიერი და ინტელექტუალური განვითარებისთვის, სწავლისთვის, საიუბილეო საღამოებისა და დაჯილდოებისთვის. კარგი დღეა უცხოელებთან კონტაქტისთვის, მეტი სიფრთხილე გმართებთ იურიდიულ საბუთებთან, ტურისტულ ლაშქრობასთან მიმართებით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ლაზურიტი, საფირონი, გიშერი, ნეფრიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპებისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 24 მაისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.34 საათზე, ჩადის 19.23 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 20.47 საათზე, ჩადის 04.36 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 23.02 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** გაუფრთხილდით ურთიერთობების ჰარმონიას. დღეს სიყვარულის მმართველი პლანეტა **ვენერა** 17 ივნისამდე გადაინაცვლებს **ტყუპების** ზოდიაქოში და ამ პერიოდში მეტად განავითარებს ურთიერთობებში ფლირტს, სულსწრაფობას, გაორება-მერყეობას, ფანტაზიებს, ტყუილებს, ზედაპირულობას, იუმორს. ხელს შეუწყობს ფინანსურ წარმოებას მათ, ვინც დაკავშირებულია მასმედიასა და ინტერნეტსაქმიანობასთან, სატრანსპორტო ბიზნესთან, საკომუნიკაციო საშუალებებთან, ვაჭრობასთან, ტურიზმთან. დღევანდელ დღეს სწორი და ჭკვიანური მოქმედებები წარმატების მომტანი იქნება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. კარგია სუნთქვითი ვარჯიშები, წელის პროცედურები, მასაჟი, ფილტვების, ხელების, ბრონქების მკურნალობა. კარგი დღეა იურიდიული საქმეებისთვის, უცხოელებთან კონტაქტებისთვის, ტურისტული ლაშრობებისთვის, მგზავრობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, სარდიონი, ციტრინი, საფირონი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 25 მაისი, შაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.33 საათზე, ჩადის 19.24 საათზე. **მთვარე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში (19.34). ამოდის 21.50 საათზე, ჩადის 05.22 საათზე (მთვარის მე-17 დღე; მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა შემოქმედებითი მუშაობისთვის. დღეიდან 17 აგვისტომდე გაამახვილებს წყალთან დაკავშირებულ კატასტროფების, წყალდიდობების ალბათობას, ხოლო ასტეროიდ **ქირონის** შეერთება **მარსის** პლანეტასთან თვის ბოლომდე ხელს შეუწყობს ახალი, უშიშარი ლიდერების გამოჩენას საზოგადოებაში, რომლებიც ღიად დააფიქსირებენ საკუთარ პოზიციებს. პოზიტიური დღეა საქმიანი კავშირების დასამყარებლად უცხოელ პარტნიორებთან, მგზავრობა-მოგზაურობისთვის, სარჩელის შესატანად სასამართლოში. პარტნიორულ ურთიერთობაში მოერიდეთ კამათს. სასიკეთო დღეა ტურისტული ლაშქრობისთვის, სპორტული ვარჯიშებისთვის და ღონისძიებებისთვის, იურიდიული საქმეებისა და სასამართლო პორცედურებისთვის, პრეზენტაციებისთვის, სუნთქვითი ვარჯიშებისთვის და კბილების, ბრონქების, ხელების მკურნალობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ქარვა, ციტრინი, ლაზურიტი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 26 მაისი , კვირა

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.32 საათზე, ჩადის 19.25 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 22.45 საათზე, ჩადის 06.18 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 01.12 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** მეტი დრო დაუთმეთ სიყვარულს და შემოქმედებას. გამარჯვების პლანეტა **იუპიტერი** დღეიდან ერთი წლით გადაინაცვლებს **ტყუპების** ზოდიაქოში და ამ პერიოდში გამარჯვებას მოუტანს მათ, ვინც იქნება აქტიური, კომუნიკაბელური, გონებამახვილი. ხელს შეუწყობს მოლაპარაკებებს, სარეკლამო-საგამომცემლო, საკომუნიკაციო სფეროებს, ტურიზმის, ვაჭრობის, მეცნიერების განვითარებას. კარგი დღეა მავნე ჩვევებისგან გასათავისუფლებლად, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, კოლექციის შესაგროვებლად. პარტნიორულ ურთიერთობაში შესაძლებელი იქნება ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა. ნეგატიური დღეა ვაჭრობისთვის, ქორწინებისთვის, ახალი კავშირებისთვის, მანუალური თერაპიისთვის. სასიკეთო დღეა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ნადირობისა და თევზაობისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის. მოერიდეთ სიმძიმეების აწევას და მკვეთრ მოძრაობებს. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კბილები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.



**20 მაისი. ორშაბათი. ხსენება გამოჩინებისა პატიოსნისა ჯვარისა იერუსალიმს;** ღირსთა ასურელთა მამათა — იოანე ზედაზნელისა და 12-თა მოწაფეთა მისთა: აბიბოს ნეკრესელი ეპისკოპოსისა, ანტონ მარტყოფელისა, დავით გარეჯელისა, ზენონ იყალთოელისა, თადეოზ სტეფანწმინდელისა, ისე წილკნელი ეპისკოპოსისა, იოსებ ალავერდელი ეპისკოპოსისა, ეზდრიოს სამთავნელისა, მიქაელ ულუმბოელისა, პიროსბრეთელისა, სტეფანე ხირსელისა და შიო მღვიმელისა; ღირსისა ელია დიაკონისა; მოწამისა აკაკი ასისთავისა; ღირსისა ტარასი მეუდაბნოისა, სასწაულმოქმედისა, ლიკაონიელისა; მოწამეთა: კოდრატე ნიკომიდიელისა, სატორინესი, რუფინესი და სხვათა. **წმიდა კეთილმსახურ მეფე ბაგრატ მესამისა, საქართველოს გამაერთიანებლისა.**



**21 მაისი – ხსენება მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყველისა**

✝ **21 მაისი. სამშაბათი. მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყველისა; ღირსისა არსენი დიდისა.**

✝ **22 მაისი. ოთხშაბათი. წინასწარმეტყველისა ესაიასი; მიცვალება ღირსისა შიო დიდისა, მღვიმელისა, სასწაულმოქმედისა;** ღირსისა ევაგრე ციხედიდელისა; მოწამისა ქრისტეფორესი; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა ნიკოლოზ სასწაულმოქმედისა მირონლუკიიდან ბარიში.

✝ **23 მაისი. ხუთშაბათი.** მოციქულისა სიმონ მოშურნისა, კანანელისა, საქართველოში ქრისტიანობის მქადაგებელისა; მოწამეთა: ალფესისა, ფილადელფისა, კვიპრიანესი, ონისიმესი, ერაზმისა და სხვათა; მოწამისა ისიქი აღმსარებელისა, სინკლიტიკოსისა, ანტიოქიელისა; ღირსისა ისიდორა სალოსისა; ნეტარისა ტაისიასი; ღირსისა ნისიმესი.

✝ **24 მაისი. პარასკევი.** ნეტარისა ქრისტესიასი, ქრისტეფორედ წოდებულისა; მღვდელმოწამისა მოკიოს ხუცისა; მოციქულთა სწორთა მეთოდესი და კირილესი, სლოვენთა მოძღვართა; ნიკოდიმოსისა, სერბელი მთავარეპისკოპოსისა.

✝ **25 მაისი. შაბათი.** ეპიფანე კვიპრელი ეპისკოპოსისა; გერმანე კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა; საბინე კვიპრელი მთავარეპისკოპოსისა და პოლუბისა, რინოკირელი ეპისკოპოსისა; მღვდელმოწამისა ერმოგენისა, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქისა.

✝ **26 მაისი. კვირა. აღდგომიდან მე-4, განრღვეულის კვირიაკე.** მართლისა ტაბითასი; ღირსისა ექვთიმე მთაწმიდელისა, მთარგმნელისა; ღირსთა მოწამეთა, ათონის მთაზე ლათინთაგან მოწყვეტილთა; მოწამეთა: გლიკერია ქალწულისა და მისთანა ლაოდიკესი, დილეგის მცველისა; პავსიკაკოსი, სინადელი ეპისკოპოსისა; წმიდათა: გიორგი აღმსარებელისა, მეუღლისა მისისა ირინესი და შვილთა მათთა.

„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი სამძიმარს უცხადებს **მამუკა კაკუშაძეს** დედის — პედაგოგისა და მრავალი თაობის აღმზრდელის

**მერი კაკუშაძის**

გარდაცვალების გამო




**მაღაზია «ბუკვიცა»**

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

ლეგენდარული **დიმიტრი ალავიძე**
ლეგენდარული **ვასილ მჟავანაძის**
პირველი სტუმრობიდან **57-ე წელია,**

**მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!**




**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 4. ტლაპო; 8. მაკაკი; 11. პარალიზი; 12. ფითრი; 13. როდის; 14. როლანი; 15. მუზარადი; 16. ატრია; 17. ლენცი; 18. ბემოლი; 19. მატელოტი; 23. დრაჟე; 24. რეტი; 26. ტოგა; 27. მასტიხინი; 28. ბიტი; 30. კენია; 31. გირაო; 34. სიტიზენი; 38. კუნძი; 39. შობა; 41. ნუბია; 42. სურინამი; 43. ერეკლე; 46. კატაბალახა; 47. ბოროდინი; 51. ჯილი; 53. მიმასი; 56. კაზუარი; 57. ბიპლანი; 58. რუდიმენტი; 59. ლიტავრა; 60. პითონი; 61. პავილიონი.

შვეულად: 1. მარულა; 2. სამარე; 3. პიკასო; 4. ტირილი; 5. ანდანტე; 6. ოფსაიდი; 7. ეთერიანი; 8. მირაბელი; 9. კილომეტრი; 10. კინოლოგია; 19. მიმი; 20. ტესტი; 21. ლეიბი; 22. ტეიდე; 24. რიკი; 25. ტანგო; 28. ბაკარა; 29. ტუნიკა; 31. გინეა; 32. რაბინი; 33. ონაგრი; 34. სკუდო; 35. ტრიკო; 36. ზვარი; 37. ნაიკი; 39. შატლი; 40. ბებია; 44. ელფი; 45. ლხინი; 47. ბოკალი; 48. როზეტი; 49. დრაივი; 50. ნაირა; 51. ჯალათი; 52. ლენონი; 53. მედეა; 54. მუმლი; 55. სანდი; 57. ბი; 60. პი.

**პასკალიტონიკისტაკატონიკოლიბრიჯინიხრიკიოტო**
**გუდაურიკავალერიანახაზინაბადიშირაქიტიარარა**

| ფრანგი ფიზიკოსი, მათემატიკოსი | უალკოჰოლო გაზიანი სასმელი | წყვეტილად, მოკლედ (მუს.) | მსახიობ კიდმანის სახელი | ბანქოს თამაში | ტარიფი | ქალაქი იაპონიაში |
|---|---|---|---|---|---|---|
| სააღდგომო ნამცხვარი | დაუსაბუთებელი ცარიელი სიტყვა | კეთილ-თვისებიანი სიმსივნე | რომის პოლიტიკური მოღვაწე | ძალიან პატარა ჩიტი | ინგლისური არაყი | ოინი |
| ... ფონ ბისმარკი | | | | | | |




თარაზულად: 4. თხელი ტალახი, ლაფი; 8. ერთგვარი პატარა მაიმუნი; 11. დამბლა; 12. ნახევრად პარაზიტი მცენარე; 13. რა დროს; 14. ფრანგი მწერალი; 15. მეომრის ძველებური ლითონის ქუდი; 16. მოხარშული ცომის ნაჭრები; 17. პოლონელი ფერმწერი; 18. ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი (მუს.); 19. ბავშვის მატროსული სამოსი; 23. ერთგვარი წვრილი კანფეტი; 24. თავბრუ; 26. ძველი რომაელების სამოსი; 27. ფერმწერის დანა ტილოზე საღებავის დასადებად; 28. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული; 30. აფრიკის სახელმწიფო; 31. ვალის წინდი; 34. იაპონური საათების ფირმა; 38. მორის მოკლე და მსხვილი ნუყრებიანი ნაჭერი; 39. ქრისტიანული დღესასწაული; 41. ეგვიპტის ოლქი; 42. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 43. ქართლ-კახეთის მეფე; 46. ვალერიანა; 47. რუსი კომპოზიტორი; 51. იტალიელი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 53. პლანეტა სატურნის თანამგზავრი; 56. ავსტრალიური დიდი ზომის მორბენალი ფრინველი; 57. თვითმფრინავის სახეობა; 58. რაიმე გამქრალი მოვლენის კვალი; 59. სარტყმელი მუსიკალური საკრავი; 60. მსხვილი მახრჩობელა გველი; 61. მსუბუქი შენობა სავაჭროდ.

შვეულად: 1. დოლი; 2. საფლავი; 3. ფრანგი (წარმოშობით ესპანელი) ფერმწერი; 4. ცრემლის დენა მწუხარების გამო; 5. დინჯად, ნელა (მუს.); 6. თამაშგარე მდგომარეობა ფეხბურთში; 7. ქართული ხალხური სამიჯნურო ეპოსი; 8. ღოღნოშოს ჯიში; 9. სიგრძის საზომი ერთეული; 10. მეცნიერება ძაღლების შესახებ; 19. პანტომიმის მსახიობი; 20. გამოცდა, გამოკვლევა (ინგლ.); 21. ლოგინის ნაწილი; 22. ვულკანი კანარის კუნძულებზე; 24. მოკლე ჯოხი; 25. ერთგვარი ცეკვა; 28. უმაღლესი ხარისხის ბროლი; 29. ძველი რომაელების სამოსი; 31. ძველებური ინგლისური ოქროს ფული; 32. ებრაელთა მოძღვარი; 33. გარეული ვირი, გავრცელებულია ირანსა და ავღანეთში; 34. ძველებური იტალიური ოქროს მონეტა; 35. ტრიკოტაჟის ტანსაცმელი; 36. დიდი ვენახი; 37. ამერიკული სპორტული ნაწარმის ფირმა; 39. ამერიკული კოსმოსური ხომალდი; 40. დიდედა; 44. ადამიანებისადმი კეთილად განწყობილი სული გერმანულ მითოლოგიაში; 45. მხიარულება, ზეიმი; 47. ფეხიანი ღვინის სასმისი; 48. სამურაზე პატარა ლამბაქი; 49. ძლიერი და დაბალი დარტყმა ჩოგბურთში; 50. მწერალი ... გელაშვილი; 51. სიკვდილის განაჩენის სისრულეში მომყვანი პირი; 52. „ბითლზის“ წევრი; 53. მსახიობი ... ჯაფარიძე; 54. ქინქლა; 55. ფრანგი მწერალი ქალი; 57. გაორმაგების ნაწილაკი რთულ სიტყვებში; 60. მათემატიკური მუდმივა.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| სოფელი ყაზბეგის რაიონში | ცხენოსანი ჯარი | ხაზით გამოსახული | მწყემსების წამოსასხამი | ველი კახეთში | რომის პაპის თავსარქმელი | „იავნანამ ... ჰქმნა?!“ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხვრის ტყავის პარკი | თვლებიანი მომცრო საზიდარი | კატაბალახა | ფისკი | შვილიშვილი | ბავშვთა დაავადება | თუთიყუშის სახეობა |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზვავარბიული

ასავალ დასავალი

2024 წლის 20 – 26 მაისი №22 (1540)

გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**



THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol